გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

№23 (779) 1 - 3 მარტი, 2013 წელი
ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

**20 გვერდი 40 თეთრი**

## ნიკა გილაურს გიგი უგულავას საქმის გამო პროკურატურაში იბარებენ?!



გვ. 5

**დეპუტატ გოგა ხაჩიძის მინისტრობისდროინდელ მასალებს საგამოძიებო უწყება სწავლობს**

## სააკაშვილის წინააღმდეგ ოპერაცია „გველგესლა“ იგეგმება!

„ორი მეგობრისგან, რომლებიც საქართველოში არ ცხოვრობენ, ამაზრზენი ინფორმაცია მივიღე — მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ რუსეთის სპეცსამსახურების დავალებით, კრიმინალური ელემენტები ტერაქტს ამზადებენ“



გვ. 3

### „ივანიშვილი პოლიტიკოს სააკაშვილის სრულ მარგინალიზაციას ცდილობს“

რა ბრალდებებს უყენებს ვანო მაჭავარიანი „ნაციონალებს“ და „ქართულ ოცნებას“

გვ. 4

### მამუკა არეშიძე ივანიშვილის „თავაშვებული“ მინისტრების წინააღმდეგ

ექსპერტი „ქართული ოცნების“ შეცდომებზე საუბრობს და ქვეყანაში „ქაოსს“ არ გამორიცხავს

გვ. 6

### ინტერვიუ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტუსრის მინისტრთან

რატომ აუქმებს გუბერნატორების ინსტიტუტს და როგორ დაიბრუნა ბიზნესმენების ნდობა **დავით ნარმანიამ**

გვ. 8

### უჩივლებენ თუ არა ბანკირები პრეზიდენტს დეზინფორმაციის გავრცელების გამო?

გვ. 9

### „ნაციონალები“ ბაგა-ბაღებს ადვილად გაყიდვის მიზნით საჯარო რეესტრში სასადილოებად არეგისტრირებდნენ

გვ. 12

### ხანძრისგან დაზარალებულები ბრალდებებს „საბას“ ადმინისტრაციას უყენებენ



რას პასუხობს სავაჭრო ცენტრის ხელმძღვანელი მეწარმეებს და შეუჩერებენ თუ არა მათ კრედიტებს

გვ. 11

### სიგარეტი გაძვირდება!

გვ. 13

### ნარკომომხმარებელი ქალები მათთვის სპეციალური ცენტრის გახსნას ითხოვენ

გვ. 14

### ნინო ბურდული: „ალბათ, აჯობებს, თეატრი დავტოვო, რადგან ეს ძალიან ცუდი კანონია“

გვ. 10

### „საქართველოს ბანკის“ კიდევ ერთი წარმატებული პროექტი

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
იგრძენი მომავალი

სანდრო ეულის ქუჩაზე 114-ბინიანი კორპუსის მშენებლობა დასრულდა

გვ. 7

## ძმებ აფრასიძეებს პირობით ვადამდე გათავისუფლება შეეხოთ



სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს პირობით ვადამდე გათავისუფლების მუდმივმოქმედი კომისიის გადაწყვეტილებით, 55 მსჯავრდებული გათავისუფლდა.

სასჯელაღსრულების სამინისტროს ცნობით, მათ შორის 2 ხანდაზმული და 3 მძიმე ავადმყოფია.

მათ შორის არიან ასევე, სვანეთის სპეცოპერაციის დროს დაკავებული გოჩა და შმაგი აფრასიძეები. ამის შესახებ ინფორმაცია აფრასიძეების ოჯახის ადვოკატმა, ირმა ჭკადუამ გაავრცელა. აფრასიძეების დედის, დოდო აფრასიძის ინფორმაციით კი, მის ვაჟებს პირობით ვადამდე გათავისუფლება შეეხოთ.

პირობით ვადამდე გათავისუფლების მუდმივმოქმედმა კომისიამ 28 თებერვლის სხდომაზე 1000-მდე მსჯავრდებულის განცხადება განიხილა. დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკები ინდივიდუალურად შეფასდა.

სასჯელაღსრულების სამინისტროს პირობით ვადამდე გათავისუფლების მუდმივმოქმედი კომისია, განცხადებების სიმრავლიდან გამომდინარე, სხდომის შემდეგ ეტაპს 1 მარტს გამართავს.

## „საქსტატი“ და ენერგეტიკის სამინისტრო ერთიან ბაზას შექმნიან



ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, მინისტრმა კახა კალაძემ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე მაია გუნცაძემ და პროგრამა INOGATE-ის წარმომადგენელმა თიმ მაკკანმა თანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოაწერეს.

მემორანდუმის თანახმად, „საქსტატი“ ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან თანამშრომლობით, ენერგეტიკულ მონაცემთა ერთიან ბაზას შეიმუშავებს, რომელიც საქართველოს ენერგოსექტორის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესს ხელს შეუწყობს.

სამუშაო პროცესის ტექნიკურ მხარდაჭერას პროგრამა INOGATE განახორციელებს, რომელსაც რეგიონში ენერგეტიკული თანამშრომლობის განვითარებისთვის ევროკავშირი 1999 წლიდან ახორციელებს.

პროგრამის ექსპერტების ჩართულობით, „ენერგეტიკული სტატისტიკის სამოქმედო გეგმა“ შემუშავდა, რომლითაც განისაზღვრა ენერგეტიკული სტატისტიკის განვითარებისა და ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების გზები, რაც საქართველოს ენერგეტიკული მონაცემების ერთიანი ბაზის შექმნის საშუალებას იძლევა.

*„ინტერპრესნიუსი“*

## სახელმწიფო ქონების გაფლანგვის ბრალდებით, აჭარის მთავრობის ყოფილი მაღალჩინოსნები დააკავეს




ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა სახელმწიფო ქონების გაფლანგვისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის ყოფილი მოადგილე თამაზ მღებრიშვილი და ამავე სამინისტროს საწარმოთა მართვის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი აბესალომ გურგენიძე დააკავეს.

ამის შესახებ ინფორმაცია ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსმა ნათია სუხიაშვილმა, საგანგებო ბრიფინგზე გაავრცელა. მისი თქმით: **„სახელმწიფო ქონების გაფლანგვისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის ყოფილი მოადგილე თამაზ მღებრიშვილი და და ამავე სამინისტროს საწარმოთა მართვის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი აბესალომ გურგენიძე. ასევე ბრალდებულის სახით პასუხისგებაში იქნა მიცემული ორი პირი: შპს „ლემისე კომპანის“ მფლობელი ლუხუმ კაპანაძე და სერგი კაკალაშვილი, რომლებიც ამჟამად მიმალვაში იმყოფებიან. გამოძიებამ დაადგინა, რომ სააქციო საზოგადოება „ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის“ დაუფლების მიზნით, რომლის 76%-ს ფლობდა სახელმწიფო, ბრალდებულები კაპანაძე და კაკალაშვილი, დანაშაულებრივად გაურიგდნენ მღებრიშვილსა და გურგენიძეს. მათ ერთად შეიმუშავეს გეგმა, რომლის მიხედვით, აღნიშნული კომპანია გაკოტრებულად გამოაცხადეს, რის შემდეგაც ქარხნის საწესდებო კაპიტალში არსებული 4 344 856 ლარის ღირებულების უძრავ-მოძრავი ქონება შპს „ლემისე კომპანის“ 1 111 000 ლარად გადაეცა. აღნიშნული ქმედებით კი სახელმწიფომ იზარალა 3 253 856 ლარით. გამოძიების მსვლელობისას, ასევე გამოიკვეთა სერგი კაკალაშვილისა და ლუხუმ კაპანაძის მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულებრივი ქმედება. მათ ქონების გადამალვისა და კრედიტორის წინაშე ქონებრივი ვალდებულებებისგან თავის არიდების მიზნით, შპს „ბათოილის“, რომლის მფლობელებიც თავად იყვნენ, დირექტორთან, პაატა დათიშვილთან ერთად რამდენიმე საწარმოსთვის გააფორმეს მოჩვენებითი გარიგება და „ბათოილის“ ქონება მათზე გადააფორმეს. აღნიშნულის საფუძველზე საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა პაატა დათიშვილი დააკავეს.**

**გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით, 182-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, 205-ე მუხლი მე-2 და მე-3 ნაწილებით მიმდინარეობს, რაც თავისუფლების 6-დან 11 წლამდე ვადით აღკვეთას ითვალისწინებს“.**

*„პირველი“*

## იაკობ ტაბაჩნიკი: „ვწუხვარ, თუ საქართველოს კანონს ივანა მელაი არეგულირებს“



უკრაინის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იაკობ ტაბაჩნიკი „ძალიან წუხს, თუკი დღეს საქართველოს კანონს ივანა მელაი არეგულირებს“.

ამის შესახებ მან პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ სვიატოსლავ მელაისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების ფაქტის კომენტირებისას განაცხადა: **„ჩემთან მოვიდა საქართველოს ელჩი უკრაინაში და გადმომცა საქართველოს უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელის დანაბარები იმასთან დაკავშირებით, რომ მე ცუდად არ მოვქცეოდი ივანა მელაის ოჯახის წევრებს. მას განვუმარტე, რომ მხოლოდ ჩემი კუთვნილი თანხის დაბრუნებას ვცდილობდი. პრეზიდენტს აქვს უფლება, მოქალაქეობა ნებისმიერ პირს მიანიჭოს, თუმცა თუ ის ასეთი სამართლიანია, არ მესმის მისი გადაწყვეტილება. თუ დღეს საქართველოს კანონს ივანა მელაი არეგულირებს, მაშინ ძალიან ვწუხვარ ამის გამო“.** სვიატოსლავ მელაი წითელი ცირკულარით იძებნება. უკრაინის პროკურატურა მას თაღლითობისა და მოტყუების გზით განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვისი ქონების დაუფლებაში სდებს ბრალს.

უკრაინელი მომღერლის, ივანა მელაის მამას საქართველოს პრეზიდენტმა მოქალაქეობა ცოტა ხნის წინ მიანიჭა.

*„პირველი“*

## პოლიციის ყოფილ თანამშრომელ მაიზერ ლიპარტელიანს პატიმრობა შეუფარდეს

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმეზე პოლიციის ყოფილ თანამშრომელს, მაიზერ ლიპარტელიანს აღმკვეთი ღონისძიების სახით, პატიმრობა შეუფარდა.

ამავე საქმეში მონაწილე მეორე პოლიციელი ლევან ლობჟანიძე 5 ათასი ლარის ოდენობის გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდა.

ყოფილ პოლიციელებს ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმეზე ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებაში, შესაბამისად, ცრუ ჩვენებაში ედებათ ბრალი, რაც კანონით დასჯადია.

ბუტა რობაქიძის საქმის ხელახალი გამოძიების დროს, აღნიშნულმა პოლიციელებმა ჩვენებაში განაცხადეს, რომ შემთხვევის ადგილზე იარაღი არ ყოფილა. შსს ყოფილი მაღალჩინოსნის ირაკლი ფირცხალავას მიერ რობაქიძის მკვლელობის ამსახველი კადრების გავრცელების შემდეგ კი, ჩვენება შეცვალეს და აღნიშნეს, რომ შემთხვევის ადგილზე იარაღი ნამდვილად იყო.

*„მედიანიუსი“*

## ლალი მოროშკინამ, შესაძლოა, სხვა სახელმწიფო უწყებაში გადაინაცვლოს



სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მრჩეველმა, ლალი მოროშკინამ განმარტა, რომ მას სხვა სამთავრობო უწყებებიდან ბევრი შემოთავაზება აქვს და შესაძლოა, რომელიმე მათგანს დათანხმდეს: **„ამ ეტაპზე, ვერ გეტყვით, დავტოვებ თუ არა მრჩევლის თანამდებობას, თუმცა გიდასტურებთ, რომ სხვა სახელმწიფო უწყებებიდან ბევრი შემოთავაზება მაქვს და სადაც საჭირო ვიქნები, იქ ვიმუშავებ. აქვე მინდა, გავაკეთო ერთი განცხადება. თუ საპარლამენტო უმცირესობის მხრიდან კიდევ დაფიქსირდება ტერმინი „რუსი“ და ამას არ გამიჯნავენ პოლიტიკისგან, ჩავთვლი, რომ ქსენოფობიურ დევნასთან გვაქვს საქმე. მე, როგორც მთავრობაში ერთ-ერთი რუსი წარმომადგენელი, მკაცრად ვემიჯნები მსგავს გამონათქვამებს. ჩემი ერთადერთი სამშობლო საქართველოა, მისთვის არც არასოდეს მიღალატია და არც არასოდეს ვუღალატებ“.**

*„პირველი“*

## სდსს კიდევ ერთხელ გამოთქვამს მზადყოფნას, პრეზიდენტის უსაფრთხოება უზრუნველყოს



სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა გაავრცელა განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ: **„სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური მოქმედებს მკაცრად განსაზღვრული ვალდებულების მიხედვით და არ შედის არანაირ პოლიტიკურ დისკუსიაში. კიდევ ერთხელ, ვადასტურებთ მზაობას, განვახორციელოთ კანონით დაკისრებული ვალდებულებები და უზრუნველვყოთ პრეზიდენტის უსაფრთხოება. კანონის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი უნდა იყოს დაცული“.**

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის განცხადებას პრეზიდენტის ადმინისტრაცია გამოეხმაურა:

**„საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია კიდევ ერთხელ ეხმაურება სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის განცხადებას და კიდევ ერთხელ განმარტავს: იმ იაფფასიანი მანიპულაციების გამო, რომელიც პრემიერის უშუალო მითითებით ხორციელდება, საქართველოს პრეზიდენტი უარს ამბობს დაცვის სამსახურით სარგებლობაზე. საქართველოს პრეზიდენტი აპირებს, გადასაადგილებლად გამოიყენოს პირადი ტრანსპორტი და პრეზიდენტის ადმინისტრაციის ავტოფარეხიდან მათ შეუძლიათ წაიყვანონ დაჯავშნული მანქანები.**

**რაც შეეხება დაცვის თანამშრომლებს, მათ უკვე დაწერილი აქვთ პატაკი სდსს-დან წასვლის შესახებ. ხოლო ბრალდებები იმის თაობაზე, თითქოს, მათ არ შეასრულეს დაკისრებული მოვალეობა და ამის გამო მათ წინააღმდეგ სამართლებრივი ზომები უნდა იქნეს მიღებული, არის უსამართლო, რადგან ისინი პრეზიდენტის დავალებით მოქმედებდნენ“.**

*„ვერსიანიუსი“*

## 19 აპრილს „ნაცმოძრაობის“ აქციაზე ნოვოდვორსკაია, ბარავოი და რუსეთის სათათბიროს ყოფილი დეპუტატები ჩამოვლენ



ვალერია ნოვოდვორსკაია და კონსტანტინე ბარავოი თბილისში 19 აპრილს საქართველოს დასავლური კურსის მხარდასაჭერ აქციაზე ჩამოვლენ.

ამის შესახებ ინფორმაციას „პირველი რადიო“ ავრცელებს, რომელსაც აღნიშნული კონსტანტინე ბარავოიმ დაუდასტურა.

მისი თქმით, ახლა მიმდინარეობს საორგანიზაციო საკითხების მოგვარება, რათა დაინიშნოს სპეციალური რეისი და საქართველოში რუსეთის ახალდაშექმნილი პარტიის „დასავლური კურსის“ ლიდერები ჩამოვიდნენ.

ბარავოის განცხადებით, სულ თბილისში პარტიის 20-მდე ლიდერი ჩამოვა, მათ შორის, რუსეთის სათათბიროს ყოფილი დეპუტატები იქნებიან.

**„ჩვენი მიზანია, მხარი დავუჭიროთ საქართველოს დასავლურ კურსს და შეშფოთება გამოვთქვათ იმ პროცესების გამო, რომელიც საქართველოში ვითარდება“.**

*„პირველი“*

## ნიკა რურუა: „დანა რორაბაქერი ერთადერთი კონგრესმენი იყო, რომელიც 2008 წელს საქართველოს ომის დაწყებაში ადანაშაულებდა“



კულტურის ყოფილი მინისტრის ნიკა რურუას განცხადებით, „დანა რორაბაქერი ერთადერთი კონგრესმენი იყო, რომელიც 2008 წელს საქართველოს ომის დაწყებაში ადანაშაულებდა“.

რურუა აცხადებს, რომ იგი თავად ესწრებოდა კონგრესში მის გამოსვლას 2008 წელს, როგორც საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის წევრი, რომელიც ამერიკელებმა აღნიშნულ მოსმენას დაასწრეს.

**„იგი მაშინაც ძალიან უცნაურად იქცეოდა, ადგილიდან ყვიროდა, იცინოდა და ცოტა არაადეკვატური ტიპაჟის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ძალიან დარიგებულივით იქცეოდა და მახსოვს, ეჭვი გაგვიჩნდა, რომ ის კონგრესში რუსეთის რუპორი იყო“,** — განაცხადა რურუამ.

აშშ-ს კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ევროპის, ევრაზიისა და მოსალოდნელი საფრთხეების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე დანა რორაბაქერი 28 თებერვალს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძეს შეხვდა.

**„ძალიან პროდუქტიული შეხვედრა იყო. ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ გავაგრძელებთ წარმატებულ ურთიერთობებს საქართველოსთან. საქართველო ნამდვილად მაგალითია, ეს არის პროგრესული ქვეყანა და ამერიკის კარგი პარტნიორი. საქართველოსა და აშშ-ს შორის ძალიან კარგი თანამშრომლობა არსებობს. ჩვენ ვისურვებდით, ეს თანამშრომლობა გაღრმავდეს და განვითარდეს მომავალში, გამოვხატეთ ჩვენი მადლიერება საქართველოს წვლილის გამო ავღანეთის მისიაში. აშშ-ში კარგად ვიცით, რომ დემოკრატია არ არის მმართველობის ყველაზე მარტივი ფორმა, მაგრამ ის ნამდვილად ყველაზე ზნეობრივი და სწორი ფორმაა. კარგად ვიცით ასევე განსხვავებები და სირთულეები, რომლებიც კოჰაბიტაციას ახლავს. ჩვენს ქვეყანაშიც ხშირადაა პრობლემები დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს შორის. ნამდვილად სრული წარმოდგენა გვაქვს იმ სირთულეებზე, რომლებიც შეიძლება, დემოკრატიულ პროცესებს ახლდეს, მაგრამ ვუსურვებდით საქართველოს წარმატებას ამ გზაზე“,** — განაცხადა რორაბაქერმა.

მან საქართველოს კონფლიქტებზეც ისაუბრა და ისურვა, რომ საქართველოს მოსახლეობას მომავალში თავი არ ეგრძნოს ძალადობის მსხვერპლად.

*„პირველი“*

# სააკაშვილის წინააღმდეგ ოპერაცია „გველგესლა“ იგეგმება!



რუსუდან შელია
557-100-768



**„წაილოს დაცვა, მე ჩემი ხალხისგან დაცვა არ მჭირდება“, — ასე გამოეხმაურა პრეზიდენტი სახელმწიფო დაცვის სამსახურში განხორციელებულ ცვლილებებს და 27 თებერვალს, პირველ ლედისთან ერთად, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დემონსტრაციულად, „ნისანის“ მარკის ელექტრომობილით მივიდა... ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი წერეთელი „ვერსიას“ სკანდალურ ინფორმაციას აწვდის იმის შესახებ, რომ „დაუცველ“ პრეზიდენტზე ტერაქტი იგეგმება.**

**— ორი მეგობრისგან, რომლებიც ამჟამად საქართველოში არ ცხოვრობენ, საეჭვო და ამაზრზენი ინფორმაცია მივიღე — მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ რუსეთის სპეცსამსახურების დავალებით, კრიმინალური ელემენტები ტერაქტს ამზადებენ. ოპერაციას სახელწოდებაც აქვს — „გველგესლა“, რომლის განხორციელებაც 26 მაისამდე იგეგმება. ერთ-ერთი წყარო, ჩემთან შესახვედრად საქართველოში სპეციალურად ჩამოვიდა.**

**— იქნებ ეს ინფორმაცია მხოლოდ „შემოგდებულია“. გაუგებარია, რისთვის სჭირდება რუსეთს სააკაშვილის ფიზიკური ლიკვიდაცია ახლა, როცა ახალი ხელისუფლება მასთან ურთიერთობის აღდგენას ცდილობს?**

— არ გამოვრიცხავ, ეს ინფორმაცია ბლეფიც იყოს, მაგრამ რადგანაც ის ჩემამდე მოვიდა, ვალდებული ვარ, განგაშის ზარს შემოვკრა. სიფრთხილეს თავი არ სტკივა... რაც შეეხება ტერაქტის მიზანს. პრეზიდენტის ფიზიკური ლიკვიდაცია ნებისმიერი სახელმწიფოსთვის თავისმომჭრელია. პირველი პრეზიდენტის სიკვდილი, რომელიც მიხეილ სააკაშვილისგან განსხვავებით, ლეგიტიმური პირველი პირი იყო, საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი სირცხვილის სახელწოდებით შევა. ქვეყნის საერთაშორისო ასპარეზზე ავტორიტეტის შელახვასთან ერთად, სააკაშვილის წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტი, ავტომატურად, ბიძინა ივანიშვილის კონფრონტაციას გამოიწვევს. შესაძლოა, პრემიერიც საქმის კურსში იყოს დაგეგმილი ბოროტების შესახებ.

**— თქვენი წყარო გიმტკიცებთ, რომ პროცესში ივანიშვილიც ჩართულია?**

— არა, ტერაქტი ბიძინა ივანიშვილის გეგმებში არ ჯდება. უბრალოდ, მიმაჩნია, რომ პრემიერი ამის შესახებ ინფორმირებული უნდა იყოს, რადგან თუ რეალურად, ჩემი ინფორმაცია დადასტურდება, პრორუსული და ანტიდასავლურ-ანტიდემოკრატიული არეულობის წინაშე აღმოვჩნდებით. ამიტომ სააკაშვილსაც და ივანიშვილსაც მოვუწოდებ, ფრთხილად იყვნენ და სანამ ქვეყანაში სამოქალაქო თუ საჯარო ინსტიტუტები არ გაძლიერდება, რადიკალური განცხადებებისგან თავი შეიკავონ.

ხუთ თვეში სააკაშვილი პოლიტიკიდან ისედაც მიდის. არ მესმის, რა საჭიროა ერთმანეთთან ურთიერთობის დაძაბვა?! ივანიშვილს, როგორც ხალხის მიერ არჩეულ პოლიტიკურ ძალას, რეალური საფუძველი კი აქვს, რომ სააკაშვილის მიმართ კრიტიკულად იყოს განწყობილი, მაგრამ დაპირისპირება ანტაგონიზმსა და დესტრუქციულ პოლიტიკაში არ უნდა გადაიზარდოს. მხოლოდ რუსეთს აწყობს საქართველოში მართული ქაოსი და არა საერთო ეროვნულ-კონსტრუქციულ ჩარჩოებში მოქცეული პოლიტიკური ცხოვრება. ასე რომ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ რუსეთი საქართველოში მიმდინარე პროცესების სათავისოდ გამოყენებას შეეცდება.

**— რუსეთი სააკაშვილის განეიტრალებით, ივანიშვილის იზოლირებასაც გეგმავს?**

— დიახ, თუ ჩვენ ვთანხმდებით, რომ რუსეთი საქართველოს მტერია, რატომ არ უნდა განვიხილოთ მოვლენების ამ სცენარით განვითარება? შესაძლოა, ეს ყველაფერი პუტინს არ აწყობს, მაგრამ რუსეთში, პუტინის გარდა, საქართველოზე გაბოროტებული უამრავი პოლიტიკოსია. სამწუხაროა, რომ ქართულმა მხარემ მონური რუსული ბაზარი აირჩია. არ მესმის, როცა მსოფლიოში 7 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს, რატომ ვისწრაფვით მაინცდამაინც რუსეთისკენ, სადაც 150 მილიონი მოსახლეა.

**ორივე მხარეს ვაფრთხილებ, მოსალოდნელ ტერაქტთან დაკავშირებული ინფორმაცია მაქვს. მიხეილ სააკაშვილის სიცოცხლის ტერორისტული აქტით დასასრული კი, მინიმუმ, ქართული სახელმწიფოს საერთაშორისო კონფრონტაციას გამოიწვევს, თანაც ტერაქტი აუცილებლად ბიძინა ივანიშვილს დაბრალდება. გავითვალისწინოთ ის ფაქტორიც, რომ მიხეილ სააკაშვილს ჯერ კიდევ ჰყავს თავისი მომხრეები შემორჩენილი, თანაც არა მგონია, ბიძინა ივანიშვილი ჯარს თავიდან ბოლომდე აკონტროლებდეს.**

**— ჯარიდან საფრთხე არსებობს? პრეზიდენტმა სახელმწიფო დაცვის სამსახურზე უარი განაცხადა და თქვა, ვიცი, პუტინი რასაც გეგმავსო...**

— მიხეილ სააკაშვილის მხრიდან ეს მხოლოდ უპასუხისმგებლო გადაწყვეტილება იყო. პოლიტიკურ მოწინააღმდეგეზე გაბრაზებულმა პრეზიდენტმა საკუთარ უსაფრთხოებაზე არ იზრუნოს, არა მგონია, მსგავსი პრეცედენტი მსოფლიოში არსებობდეს. მაშინ, კეთილი ინებონ და, სააკაშვილი „ნაცმოძრაობის“ წევრებმა დაიცვან. ადამიანურად არ მინდა, პრეზიდენტმა სიცოცხლე ასე, ფატალურად დაასრულოს.

**— ფიქრობთ, ხელისუფლება მაქსიმალურად არ იზრუნებს ქვეყნის პირველი პირის უსაფრთხოებაზე?**

— იცით, პრევენციული ნაბიჯი უკვე გადადგმულია. როგორც ვიცი, სახელმწიფო დაცვის სამსახურიდან პრეზიდენტს 350 ადამიანი დაუტოვეს და 7 მილიონიც გამოუყვეს. არ გამოვრიცხავ, რუსეთის სპეცსამსახურებში ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგაც ამუშავებდნენ გარკვეულ ოპერაციებს.

**— თქვენი წყარო ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ დაგეგმილ ფიზიკურ ლიკვიდაციაზეც გაწვდით ინფორმაციებს?**

— ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებით, მსგავსი ინფორმაცია არ მაქვს, ეს უბრალოდ, ჩემი ვარაუდია და არაფერს გამოვრიცხავ. მართალია, ბიძინა ივანიშვილს დეოკუპაციის პროცესში ბოლომდე არ ვენდობი, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ ის ბოლომდე „რუსის კაცია“. პუტინს საქართველოში პრემიერზე ბევრად ადვილად მართვადი, მარიონეტული ძალები ჰყავს. მართალია, ხელისუფლებაში არ ვარ, მაგრამ ბევრ მოქმედ პოლიტიკოსზე მეტი კავშირი მაქვს. ამასთან, გავლენიანი პირები, რომლებსაც მნიშვნელოვან ინფორმაციებზე ხელი მიუწვდებათ, მენდობიან. მეტიც, პირადად, მე, შეიძლება ისეთი შინაარსის ინფორმაცია მქონდეს, რომლის შესახებაც საქართველოს სპეცსამსახურებს არც კი გაუგიათ, ამიტომ ვუყურებ შესაძლო ტერაქტის საკითხს სერიოზულად.



ნათია ვასაძე
555-98-61-65

**შესაძლოა, მალე საქართველოს პრეზიდენტის არჩევის წესი შეიცვალოს და ქვეყნის პირველი პირის თანამდებობაზე დანიშვნის საკითხი საპარლამენტო უმრავლესობამ გადაწყვიტოს. სანამ ამ საკითხზე საკანონმდებლო ორგანო იმსჯელებს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, რეგისტრაციაში სამკაციანი (იაგო წიკლაური, გელა მესტიაშვილი და იანა ხუციშვილი) საინიციატივო ჯგუფი გაატარა. ამ უკანასკნელის ინიციატივა ასეთია — ჩატარდეს ქვეყანაში რეფერენდუმი კითხვით — „თანახმა ხართ თუ არა, რომ საქართველოს პრეზიდენტი აირჩიოს საქართველოს პარლამენტმა?“ საინიციატივო ჯგუფმა 3 თვის განმავლობაში 200 000 მოქალაქის ხელმოწერა უნდა შეაგროვოს, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობით, რეფერენდუმის ჩატარების ინიციატივა აქვს საქართველოს პარლამენტს, 200 000 ამომრჩეველს ან საქართველოს პრეზიდენტს.**

**„ვერსია“ დაინტერესდა, რამდენად მისაღებია საქართველოს მოსახლეობისთვის პრეზიდენტის არაპირდაპირი გზით არჩევა და მიანდობს თუ არა ამ უფლებას არჩეულ პარლამენტს. ამის გასარკვევად, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, რამდენიმე ათეული ადამიანი გამოვკითხეთ. მათი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პრეზიდენტი ხალხმა უნდა აირჩიოს და არა პარლამენტმა. იყო განსხვავებული მოსაზრებაც და რამდენიმე ისეთი ადამიანიც შეგვხვდა, ვინც თავისი პოზიცია, არგუმენტებით გაგვიმყარა და დაგვისაბუთა კიდეც.**

# „პრეზიდენტი ხალხმა უნდა აირჩიოს, რადგან ჩვენ ვუხდით მას ფულს!“



ემხრობიან თუ არა თბილისელები ქვეყნის პირველი პირის არაპირდაპირი წესით არჩევას

**ნონა სოფრომაძე, 47 წლის:** „პარლამენტში შემავალი პოლიტიკური პარტიები ხშირად, არ გამოირჩევა მაღალი რეიტინგით და ამიტომ, პრეზიდენტის არჩევის უფლება აუცილებლად ხალხს უნდა ჰქონდეს“.

**ნანა სოლოღაშვილი, 67 წლის:** „ხალხმა აუცილებლად ნორმალური პრეზიდენტი უნდა აირჩიოს და არა ისეთი, როგორიც ახლა გვყავს, თუმცა ახალ მთავრობასა და პარლამენტს იმდენად ვენდობი, რომ არც იმის წინააღმდეგი ვიქნები, პრეზიდენტი პარლამენტმა აირჩიოს“.

**ცაგო გუგუნაშვილი, 20 წლის:** „პრეზიდენტი მოსახლეობამ უნდა აირჩიოს და არა პარლამენტმა, რადგან ჩვენ ვუხდით მას ფულს და არა პარლამენტი“.

**გულნაზი ძაგანია, 38 წლის:** „ხალხი ირჩევს პარლამენტს და პრეზიდენტიც ხალხმა უნდა აირჩიოს. ეს კანონით მონიჭებული უფლებაა და არავითარ შემთხვევაში, არ უნდა მოხდეს ამ წესის შეცვლა“.

**ვალერი დუდუჩავა, 50 წლის:** „პრეზიდენტს ხალხი უნდა ირჩევდეს, ოღონდ არჩევნები სამართლიანი უნდა იყოს, ყოველგვარი დარღვევის და გაყალბების გარეშე“.

**თინათინ მამასახლისი, 43 წლის:** „ამ შემადგენლობით, პარლამენტს მორალური უფლებაც არ აქვს პრეზიდენტის არჩევისა. პრეზიდენტი აუცილებლად უნდა აირჩიოს ხალხმა და ძალიან მინდა, შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნებშიც მიშამ გაიმარჯვოს“.

**ნინო მაღალაშვილი, 28 წლის:** „პრიორიტეტი ქვეყანაში საზოგადოება უნდა იყოს და არა პარლამენტი“.

**ზურაბ შალამბერიძე, 62 წლის:** „პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევამ, შეიძლება, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის ბალანსის დარღვევა გამოიწვიოს, ამიტომ უმჯობესია, პრეზიდენტი ხალხმა აირჩიოს“.

**გიორგი დარასელია, 33 წლის:** „პარლამენტში სულ 150 დეპუტატია, შესაბამისად, 150 კაცის გადაბირება უფრო ადვილია, ვიდრე მთელი მოსახლეობის, ამიტომ პრეზიდენტის არჩევა მოსახლეობის მიერ უნდა მოხდეს“.

**ჯორბენაძე დევი, 76 წლის:** „მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ პარლამენტს სიამოვნებით მივეცი ხმა და ნდობაც გამოვუცხადე, ბოლოდროინდელმა პროცესებმა, ცოტა არ იყოს, იმედი გამიცრუა. როგორ უნდა შერჩეს წინა ხელისუფლებას ამდენი დანაშაული, ან მერაბიშვილის თავისუფლებაზე ყოფნა შეიძლება? ამიტომ აღარ მაქვს არც ამ პარლამენტის ნდობა. უმჯობესია, პრეზიდენტი ისევ ხალხმა აირჩიოს“.

**მარიკა მესხიშვილი, 43 წლის:** „წინა არჩევნებიდან კარგად გვახსოვს, რამდენად ხშირი იყო გაყალბების შემთხვევები — ხდებოდა მოსახლეობის დაშინება, მოსყიდვა, საარჩევნო უბნებიდან ყუთების გატაცება და ა.შ. აი, ასეთი შემთხვევებისგან თავის ასარიდებლადაა უკეთესი, თუ პრეზიდენტს აირჩევს პარლამენტი, რომელიც უკვე სარგებლობს ნდობის მანდატით“.

**ალექსანდრე ნადირაძე, 51 წლის:** „პრეზიდენტს თუ იმიტომ უნდა მოაცილონ გადამეტებული ფუნქციები, რომ რაღაცნაირად ბალანსი აღდგეს, მაშინ არც პარლამენტს უნდა ჰქონდეს გადამეტებული ძალაუფლება. პარლამენტი არის საკანონმდებლო ორგანო, რომელმაც თავისი საქმე უნდა აკეთოს, პრეზიდენტის არჩევა კი ისევ ხალხის მიერ უნდა მოხდეს“.

## ვერსიანიუსი

### პრეზიდენტი მზადაა, პრემიერთან თავად მივიდეს



იმ შემთხვევაში, თუ ბიძინა ივანიშვილი მიხეილ სააკაშვილთან მოსალაპარაკებლად არ მივა, სააკაშვილი მზადაა, პრემიერთან თავად მივიდეს, — ამ ინფორმაციას, ნაციონალური მოძრაობის წევრი მიხეილ მაჭავარიანი ავრცელებს. მისი თქმით: **„პრეზიდენტი მზადაა, პრემიერს შეხვდეს და ყველა საკითხზე ესაუბროს. იმ შემთხვევაში, თუ პრემიერი რეზიდენციაში არ მივა პრეზიდენტი მზადაა, პრემიერთან თავად მივიდეს, რადგან ჩვენთვის ქვეყანა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ასეთი გაურკვეველი ყოფა“.**

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

## ბაჩო ახალაიამ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი ყველა მტკიცებულება სადავო გახადა



ახალაიას თქმით, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი ყველა მტკიცებულება დაშვებული უნდა იქნას, ვინაიდან ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეშია, მის ბრალეულობას ვერ ამტკიცებს, ბრალდების მხარეს მოწმეების 80% ისეთივე ჰყავს, როგორც გაგა მკურნალიძეა, შესაბამისად, ახალაია მიიჩნევს, რომ იქ მიყვანის შემდეგ ყველა მოწმე მის სასარგებლოდ მისცემს ჩვენებას.

სხდომას მოსამართლე ეკა არეშიძე უძღვება და აღნიშნულ პროცესზე ახალაიასთან ერთად, გიორგი კალანდაძის, გაგა მკურნალიძის, ალექსანდრე გორდაძის, ზურაბ შამათავას, მერაბ კიკაბიძის, მანუჩარ დარასელიასა და გიორგი კინწურაშვილის საქმეები განიხილება, თუმცა დარასელია და კინწურაშვილი მიმალვაში არიან და პროცესს არ ესწრებიან.

ბაჩო ახალაიას დარბაზში შესვლას დამსწრე საზოგადოება ტაშით შეეგება, მოსამართლემ კი საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, ტელე-კამერებს პროცესის პირველი 5 წუთის გადაღების უფლება მისცა.

რაც შეეხება გიორგი კალანდაძისა და მერაბ კიკაბიძის პოზიციებს ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების დაშვების საკითხთან დაკავშირებით, მათი ადვოკატის, გოგიტა გაბაიძის თქმით, „გიორგი კალანდაძისთვის ბრალი იუსტიციის მინისტრს უნდა წაეყენებინა, რადგან კალანდაძე გაერთიანებული შტაბის მეთაური იყო და წოდებით გენერალ-მაიორია, მას კი ბრალი ერთ-ერთმა პროკურორმა, შესაბამისად, არაუფლებამოსილმა პირმა წარუდგინა“.

ამასთან, გაბაიძემ სადავო გახადა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი ყველა მტკიცებულება, რადგან ადვოკატი მიიჩნევს, რომ ისინი მოპოვებულია უკანონო გზით.

გაბაიძის თქმით, „თუ ბრალი წარედგინა მერაბ კიკაბიძეს იმის გამო, რომ მან დანაშაულის შესახებ არავის შეატყობინა, მაშინ მთავარი სარდალი ზურაბ არსოშვილი იყო და ადვოკატმა დასვა კითხვა, რატომ არ არის ბრალდებული არსოშვილი“.

გარდა ამისა, პროცესზე გაგა მკურნალიძის ადვოკატმა სასამართლოს გადასცა მკურნალიძის განცხადება, რომელშიც აცხადებს, რომ წინასწარ გამოძიებას ჩვენება მისცა ზეწოლის შედეგად და თავს დამნაშავედ არ სცნობს:

**„ვაღიარებდი თითქოს ჩადენილ დანაშაულს და ბრალს ვდებდი ახალაიასა და კალანდაძეს, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. მზად ვარ, სასამართლოს ხელახალი ჩვენება მივცე“.**

გარდა ამისა, კინწურაშვილისა და დარასელიას ადვოკატების თქმით, თავს დამნაშავედ არც ისინი მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ ჩვენება იძულებით მიაცემინეს.

პროკურორის განცხადებით, მკურნალიძე დაიკითხა ადვოკატებთან ერთად და იმ დროს ხაზი არავის გაუსვია, რომ მათზე ზეწოლა განხორციელდა.

ახალაიას პროცესს, მის ოჯახის წევრებსა და ახლობლებთან ერთად, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები: ნუგზარ წიკლაური, აკაკი მინაშვილი, მარიამ საჯაია, ჩიორა თაქთაქიშვილი, ეკა ხერხეულიძე, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი თენგიზ გუნავა და სხვები ესწრებოდნენ.

შეგახსენებთ, რომ საქმე 5 სამხედრო მოსამსახურის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებისა და ზურაბ აბესაძისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთის ეპიზოდებს ეხება.

*„პირველი“*

# „ივანიშვილი ცდილობს, პოლიტიკოს სააკაშვილის სრული მარგინალიზაცია მოახდინოს“



რუსუდან შელია
557-100-768



**რატომ არ გასცა პრემიერის მოთხოვნას კონკრეტული პასუხი პრეზიდენტმა და ცდილობს თუ არა ბიძინა ივანიშვილი მიხეილ სააკაშვილის სრულ მარგინალიზაციას, რომელი პოლიტიკური ძალა დათმობს პოზიციას და რა საფრთხეს წარმოადგენს სააკაშვილი ივანიშვილისთვის, ამასთან რატომ განაცხადა უარი პრემიერის შეთავაზებაზე, „ვერსიის“ კითხვებს ექსპერტი ვანო მაჭავარიანი პასუხობს.**

## რა ბრალდებებს უყენებს ვანო მაჭავარიანი „ნაციონალებსა“ და „ქართულ ოცნებას“

— ბიძინა ივანიშვილმა არა მხოლოდ პრეზიდენტს მისცა განსაზღვრული ვადა საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით პოზიციის დასაფიქსირებლად, არამედ იგივე საკითხზე ჩამოყალიბება საპარლამენტო უმცირესობასაც მოსთხოვა. ამასთან, დრო მისცა უმრავლესობასაც, ნაციონალური მოძრაობის წევრები რაც შეიძლება სწრაფად გადაიბირონ ან დაარწმუნონ, რომ ცვლილებებს მხარი აუცილებლად უნდა დაუჭირონ. ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებასაც, რომ კონსტიტუციაში დაგეგმილ ცვლილებებს მხოლოდ პრეზიდენტისთვის უფლებამოსილების შეზღუდვის დატვირთვა არ აქვს, პრემიერი ცდილობს, მიხეილ სააკაშვილის, როგორც პოლიტიკოსის სრული მარგინალიზაცია მოახდინოს, რადგანაც გრძელვადიან პერსპექტივაში ის ხედავს საფრთხეს — შესაძლოა, „ნაციონალები“ თეთრ ცხენზე ამხედრებულები, კვლავ პოლიტიკაში მოგვევლინონ.

**— „ნაციონალებს“ ხელისუფლებაში დაბრუნების რა შანსი აქვთ? მით უმეტეს, პრემიერი მიმართვის დასაწყისში ხაზს უსვამს, რომ ხელისუფლების საკითხი ქვეყანაში გადაწყვეტილია და პრეზიდენტი არ არის ის პოლიტიკური მოწინააღმდეგე, რომელთანაც გასარკვევი საკითხები დარჩა.**

— პოლიტიკაში პროცესები საკმაოდ ცვალებადია. მსოფლიო პოლიტიკაში არის მაგალითები, როცა თითქოს უფუნქციოდ დარჩენილმა პოლიტიკოსებმა აქტუალობა მალევე დაიბრუნეს. ეს ბიძინა ივანიშვილმა კარგად იცის და ამიტომ არ გამორიცხავს პოლიტიკაში სააკაშვილის დაბრუნებას. თანაც, მიხეილ სააკაშვილის გარდა, ნაციონალურ მოძრაობაში პრაგმატული ადამიანები არიან, რომლებსაც კოალიციისთვის საკმაოდ სერიოზული კონკურენციის გაწევა შეუძლიათ. ბიძინა ივანიშვილმა საჯაროდ გამოაცხადა კიდეც, ნაციონალური მოძრაობა იმ შემადგენლობით, რასაც სააკაშვილი ხელმძღვანელობს, ქართულ პოლიტიკაში არ უნდა დარჩესო. ფაქტია, ქვეყანაში საკმაოდ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა. „ნაციონალების“ დაბრუნების ალბათობა იმ ფონზე უფრო რეალური გახდება, თუ „ქართული ოცნების“ მიმართ მოლოდინი მოსახლეობაში ვერ გამართლდება.

**— პრემიერისგან მოსაფიქრებლად მიცემულ ორდღიან ვადას სააკაშვილი არც დაელოდა და ირიბი პასუხი იმავე საღამოს გასცა. ახლა ჯერი ბიძინა ივანიშვილზეა, რომელსაც პრეზიდენტი რეზიდენციაში ელოდება...**

— დიახ, სააკაშვილმა ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის მზადყოფნა გამოთქვა და პრემიერი სადილზე დაპატიჟა, რაც მისი მხრიდან პრაგმატული ნაბიჯი იყო. უნდა დავაკვირდეთ იმ ფაქტსაც, რომ მიხეილ სააკაშვილმა შემდეგი პასუხი გასცა: „მზად ვარ, მაგრამ...“ და ჩამოთვალა მთელი ნუსხა იმ მოთხოვნებისა, რაც პარლამენტის თავმჯდომარის მიერ წარმოებული მოლაპარაკების პროცესში, ფაქტობრივად, შეთანხმებული იყო. არადა, ბიძინა ივანიშვილი მიმართვაში კატეგორიულად მიუთითებდა „კი, მაგრამ“ პასუხს არ მივიღებო.

**დავსვათ კიდევ ერთი კითხვა — რატომ ითხოვენ ასე დაჟინებით „ნაციონალები“ საგარეო კურსის დაფიქსირებას? ამ ნაბიჯით, ნაციონალური მოძრაობა გადარჩენის გარანტიას მიიღებს, რადგან დასავლური ტიპის პოლიტიკურ სისტემაში პოლიტიკური ძალის შენარჩუნების მეტი შესაძლებლობა ეძლევათ. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კოალიციაში ბიძინა ივანიშვილს რეაქციული ფრთა ჰყავს, რომელიც პირდაპირ ამბობს, „ნაცმოძრაობა“ და პირადად მიხეილ სააკაშვილი ქართულ პოლიტიკურ სცენაზე არ უნდა არსებობდეს.**

**— ოპოზიციაში მყოფი, ძალაუფლებადაკარგული მიხეილ სააკაშვილი იბრძვის გადარჩენისთვის თუ პრემიერი, რომელიც პოლიტიკურ სივრცეს ოპონენტებისგან ითავისუფლებს და მომავალში შესაძლო საფრთხეებისგან თავს იზღვევს?**

— ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ ბიძინა ივანიშვილი დამარცხებული პრეზიდენტისაგან ნაკლებ წინააღმდეგობას ელოდა. მმართველი ელიტა ვერ ინაწილებს ძალაუფლებას, თან ნერვიულობს, როგორი იქნება ქართული პოლიტიკური სპექტრი 2013 წელს, პრეზიდენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პერიოდში, რაც ბუნებრივია, მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის ფონს ამზადებს. პოლიტიკური ბლიცკრიგის შემდეგ, ამ მიმართვით, ბიძინა ივანიშვილმა პროცესის დასრულების შემდეგ ბოლოჯერ გაიბრძოლა, რითაც შეეცადა, სააკაშვილი კუთხეში მიემწყვდია. მოკლევადიან პერსპექტივაში პრემიერი სააკაშვილის ფიგურას უმნიშვნელოს გახდის, თუმცა რამდენად მოახერხებს ამას გრძელვადიან პერსპექტივაში, დრო გვაჩვენებს. ცალსახაა, ბიძინა ივანიშვილსა და მიხეილ სააკაშვილს შორის არსებული ცუდი პირადი ურთიერთობა, რომელიც გუშინ არ დაწყებულა და ალბათ, თავისი ისტორია აქვს, ქართულ პოლიტიკაში საზიანო როლს ასრულებს.

**— პიროვნულ კონფლიქტამდე მისულმა პოლიტიკურმა დაპირისპირებამ პროცესები სადამდე შეიძლება მიიყვანოს?**

— არის თემები, რომელიც საზოგადოებისთვის უცნობია, ჩვენ მხოლოდ ურთიერთობების ესკალაციის ზედაპირს ვხედავთ და, სავარაუდოდ, ვერასოდეს გავიგებთ, რამ გამოიწვია დეკლარირებული პოლიტიკური კრიზისი.

პროცესებში გარესამყაროც მნიშვნელოვან როლს ასრულებს. საბედნიეროდ, დღეს ორივე პოლიტიკური ძალა აცნობიერებს, რომ დასავლელი პარტნიორების აზრის უგულებელყოფა დაუშვებელია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბიძინა ივანიშვილი მოწოდებით პოლიტიკოსი არ არის, დიდი მასშტაბის ბიზნესმენია და პროცესების მართვის საკუთარი სტილი აქვს. ადამიანის შეცვლა რთულია, ამიტომ პრემიერი ახლაც „ნაცმოძრაობას“ ისე უყურებს, როგორც ბიზნესში მოწინააღმდეგეს, პრინციპით — „ან ჩვენთან ხარ ან ჩვენი მოწინააღმდეგე ხდები“. ვნახოთ, პოლიტიკაში ეს პრინციპი რამდენად გაამართლებს, პროგნოზირება ახლა რთულია. „ქართულ ოცნებას“ ქვეყნის მართვის მექანიზმი აქვს, თუმცა მუდმივად პრეზიდენტთან ოპონირება უწევს, რომელიც ასევე სახელმწიფო ფიგურაა და აქტიურად ცდილობს პროცესებში კორექტივების შეტანას. კრიზისი არსებობს პრეზიდენტსა და პრემიერს შორის, ასევე პარლამენტში და იმ პოლიტიკურ ძალებს შორის, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ ჩამოშლას ცდილობენ. პიროვნულ დაპირისპირებაზე იმიტომ ვსაუბრობ, რომ „ნაცმოძრაობა“ ოქტომბერში, მას შემდეგ, რაც სააკაშვილი პრეზიდენტი აღარ იქნება, თავისთავად დასუსტდება. ეს ივანიშვილმაც კარგად იცის, მაგრამ სურს, ისე გააკეთოს ყველაფერი, სააკაშვილს პოლიტიკაში დარჩენის კი არა, დაბრუნების სურვილიც კი გაუქროს.

**— როცა საფრთხეზე საუბრობთ, რატომ არ ამახვილებთ ყურადღებას იმაზე, რომ პრეზიდენტს შეუძლია მთავრობისა და არჩეული პარლამენტის დათხოვნა?**

— რა თქმა უნდა, ეს საფრთხე არსებობს, მით უმეტეს, 19 აპრილს დაგეგმილი აქცია ემთხვევა პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადას, დაითხოვოს მთავრობა. წინასწარ შეუძლებელია პროგნოზის გაკეთება, მაგრამ შეძლებს ივანიშვილი პროცესების გაკონტროლებას? ზოგადად, უმრავლესობა ყოველთვის საფრთხისშემცველია და, სამწუხაროდ, ივანიშვილიც ამ გზით მიდის. კოალიციაში არსებული პარტიული სიჭრელე ვერ იქნება იმის გარანტი, რომ მრავალპარტიული პოლიტიკური პლატფორმა ჩამოყალიბდება. პოლიტიკურ გაერთიანებაში შესული პარტიები საკმაოდ სუსტები არიან და ივანიშვილს ოპონირებას ვერ გაუწევენ. ის ცალსახად, გამოკვეთილი ლიდერია, რომელთანაც შეწინააღმდეგების მექანიზმი კოალიციის წევრებს არ ექნებათ. ეს კარგად გამოჩნდა „თავისუფალი დემოკრატების“ მაგალითზეც, როცა ირაკლი ალასანიას აბსოლუტურად უწყინარი დისკუსიები არ აპატიეს.

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ ივანიშვილთან თანამშრომლობდით, რის გამოც ძმასთან, მიხეილ მაჭავარიანთან კონფლიქტიც გქონდათ. რეალურად, რა მოხდა?**

— დიახ, ბიძინა ივანიშვილს, მისივე თხოვნით, 2012 წლის დეკემბერში შევხვდი. მან იცოდა, რომ „ნაცმოძრაობის“ მიმართ კრიტიკულად ვიყავი განწყობილი, რასაც არგუმენტებითაც ვასაბუთებდი. ჩემი ძმა პარტიის ერთ-ერთ ლიდერად ითვლებოდა, მაგრამ ბოლოს აღმოჩნდა, რომ „ნაცმოძრაობაში“ მხოლოდ 2-3 ლიდერი იყო, რომელთაც სხვა ლიდერების რჩევები და მოსაზრებები ნაკლებად აინტერესებდათ. სწორედ ამიტომ მიიღეს ასეთი შედეგი. მათ რეალობის აღქმის უნარი დაკარგეს.

**ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრისას, ბევრი ვისაუბრეთ ქვეყნის საგარეო კურსზე, მიხეილ სააკაშვილსა და მის პოლიტიკაზე... მან „ქართულ ოცნებაში“ გაწევრიანება შემომთავაზა, მაგრამ მაშინ ჩავთვალე, რომ ჩემი საქმე არა შიდა, არამედ საგარეო პოლიტიკაში ჩართულობაა. შევთანხმდით, რომ პარტიული საქმიანობა ჩემი ცხოვრების სტილი არ იყო, მით უმეტეს, ჩემი ძმა „ნაცმოძრაობის“ გენერალურ მდივნად დაინიშნა. სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილთან ურთიერთობა ახლა არ დაწყებულა, ჩვენი ოჯახები ერთმანეთს დიდი ხანია იცნობენ.**
**მიუხედავად იმისა, რომ დავშორდით სიტყვებით „ყველაფერი გასაგებია“, აღმოჩნდა, რომ ეს საკმარისი არ ყოფილა. მაშინ საპარტნიორო ფონდიდან, რომლის ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობას ვიკავებდი, ნიკა გილაურის ბრძანებით, გამათავისუფლეს, მითხრეს, რომ ივანიშვილთან ურთიერთობის გამო, საპარტნიორო ფონდში ჩემი მუშაობა მიზანშეწონილი არ იყო, თუმცა ახალდანიშნულმა ირაკლი კოვზანაძემ, რომელიც ერთ დროს, პარლამენტში ნაციონალურ მოძრაობას წარმოადგენდა, ნიკა გილაურის ბრძანება ძალაში დატოვა იმ მიზეზით, რომ მიხეილ მაჭავარიანის ძმა ვარ. როცა ვლაპარაკობთ სამართლიანობასა და პროფესიონალიზმის აღდგენაზე, აღმოჩნდა რომ ორივე მხრიდან გავიჭყლიტე. ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილისთვის ეს ყველაფერი ცნობილი იყო.**

ეკა სეხნიაშვილი



# ნიკა გილაურს გიგი უგულავას საქმის გამო პროკურატურაში იბარებენ?!

## დეპუტატ გოგა ხაჩიძის გარემოს დაცვის მინისტრობისდროინდელ მასალებს საგამოძიებო უწყება სწავლობს

**მთავარი პროკურატურა ქართული პოლიტიკური ცხოვრების მთავარ მოქმედ გმირად რჩება. „ვერსიის“ ინფორმაციით, პროკურატურა საგანგებოდ დაკომპლექტებულ სპეცჯგუფს ქმნის, რომელსაც ყოფილ პროკურორებზე შესული საჩივრების შესწავლა დაევალება. აღნიშნული დილემის წინაშე კბილაშვილი მას შემდეგ დადგა, რაც ყოფილ პროკურორებზე ასობით საჩივარი შევიდა, მათ შორის ისეთებიც არიან, ვინც დღესაც საკვანძო პოსტებზე მუშაობს.**

მათ შორის ყოფილი პროკურორი ვალერი გრიგალაშვილი სახელდება, რომელსაც ლევან მამალაძის საქმის მოწმე უჩივის და ზეწოლაში ადანაშაულებს. აღნიშნული პირი რუსთავის ყოფილი საგადასახადოს უფროსის ყოფილი მძღოლია, მაშინდელი საქმისწარმოება კი ვალერი გრიგალაშვილის ქალაქის პროკურორობისდროინდელ პერიოდს უკავშირდება. სხვა პროკურორების საქმეებს „ვერსია“ მოგვიანებით შემოგთავაზებთ, მანამდე კი, პროკურატურის „მსხვერპლთა“ რიგში ყოფილი პრემიერი ნიკა გილაური და მოქმედი დეპუტატი გოგა ხაჩიძე დგანან. რას ედავებიან ამ ორ ჩინოვნიკს საგამოძიებო სტრუქტურები?! სანამ ხაჩიძეს პროკურატურაში დაკითხვაზე დაიბარებდნენ, ნაციონალური მოძრაობის წევრი და უმცირესობის დეპუტატი იუსტიციის მინისტრს, თეა წულუკიანს ახალ სკანდალს უცხობს. თუ აღნიშნული თემის ღერძულა ხაზს მივყვებით, გამოდის, რომ წულუკიანს იუსტიციის მინისტრობის უფლება „დიპლომის მიხედვით“ შესაძლოა, არ ერგებოდეს. ყოველ შემთხვევაში, ამას ვარაუდობს ხაჩიძე, რომელიც ასეთ განცხადებას სოციალური ქსელის საკუთარ გვერდზე აქვეყნებს:

**„კანონმდებლობით, იუსტიციის მინისტრი პროკურორიცაა. იგი უფლებამოსილია, გარკვეულ შემთხვევაში, პირს წაუყენოს ბრალი ანუ მას უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ იურისტის დიპლომი, არამედ იურისტის კონკრეტული კვალიფიკაცია. მაინტერესებს და გთხოვთ, თქვენც დაინტერესდეთ, რა იურიდიული კვალიფიკაცია აქვს დღევანდელ იუსტიციის მინისტრს. არის თუ არა ის პროკურორი? თუ ასე არაა, მაშინ თავდაცვის მინისტრის ტუალეტში გენშტაბის უფროსს ბრალი წაუყენა არაუფლებამოსილმა პირმა?! თეა წულუკიანის სპეციალობა დაიდოს დიპლომის მიხედვით. საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობების ფაკულტეტს ჰქონდა ორი პროფილი: სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების. თუ მან სამართლის პროფილით არ დაამთავრა, მაშინ უკანონოდ იკავებს იუსტიციის მინისტრის პოსტს! კანონი ცალსახად ითხოვს, უმაღლეს იურიდიულ განათლებას!**

**მუხლი 31. მოთხოვნები, რომლებიც წაეყენება პროკურორისა და პროკურატურის გამომძიებლის დასანიშნ პირებს: პროკურორად ან პროკურატურის გამომძიებლად შეიძლება დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, ფლობს სამართალწარმოების ენას“.**

ვიდრე ხაჩიძე წულუკიანის დიპლომით ინტერესდება, საგამოძიებო უწყება უკვე მასზე შესულ მასალებს სწავლობს და ამჯერად, გარემოს დაცვის მინისტრობისდროინდელ ერთ კონკრეტულ ფაქტს იკვლევს. შესაძლოა, ეს ჩვენამდე მოსული ინფორმაციის ნაწილი იყოს და „ველოსიპედის“ მოყვარულ დეპუტატზე „კომპრები“ სხვაც გროვდებოდეს.

**პროკურატურის საგამოძიებო უწყება 2012 წლის სექტემბერში, გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრის გარემოსდაცვითი კონფერენციის ხარჯვით ნაწილს შეისწავლის. შესაბამისი მასალები გარემოს დაცვის სამინისტროს მოქმედმა ხელმძღვანელობამ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო ნაწილს გადაუგზავნა, მაგრამ სისხლის სამართლებრივი დარღვევების შემთხვევაში, საქმეში პროკურატურა ავტომატურად ერთვება ხოლმე. 2012 წლის სექტემბერში თბილისში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „თბილისი+35“, რომელიც გარემოს დაცვის დაფინანსებითა და ორგანიზებით გაიმართა. როგორც ირკვევა, ბიუჯეტიდან აღნიშნული ღონისძიებისთვის 1 623 000 ლარი დაიხარჯა. სწორედ აღნიშნული ფინანსების მიზნობრიობას სწავლობს საგამოძიებო სტრუქტურა.**

პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილი კი „ცნობილ ეკოლოგს, კომპოზიტორსა და შეთავსებით ფოტოგრაფ გოგა ხაჩიძეს“ სამინისტროს ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვაზე მიუთითებს: მაშინ, როცა გაძვალტყავებული გარემოს დაცვის სამინისტროსთვის ბიუჯეტიდან სულ 12 მილიონით ფინანსდებოდა, მხოლოდ ერთი ღონისძიების ჩასატარებლად თითქმის 2 მილიონამდე ლარი გაიხარჯა. მოწვეული პირების ტრანსპორტირებასა და მომსახურებაზე თანხები გარემოს დაცვის სამინისტრომ გახარჯა და უწყებამ ერთი კონფერენციისთვის მთლიანი ბიუჯეტის 20% გაიღოო. კონფერენციას კი ესწრებოდნენ სტუმრები მსოფლიოს უშორესი ადგილებიდან: პალაუს რესპუბლიკიდან, სვაზილენდის რესპუბლიკიდან, ბურკინაფასოდან, უგანდიდან, მავრიტანიიდან და ა.შ. იკვეთება დარღვევა-ნაკლოვანებები გაწეული ხარჯების საქმეში, რაც უკვე საგამოძიებო უწყების დასადგენია. ეს მასალები საგამოძიებო სტრუქტურისთვის ხაჩიძეზე „სანადიროდ“ რამდენად ნაყოფიერი იქნება, ამას დრო აჩვენებს, მანამდე კი ალბათ, ყველაზე საინტერესო მაინც ის იქნება, ველოსიპედით მივა ხაჩიძე დაკითხვაზე თუ საინტერესო პიარ-აქციების მოყვარული დეპუტატი ახალ ტრიუკს ჩაუტარებს ივანიშვილის მთავრობას და საერთოდ არ გამოცხადდება?!

**გოგა ხაჩიძე** „ვერსიასთან“ საუბრისას შემდეგს აცხადებს: **„ძალიან მოხარული ვარ, თუ ამ საკითხებით ფინანსთა სამინისტრო დაინტერესდება, პროკურატურა, პრემიერი თუ მთელი ქვეყანა. ძალიან კარგია, თუკი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი ამით დაინტერესდება და სხვებისგან განსხვავებით, დათვლა მაინც ეცოდინებათ, რა არის მაღალი და დაბალი თანხა. გიორგი ცაგარეიშვილმა კარგად ჩაიხედოს და გაარკვიოს, მაღალი იყო თუ დაბალი ეს დაფინანსება. მე მის კომპეტენციას დიდად ვერ ვცემ პატივს და სასაცილო სიტუაციაში აღმოჩნდება მალე, როცა გაირკვევა. მიხარია, რომ საზოგადოება ახლა მაინც გაიგებს, რა დონის უპრეცედენტოდ მასშტაბური საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა გარემოს დაცვის სამინისტროს ეგიდით. აი, ასეთია ჩემი კომენტარი ამ საკითხზე“.**

დანამდვილებით ცნობილია, რომ ნიკა გილაური მთავარ პროკურატურაში ველოსიპედით არ მივა. ამჯერად, საქმე გაცილებით მნიშვნელოვან პოლიტიკურ თემასთან გვაქვს, გილაურს, როგორც წყარო იტყობინება, განმეორებით დაკითხავენ გიგი უგულავას საქმეზე. უგულავას საქმე პროკურატურისთვის საჯილდაო ქვად იქცა და ასე მარტივად არ ჩაივლის. საქმის ირგვლივ კიდევ რამდენიმე მაღალჩინოსანს მოუწევს კითხვების მოსმენა.

**რატომ დაიბარებენ განმეორებით ნიკა გილაურს კბილაშვილის უწყებაში? პროკურატურა ამჯერად, შემდეგ საკითხზე მუშაობს, ფინანსთა მინისტრად მუშაობის პერიოდში, ნიკა გილაურმა პარლამენტს არასწორი ინფორმაცია მიაწოდა, იცრუა თუ კიდევ სხვა?! თუკი აღმოჩნდება, რომ გილაურმა პროკურატურას პირველად არასწორი ან ცრუ ჩვენება მისცა, მაშინ ის დაახლოებით იმავე კონტექსტში ბუტა რობაქიძის საქმეში ხელმეორე ჩვენების შემდეგ დაპატიმრებული მაიზერ ლიპარტელიანის ბედს გაიზიარებს.**

თუმცა ეს მხოლოდ ვერსიაა, ჩვენ ჟურნალისტები ვართ და არა გამომძიებლები, რაიმე ვამტკიცოთ, მაგრამ ფაქტები პროკურატურის მასალებიდან, შემდეგზე მეტყველებს: რიყის ტერიტორია, რომელიც 2006 წელს თბილისის მერიამ 7 მილიონად გაყიდა, 2 წლის თავზე უკანვე გამოისყიდა 17 მილიონად. აქედან, როგორც გარემოებებით ირკვეოდა, 10 მილიონი ჯოზეფ კეისთვის იყო განკუთვნილი. იურიდიულად სიტუაციის დალაგება კი ასე მოხდებოდა: ჯოზეფ კეის ოფშორში რეგისტრირებულ ფირმასა და რიყის შემძენ კომპანიას შორის გაფორმდა ხელშეკრულება ძველი რიცხვით (2008 წლის აპრილი), რომლის მიხედვითაც, რიყის შემძენ კომპანიას ჯოზეფ კეის კომპანიისთვის, მმართველობითი დახმარების გაწევისთვის, 3 მილიონი დოლარი უნდა გადაეხადა. თუ სამ თვეში ვერ გადაიხდიდა, მაშინ ჯარიმის სახით, დაეკისრებოდა 10 მილიონი დოლარის გადახდა. რა ისეთი მმართველობითი მომსახურება უნდა გაეწია კეის ოფშორულ კომპანიას რიყის შემძენი კომპანიისთვის, რომ 3 მილიონი წინასწარ გადაეხადათ, ხოლო ჯარიმის სახით განესაზღვრათ 10 მილიონი? — პროკურატურა აღნიშნულ თემას დეტალურად სწავლობს.

მთავარი პროკურორის განცხადებით, 17 მილიონი, რომელიც გადაერიცხა კომპანია „ახალ რიყეს“, მერიამ ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსფერის სახით მიიღო. მაშინდელი ფინანსთა მინისტრი კი ნიკა გილაური იყო. 2008 წელს გილაური გამოდის პარლამენტში და დეპუტატებს უსაბუთებს მერიისთვის 25 მილიონი ლარის გადახდის აუცილებლობას. რას აცხადებდა გილაური მაშინ? არ შესრულდა ის საპროგნოზო მაჩვენებლები, რომელიც უნდა შესრულებულიყო თბილისში პრივატიზების შედეგად და მერიას დეფიციტი ჰქონდა. სწორედ ამ დეფიციტის გადასაფარად იყო საჭირო ცენტრალური ბიუჯეტიდან თანხის გადაქაჩვა მერიისკენო, თუმცა პროკურატურამ, მოწმეთა ჩვენებებისა და სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, დაადგინა, რომ საპრივატიზებო შემოსავლების კუთხით, 2008 წელს ქალაქის ბიუჯეტი 102%-ით შესრულდა. როგორც „ვერსიის“ წყარო აცხადებს, სწორედ ამ საქმეებს სწავლობს ძირეულად პროკურატურა.

**გილაურს პროკურატურაში ამ კითხვებზე მოუწევს, სავარაუდოდ, პასუხის გაცემა: მიაწოდა თუ არა პარლამენტს არასწორი ინფორმაცია, იცოდა თუ არა და თუ იცოდა, რატომ არ გადაამოწმა და რატომ მოითხოვა ამ ფულის გადარიცხვა ქალაქის ბიუჯეტში?**

გილაური ერთხელ უკვე იყო მოწმის სახით დაკითხული, თუმცა ვერ მოხერხდა იმის დაზუსტება, იყო თუ არა დაკითხვის ოქმში ამაზე საუბარი. თუ გილაურმა აღნიშნული დაფარა ან გამოძიებას არასწორი ჩვენება მისცა და მას პარლამენტის სხდომის სტენოგრამა ან სხვა მტკიცებულებები დაუდეს, მაშინ გილაურთან გამოძიებას სავარაუდოდ, სხვა ტიპის საუბარი ექნება. ლოგიკურად, გილაურს პრეზიდენტ სააკაშვილის ირგვლივაც დაუსვამენ კითხვებს, სავარაუდოდ, შემდეგ კონტექსტში, რამდენად იყო ინფორმირებული სააკაშვილი ამ ტრანზაქციების შესახებ და ვისგან მიიღო კონკრეტული დავალება გილაურმა, თანხის გადარიცხვის თაობაზე?! როგორც იტყვიან, ასეთ შემთხვევაში, გილაურს კუთხეში „მიიმწყვდევენ“. „ვერსია“ ეცადა ნიკა გილაურთან დაკავშირებას, თუმცა ყოფილი პრემიერი პრეზიდენტთან ერთად, აზერბაიჯანში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება და მასთან კონტაქტი ვერ მოხერხდა.

## გენადი ონიშჩენკო საქართველოში ჩამოსვლას გეგმავს



რუსი ექსპერტების მოსკოვში დაბრუნების შემდეგ, რუსეთის მთავარი სანიტარი გენადი ონიშჩენკო საქართველოში ჩამოსვლას გეგმავს და აცხადებს: **„რა თქმა უნდა, მე ჩავალ საქართველოში, თუმცა ჯერჯერობით, ეს საკითხი დეტალურად არ განხილულა“.**

„როსპოტრებნადზორის“ ქართულ საწარმოებში ინსპექცია გეგმურად მიმდინარეობს და რუსმა სპეციალისტებმა საწარმოების ძირითადი ნაწილი უკვე მოინახულეს. რუსი ექსპერტების 6-კაციანი ჯგუფი საქართველოში 25 თებერვალს ჩამოვიდა. „როსპოტრებნადზორის“ ხელმძღვანელმა საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის განცხადების შემდეგ აღნიშნა, შეიძლებოდა რუსი ექსპერტები უკან გაეწვია, თუმცა ისინი საქართველოს ხვალ დატოვებენ.

## გიორგი მიქელაძე: „ტელეკომპანია „იმედის“ 15%-იანი წილი ფიქტიურად, მერაბიშვილის მუქარით შევიძინე

ტელეკომპანია „იმედის“ წილის ყოფილი მფლობელის, გიორგი მიქელაძის განცხადებით, მან „იმედის“ 15%-იანი წილი ფიქტიურად, შს ყოფილი მინისტრის ვანო მერაბიშვილის მუქარით შეიძინა.

ამის შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ჩვენებაშია აღნიშნული. გიორგი მიქელაძე ტელეკომპანია „იმედის“ 15%-იან წილს ფლობდა.

**„2006 წელს მე და მიხეილ ძაძამიამ დავაფუძნეთ სამშენებლო კომპანია შპს „ტექს ჯგუფი“, რომელიც ახორციელებდა სამშენებლო სამუშაოებს თბილისის ტერიტორიაზე. 2007 წლის გაზაფხულზე წამოვედი აღნიშნული კომპანიიდან, ერთი პროექტი წამოვიღე და ახალი კომპანია შპს „გრატო პასაჟი“ დავაფუძნე. აღნიშნული კომპანიაც სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებს ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე. ამ საწარმოში ვარ 80%-იანი წილის მფლობელი, ხოლო დანარჩენ 20%-ს ვაკო ტოგონიძე ფლობს. სწორედ ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე დაინტერესდა ძველი ხელისუფლება, კერძოდ, იმდროინდელი შსს მინისტრი ვანო მერაბიშვილი, რომელთანაც ადრე მქონდა გარკვეული სახის შეხება. კერძოდ, 2007 წელს მიმდინარეობდა მშენებლობა ქალაქ გორში და იმდროინდელი სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლები დაგვიბარა შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა, რომელმაც გაგვაცნო აღნიშნული მშენებლობის პროექტი და შემოგვთავაზა მონაწილეობა. შეხვედრები გვქონდა ძველ შს სამინისტროს შენობაში, რომელიც ორთაჭალაში მდებარეობდა. ბოლოს ვანო მერაბიშვილმა დამიბარა 2011 წლის ნოემბერში, რომელიც შეხვედრისას შეეხო არა სამშენებლო საქმიანობის, არამედ ტელეკომპანია „იმედის“ თემას. ჩვენს გარდა, შეხვედრას არავინ ესწრებოდა, მერაბიშვილმა მითხრა, რომ პანამაში არსებობდა კომპანია „რააქ ჯორჯია ჰოლდინგი“, რომელიც ფლობდა „ჯორჯიან მედია ფროდაქშენის“ 90%-იან წილს (ტელეკომპანია „იმედის“ დამფუძნებლის) და აღნიშნული წილიდან გარკვეული ნაწილი უნდა შემეძინა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დამემუქრა ჩემი ბიზნესის ლიკვიდაციით და ამასთან, გამაფრთხილა, რომ ყველაფერი მარტო ბიზნესის წართმევით არ დამთავრდებოდა, ასე ვთქვათ, მისი მხრიდან იყო მუქარა. აქვე დავძენ, რომ არ მინდოდა საერთოდ მონაწილეობა პროექტში, ვინაიდან ვიცოდი, ადრე თუ გვიან, პრობლემები შემექმნებოდა, თუმცა სხვა გზა არ მქონდა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩემს ოჯახს და ბიზნესს საფრთხე დაემუქრებოდა“,** — აცხადებს მიქელაძე.

*„პირველი“*

## „მოხალისედ — პრეზიდენტის დაცვის სამსახურში!“




„მე დაგიცავ, პრეზიდენტო“ — „ფეისბუქში“ ამ სახელწოდების ივენტი გაიხსნა. ვებმომხმარებელი ელისო კეთილაძე თანამოაზრეებს მოხალისეებად იწვევს და პრეზიდენტის დაცვას თავაზობს.

**„დღევანდელმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ სიტუაცია ჩიხში შეიყვანა, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს არ ჰყავს დაცვა. ვისაც სურს დაიცვას პრეზიდენტი, შეუძლია მოხალისედ ჩაეწეროს ამ ჯგუფში“,** — წერია ივენტის აღწერაში.

ამ ეტაპზე, პრეზიდენტის დაცვის წევრობა 100-მდე ვებმომხმარებელს სურს.

ცნობისთვის, პრეზიდენტმა სახელმწიფო დაცვაზე უარი რამდენიმე დღის წინ თქვა. გუშინ კი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ის აეროპორტში აზერბაიჯანში ვიზიტით წასვლამდე, დაცვის გარეშე მივიდა. პრეზიდენტი „ნისანის“ მარკის ელექტრომობილს თავად მართავდა. „ფეისბუქში“ კი გავრცელდა ფოტო, რომლის აღწერის მიხედვითაც, საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს დაცვის მანქანები გვერდით, მოშორებით მიყვება.

პრეზიდენტის მიერ სახელმწიფო დაცვაზე უარის თქმის შესახებ განცხადებას სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური გუშინ გამოეხმაურა. მათი განცხადებით, სამსახური ამჟამად ჩვეულ რეჟიმში ახორციელებს პრეზიდენტის დაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფას და იღებს ვალდებულებას, დაიცვას მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტის დაცვის სპეციალური სამსახურის ჩამოყალიბებამდე.

*„ნიუს.გე“*

## ტერაქტში ბრალდებული ვოვა არუთინიანის საქმე არ გადაიხედება



ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის წინააღმდეგ ტერაქტში ბრალდებული, ვოვა არუთინიანის საქმე არ გადაიხედება, — ამის შესახებ ინფორმაციას ბრალდებულ ვოვა არუთინიანის დედა, ანჟელა არუთინიანი ავრცელებს და აცხადებს, რომ იუსტიციის სამინისტროსგან მიიღო პასუხი მის წერილზე, რომლის მიხედვითაც, ირკვევა, რომ მისი შვილის საქმე არ გადაიხედება. ანჟელა არუთინიანი ამბობს, რომ წერილი მან მისი შვილის საქმის გადახედვის მოთხოვნით, იუსტიციის სამინისტროში 4 იანვარს გაგზავნა, ხოლო პასუხი 4 თებერვალს მიიღო.

**„მივიღე პასუხი 4 თებერვალს, სადაც წერია, რომ აღნიშნული განაჩენი არის კანონიერ ძალაში შესული და მისი გაუქმებისთვის, დღეის მდგომარეობით, არ არსებობს ახლადგამოვლენილი არც ერთი გარემოება, ე.ი. არ გადახედავენ საქმეს“,** — განაცხადა ანჟელა არუთიანიანმა.

ანჟელა არუთინიანი მიიჩნევს, რომ მისი შვილი უდანაშაულოა, მას პოლიტპატიმრის სტატუსი უნდა მიენიჭოს და მოითხოვს მის გათავისუფლებას. არუთინიანი ისევ გეგმავს შესაბამისი უწყებებისთვის ოფიციალური წერილის მიწერას და ახალი გარემოებების სახით, როგორც ის აცხადებს, თან დაურთავს გაზეთებში გამოქვეყნებულ სტატიებს, სადაც პრეზიდენტის დაცვის სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილე წერს, რომ ე.წ. ლიმონკის სროლის ფაქტი არ არის დაფიქსირებული.

**„ჩემი შვილი უდანაშაულოა, ჩემს შვილს საქართველოსთვის ცუდი არაფერი გაუკეთებია. მართალია, ჩვენ სომხები ვართ, მაგრამ ეს ჩვენი სამშობლოა და გვიყვარს. ჩემს შვილს არც ამერიკასთან და არც რუსეთთან საქართველო არ გაუყიდია“,** — აცხადებს ანჟელა არუთინიანი.

ვოვა არუთინიანს 2006 წელს, აშშ-ს მაშინდელი პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის საქართველოში ვიზიტის დროს, პრეზიდენტის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის განხორციელებაში ედება ბრალი. ვოვა არუთინიანს სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი და ბრალს №7 დაწესებულებაში იხდის.

*„ინტერპრესნიუსი“*

# მამუკა არეშიძე ივანიშვილის „თავაშვებული“ მინისტრების წინააღმდეგ



### ექსპერტი „ქართული ოცნების“ შეცდომებზე საუბრობს და ქვეყანაში „ქაოსს“ არ გამორიცხავს

## „ბევრ რამეს ვერ ვხედავ, რისი მოლოდინიც ხელისუფლებისგან მქონდა!“



რუსუდან შელია
557-100-768

**პარლამენტის თავმჯდომარესა და პრეზიდენტს შორის დაწყებული მოლაპარაკების უშედეგოდ დასრულების შემდეგ, პროცესში პირადად, ბიძინა ივანიშვილი ერთვება და 2-3 დღეში მიხეილ სააკაშვილისგან, ყოველგვარი „კი, მაგრამ“-ისა და „დღეს არა, ხვალ“-ის გარეშე, კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებზე პოზიციის მკაფიოდ დაფიქსირებას ითხოვს. გადადის თუ არა ბიძინა ივანიშვილი რადიკალურ პოლიტიკურ ქმედებებზე და რატომ გადაიმტერა თანაგუნდელების უმრავლესობა? „ვერსიის“ კითხვებს „ქართული ოცნების“ წევრი, ექსპერტი მამუკა არეშიძე პასუხობს.**

— როგორც იქნა, პრეზიდენტისადმი გაგზავნილ მიმართვაში ბიძინა ივანიშვილის რეალური ხასიათი გამოჩნდა. მას საკმაოდ კარგად ვიცნობ და ვიცი, ბუნებით კატეგორიული პიროვნებაა, რაც გარკვეული მიზეზების გამო, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ არ გამოუვლენია, კოალიციის მიმართაც კი. ფაქტია, მიმართვას ულტიმატუმის ფორმა ნამდვილად აქვს, აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკური დათმობით დაიღალა!

**— ორდღიანი ვადის ამოწურვის შემდეგ, პრემიერისგან რა სახის რადიკალურ ნაბიჯებს უნდა ველოდეთ, როცა პრეზიდენტი პოზიციას მკაფიოდ არ აფიქსირებს და კვლავ მოლაპარაკების გაგრძელებაზე საუბრობს?**

— შევთანხმდეთ, რომ ქვეყანაში სამართლის აღდგენა აუცილებელი პირობაა, რადგან მხოლოდ სოფლის მეურნეობის აღორძინება შედეგზე ორიენტირებული ვერ იქნება. გაითვალისწინეთ ის ფაქტიც, რომ ბიძინა ივანიშვილის წერილი კერძო კი არა, საჯაროა.

**პრემიერის ამ ნაბიჯში ავტომატურად იგულისხმება — მიშას ამ ფორმით ადრეც ვესაუბრე, მაგრამ ის ჩემ წინადადებას არ იღებს, ამიტომ დროა, კულისებში საუბარი დავასრულოთ და პროცესში საზოგადოებაც ჩაერთოსო. ასე რომ, ბიძინა ივანიშვილი კი არ ელოდებოდა პრეზიდენტისგან პასუხს, არამედ სრულიად ქართველი ერი, რომელიც პრაქტიკულად, სააკაშვილის მოწინააღმდეგეა. დიახ, არ გამოვრიცხავ, ბიძინა ივანიშვილის ულტიმატუმს შესაბამისი ქმედებებიც მოჰყვეს და დელიკატური მიდგომა სამართლის დამრღვევ ყოფილ ჩინოვნიკებთან გამკაცრდეს. სულხან მოლაშვილი 37 ათასი ლარისთვის აწამეს, უგულავამ კი ბიუჯეტიდან მილიონები მოიპარა. რატომ უნდა დახუჭოს სახელმწიფომ ამ უკანონობაზე თვალი?**

**— პროკურატურის შუამდგომლობებს სასამართლო არ აკმაყოფილებს. გაუგებარია, რა მეთოდით გაამკაცრებს ივანიშვილი „ნაციონალებთან“ დელიკატურ მიდგომას. პრემიერსა და პრეზიდენტს შორის პირისპირ მოლაპარაკებებს ელოდებით?**

— ბიძინა ივანიშვილსა და მიხეილ სააკაშვილს შორის პირისპირ მოლაპარაკებები, სავარაუდოდ, დაიწყება, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს საჭირო არ არის. ამ შემთხვევაში ვსაუბრობ არა როგორც ექსპერტი, რომელსაც მუდმივად ნეიტრალური პოზიცია უნდა ჰქონდეს, არამედ ადამიანი, რომელიც ხვდება, რომ საქართველო უმძიმესი გამოცდის წინაშე დგას. სამწუხაროდ, თავის მხრივ, პრობლემები ხელისუფლებასაც აქვს, რადგან ფაქტობრივად, ფორმალურ მდგომარეობაში იმყოფება. უნდა ვაღიაროთ, რომ კოალიცია ერთიან ორგანიზაციულ ძალად ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა. ზოგი მინისტრი მასშტაბურად ვერ აზროვნებს, ზოგი კი მის წინაშე დასახულ ამოცანებს ვერ ხვდება. კონკრეტულად ვერ დაგისახელებთ, თუმცა ბევრი მინისტრი მსგავსი დამოკიდებულების გამო გადავიმტერე. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ქარის წისქვილებთან მეომარი ვარ, არადა ვცდილობ, ყველა მივახვედრო, რომ მდგომარეობა უნდა შეიცვალოს და ქართველი ხალხის მიერ არჩეულმა პარლამენტმა მასში არსებული პერსპექტივა სწორად უნდა გამოიყენოს.

**— კონკრეტულად, რა პროცესები მიდის არასწორად?**

**— სამინისტროებში არაერთი პრობლემა დაგროვდა, მათ შორის, საჯარო სამსახურებში არსებობს „მეხუთე კოლონა“, რომელიც შიგადაშიგ, საბოტაჟის მცდელობის სურვილს ავლენს. ვიცი, თანამშრომლებს, მათ შორის, პროკურატურაში, ნაციონალური მოძრაობის წევრები დღემდე აშანტაჟებენ და მათი ინტერესების გატარებას სთხოვენ, ზოგიც იდეურად დაკავშირებულია ყოფილ მმართველ ძალასთან და საბოტაჟზე შეგნებულად მიდის. ვაწყდებით კურიოზულ სიტუაციებსაც, როცა ახალი დანიშნული პროკურორები ამბობენ, რომ საქმეების უმეტესობას ხელს ვერ კიდებენ, რადგან დამნაშავეები გვერდით მაგიდასთან სხედან.**

**— და რატომ არ იქცევა ხელისუფლება ვითარების ადეკვატურად? სხვათა შორის, არჩილ კბილაშვილმა უკვე შექმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც პროკურორების წინააღმდეგ შესულ საჩივრებს შეისწავლის.**

— სამწუხაროდ, მაღალ თანამდებობაზე დანიშნულ პირებს ბევრის გაკეთება შეუძლიათ, მაგრამ ამის სურვილი არ აქვთ, ამ შემთხვევაში, კუბლაშვილს არ ვგულისხმობ. არჩევნებიდან მხოლოდ ხუთი თვე გავიდა და ჯერ კიდევ სიტუაციის შესწავლის პროცესი მიმდინარეობს. პარალელურად, იგრძნობა დასავლეთის მხრიდან მომავალი აზრის ზონდირება... მესმის ის ფაქტორიც, რომ „ქართულ ოცნებას“ ხელ-ფეხი ჯერ კიდევ შებოჭილი აქვს, რადგან აპრილის მეორე ნახევარში მიხეილ სააკაშვილს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებისა და რადიკალური ზომების მიღების უფლება აქვს, თუმცა როგორც ქვეყნის პატრიოტი, ხმამაღლა ვამბობ, ბევრ რამეს ვერ ვხედავ, რისი მოლოდინიც ხელისუფლებისგან მქონდა! ჩვენ ანგარიშს ვუწევთ დასავლეთს, საზოგადოება კი სამართლიანობის აღდგენას ითხოვს, არადა ვითარების დალაგება მარტივად შეიძლება ისე, რომ საერთაშორისო პარტნიორებსაც გაუწიო ანგარიში და ხალხისთვის საჭირო საქმეც გააკეთო. ამ დროს, მინისტრთა კაბინეტში ზოგი თავგადაკლული ცდილობს საქმის კეთებას, ზოგი კი კომფორტულ კაბინეტში შევიდა და კარი მოხურა. ეს სერიოზული ორგანიზაციული ხარვეზია.

**— აღიარებთ, რომ ბიძინა ივანიშვილის მიერ შერჩეულმა მინისტრთა კაბინეტმა, კრახი განიცადა?**

— შესაძლოა, ხუთი თვის განმავლობაში შეცდომა დაუშვა, მაგრამ მის გამოსწორებაზე ხომ უნდა იზრუნო?! უწყებრივი კამათი საჭირო არ არის, უწყებათაშორისი ჯგუფების შექმნაა აუცილებელი, ამასთან, აუცილებელია, კაბინეტის კარის გაღება და ტელეფონის ზარებზე პასუხი. შესაძლოა, ბიძინა ივანიშვილმა მინისტრების თავაშვებულობის შესახებ ყველაფერი ჩემზე უკეთ იცის...

**არაერთხელ მითქვამს მათთვის, ნუ ეცდებით, ბიძინა ივანიშვილი მოატყუოთ, რადგან ხვალ თუ ზეგ, თქვენივე ტყუილი ცუდად დაგიბრუნდებათ. ამის მაგალითები ჩემი თვალით მაქვს ნანახი. სამწუხაროდ, წლების განმავლობაში ბიძინა ივანიშვილი ჩაკეტილ წრეში ცხოვრობდა და მის ირგვლივ კადრების სიმწირე იყო, მის გარშემო მხოლოდ „ქართუ ჯგუფის“ ხალხი ტრიალებდა. მათი უმეტესობა სწორად ორიენტირებული ადამიანი კია, მაგრამ მაინც არა მგონია, სახელმწიფო სამსახურში ყველას გამოყენება სწორი ტაქტიკა იყოს. სწორედ ამ შეცდომებით სარგებლობს ნაციონალური მოძრაობა და უკვე ხელისუფლებაში დაბრუნების ალბათობაზეც საუბრობს, რაც შესაძლებლად მიმაჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში დიქტატურა დამყარდა.**

**— „ნაციონალების“ მხრიდან დიქტატურის დამყარების მცდელობას 19 აპრილს უნდა ველოდეთ, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი იუმორით უყურებს?**

— იდეალურ ვარიანტში, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს, მიხეილ სააკაშვილმა გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა, გააუქმა პარლამენტი და მთავრობაც, ხოლო მმართველობა კვლავ ნაციონალურმა მოძრაობამ აიღო ხელში. აი, სწორედ ეს არის დიქტატურის დამყარება, რაც მიხეილ სააკაშვილს არ აწყობს, მაგრამ მის ირგვლივ ცაიტნოტურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანები აიძულებენ ამ ნაბიჯის გადადგმას.

**ნამდვილად არ გამოვრიცხავ, 19 აპრილს სამოქალაქო დაპირისპირებამდე მივიდეთ, თანაც ამ დღეს განყენებულად არ ვუყურებ და მიმაჩნია, რომ ნაციონალური მოძრაობა აქციების სერიას მანამდეც შემოგვთავაზებს. 19 აპრილი მხოლოდ კულმინაცია იქნება.**

**— დიქტატურის დამყარებას საზოგადოება შეეგუება?**

— სწორედ ესაა საქმე. „ნაციონალებს“ საზოგადოებასთან დაპირისპირება აწყობთ, რათა ქვეყანაში არეულობით დასავლეთი „აღაშფოთონ“. ზოგი ჩემი კოლეგა ამბობს, რომ „ნაცმოძრაობას“ ამ სცენარის განსახორციელებლად რესურსი არ გააჩნია, მე კი ვამტკიცებ, რომ მათ, როგორც საორგანიზაციო, ისე მატერიალური შესაძლებლობები საკმარისზე მეტი აქვთ. კი, ბატონო, „ნაციონალებს“ ელექტორატი არ ჰყავთ, მასშტაბური აქცია რომ გამართონ, თუმცა რუსთაველზე, სამი ათასი კაცისთვის თავისმოყრა არ გაუჭირდებათ, რაც საკმარისია ქაოსის შესაქმნელად. ვნახეთ, უგულავას მხარდასაჭერ აქციაზე რამდენი ადამიანი მოვიდა, ამიტომ ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილსა და მიხეილ სააკაშვილს შორის მოლაპარაკებები განახლდება. მერწმუნეთ, პირადი შეთანხმებები ყოველთვის პარტიულ მოლაპარაკებებზე მაღლა დგას.

**— თუ პრემიერი მიმართვის შემდეგ კატეგორიული გახდა, მოსალოდნელი დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად რა გზა რჩება?**

— იმისთვის, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ ულტიმატუმის ენით საუბარი შეწყვიტოს, უკანონო ფინანსური წყაროები მაინც უნდა მოვუსპოთ. როგორ შეიძლება კეზერაშვილი, რომელსაც მონოპოლია აქვს, ისევ იღებდეს ფულს წვრილი მევაჭრეებისგან. ეს ფული ხომ, საბოლოო ჯამში, „ნაცმოძრაობის“ ყულაბაში მიდის. გააუქმე კანონი და დამთავრდა კეზერაშვილობა!

# „საქართველოს ბანკის“ კიდევ ერთი წარმატებული პროექტი

**„საქართველოს ბანკმა“, 28 თებერვალს, ჟურნალისტებს კიდევ ერთხელ დაუმტკიცა, რომ სტერეოტიპი იმის შესახებ, თითქოს ბანკები სამშენებლო სექტორს არ ეხმარებიან, არასწორია — ბანკისა და მედიის წარმომადგენლებმა სანდრო ეულის ქუჩაზე, 7 ნომერში მდებარე ახალაშენებული საცხოვრებელი კომპლექსი მოინახულეს.**




## სანდრო ეულის ქუჩაზე 114-ბინიანი კორპუსის მშენებლობა დასრულდა

მშენებლობა უკვე დასრულებულია. პროექტი, „საქართველოს ბანკის“ ფინანსური მხარდაჭერით, კომპანია „ტეტრისმა“ განახორციელა. საცხოვრებელი სახლი 114 ბინასა და 3000 კვმ-ზე მეტ კომერციულ/საოფისე ფართს მოიცავს. ყველა ბინა უკვე გაყიდულია. მობინადრეების ნაწილი უკვე გადასულია საცხოვრებლად. ნაწილი კი, ეტაპობრივად გადადის. რაც შეეხება საოფისე ფართებს, კომპანია მათ გაქირავებას გეგმავს. ჯამში, კომპანია „ტეტრისმა“ 11,815 კვმ მოცულობის სამშენებლო ფართი აითვისა.

კომპანია „ტეტრისის“ დირექტორის, დავით ფანჯაკიძის განმარტებით, „საქართველოს ბანკი“ მათ პროექტის განხორციელების თითქმის ყველა ეტაპზე დაეხმარა — ჯერ გამოსყიდვის პროცესში, შემდეგ კი, მშენებლობის დროს, როცა ბანკმა „ტეტრისს“ საკრედიტო ხაზი გამოუყო. **დავით ფანჯაკიძე: „ამ ადგილას ძველი კარკასული შენობა და 1 ჰა მიწის ნაკვეთი იყო. შევიძინეთ, ვაწარმოეთ გამაგრებითი სამუშაოები და შევქმენით ეს კომპლექსი. პროექტი წელიწადნახევარში განვახორციელეთ. დღეის მდგომარეობით, ვალდებულება შესრულებულია მოსახლეობისა და „საქართველოს ბანკის“ წინაშეც.**

**პროექტმა გაამართლა, რადგან გათვლა გვაქვს ეკონომკლასის ბინებზე. ფართები 36 კვ.მ-დან იწყება. მსურველებს შეუძლიათ, ფართობების გაერთიანებაც. ფასები საშუალო შემოსავლების მქონე ადამიანებისთვის ხელმისაწვდომია. გვყავს, სამშენებლო ბრიგადები, რომლებიც ყველა ტიპის სამუშაოებს უზრუნველყოფენ და სურვილის შემთხვევაში, სახლების გარემონტებაც შეუძლიათ, მაგრამ ძირითადად, ბინები „შავი კარკასის“ ეტაპზე ჩავაბარეთ. „საქართველოს ბანკთან“ თანამშრომლობის ფარგლებში, ეს პირველი პროექტია. სამომავლოდაც ვგეგმავთ, სხვა პროექტების განხორციელებას“.**

საქართველოს წამყვან ბანკთან თანამშრომლობას რომ გეგმავენ, ამას ის პროექტიც ადასტურებს, რომლის დაფინანსების შესახებ მოლაპარაკებები უკვე მიდის. საქმე, იმავე ადგილას, სანდრო ეულის ქუჩაზე, გვერდით მდებარე დანგრეულ შენობას ეხება, რომელსაც მალე „ტეტრისი“, „საქართველოს ბანკის“ დახმარებით, ახალ, კომფორტულ და სასურველ საცხოვრებელ კომპლექსად აქცევს. სიტყვა „მალე“ გადამეტებული არ გეგონოთ — კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ეს პროექტიც მაქსიმუმ, წელიწადნახევარში დამთავრდება.

აღნიშნული პროექტი გაცილებით დიდია. შესაბამისად, მეტი იქნება მისი საკრედიტო ხაზიც — სავარაუდოდ, ბანკი ამ პროექტისთვის მილიონნახევარ ლარზე მეტს გამოყოფს.

მეორე საცხოვრებელი კომპლექსის დასრულების შემდეგ, შენობებს შორის ულამაზესი სათამაშო მოედანი გაკეთდება, სადაც ბინების ყველაზე პატარა ბინადრები გაერთობიან. მიმდებარე ტერიტორიის დარჩენილ ნაწილს კი, პარკინგისთვის გამოიყენებენ. უკვე აშენებულ კორპუსს, ულამაზესი ტერასაც დაამშვენებს.

„საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე არჩილ გაჩეჩილაძემ, ახალაშენებულ საცხოვრებელ კომპლექსთან ერთად, ის ადგილიც სიამაყით გვაჩვენა, სადაც დღეს მხოლოდ ნანგრევებია, მაქსიმუმ წელიწადნახევარში კი, ლამაზი შენობით დამშვენდება. გაჩეჩილაძემ ისიც განგვიმარტა, რომ „საქართველოს ბანკი“ სამშენებლო სექტორის დაფინანსებას მომავალშიც გააგრძელებს.

**არჩილ გაჩეჩილაძე: „ეს „საქართველოს ბანკის“ მიერ განხორციელებული კიდევ ერთი წარმატებული პროექტია. მის წარმატებას ისიც ამტკიცებს, რომ ფაქტობრივად, ყველა ბინა უკვე გაყიდულია. ეს პროექტი „საქართველოს ბანკმა“ 750 000 ლარით, მეორე ეტაპზე კი დამატებით — 200 000 ლარით დააფინანსა.**

**„ტეტრისს“ ჰქონდა საკუთარი კაპიტალი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, პროექტი საინტერესოა, გათვლა კი, სწორ სეგმენტზეა გაკეთებული. აქ ბინები 20-30 ათასად იყიდება და ამ თანხის გადახდა, ბევრს შეუძლია. ამან განაპირობა ის, რომ ამ საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა დავაფინანსეთ და აქვე, მეორე პროექტის დაფინანსებასაც ვაპირებთ. ზოგადად, „საქართველოს ბანკი“ დეველოპერული ბიზნესის დახმარებას მომავალშიც გააგრძელებს“.**

„საქართველოს ბანკის“ წარმომადგენლების თქმით, ბანკი 2013 წელსაც აქტიურად განაგრძობს კორპორატიული კლიენტების დაფინანსებას. მათ შორის, ჯანსაღი, ეკონომიკურად გამართლებული, სამშენებლო პროექტების მხარდაჭერას, როგორც ქალაქის ცენტრში, ასევე გარეუბნებში. საქართველოს ბანკმა, 2012 წლის განმავლობაში, ჯამში, 20 მილიონამდე აშშ დოლარზე მეტი მოცულობის სესხი გასცა სამშენებლო სექტორზე. ამასთან, 2008 წლის შემდგომ, კრიზისის პერიოდში, გაჩერებულ 8 პროექტს გვერდით დაუდგა და 50 მილიონ აშშ დოლარამდე მოცულობის კრედიტით დააფინანსა. დღეის მდგომარეობით, ბანკის მიერ დაფინანსებული სამშენებლო პროექტების რიცხვი, რომელთა ნაწილიც წარმატებით დასრულებულია, ნაწილი კი მშენებლობის პროცესშია, 15-ს აღემატება. „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე არჩილ გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ საინტერესო და რაც მთავარია, დროულად, წარმატებულად განხორციელებულ პროექტებს ბანკი მომავალშიც აქტიურად შემოგვთავაზებს.

*ნინო ლურსმანაშვილი*

# სააკაშვილის ოფიციალური ვიზიტი ბაქოში

უკვე 5 კვირაა, დაცვის გარეშე დავდივარ — ეს განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა 27 თებერვალს, აზერბაიჯანში გამგზავრებამდე, თბილისის აეროპორტში გააკეთა, სადაც მეუღლესთან ერთად, ელექტრომობილით, კორტეჟის გარეშე მივიდა. სააკაშვილი ელექტრომობილს თავად მართავდა.

პრეზიდენტსა და პირველ ლედისთან ერთად, აზერბაიჯანში გაემგზავრნენ თბილისის მერი გიგი უგულავა მეუღლესთან ერთად, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური და საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლები.

ბაქოში, ილჰამ ალიევთან გაფართოებული შეხვედრის დაწყებამდე სააკაშვილმა აზერბაიჯანის მნიშვნელობაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ ვინც უნდა იყოს საქართველოს ხელისუფლებაში, ამ მნიშვნელობას გააცნობიერებს. მისივე თქმით, პრაქტიკულად, მშობლიურ ბაქოში ყოფნა ქართული დელეგაციისთვის დიდი პატივია, რადგან **„ის არა მხოლოდ ერთ-ერთი**



**რეგიონული ცენტრია, არამედ ერთ-ერთია მსოფლიოს შესანიშნავ და საინტერესო ქალაქებს შორის“**. საქართველოს პრეზიდენტმა ბაქოში ილჰამ ალიევის ინაუგურაციაზე ვიზიტი გაიხსენა და განაცხადა, რომ არ ეგულება არც ერთი ქვეყანა, მათ შორის უფრო დიდი და მდიდარიც კი, რომელიც ისეთი ტემპებით ვითარდებოდეს, როგორც აზერბაიჯანი: **„ეს თქვენი და თქვენი ხალხის დამსახურებაა. ეს მსოფლიოს და რეგიონის მოაზროვნე და ინფორმირებული ნაწილის აღფრთოვანებას იმსახურებს. მოხარული ვარ, საქართველოს პრემიერ-მინისტრი სამთავრობო დელეგაციასთან ერთად, აზერბაიჯანში იმყოფებოდა. ვფიქრობ, ვინც უნდა იყოს საქართველოს ხელისუფლებაში, გააცნობიერებს აზერბაიჯანის მნიშვნელობას და ვერ შეძლებს, არ გააგრძელოს კურსი, რომელიც დაწყებული იყო. ესაა ორი ერის კურსი, რომელსაც არ აქვს ალტერნატივა, განვითარების სხვა ვარიანტი სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავების გარდა, უბრალო მოქალაქეების, ბიზნესის, მთავრობების, პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის დონეზე“.**

საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა ორმხრივ ურთიერთობაზე ისაუბრეს და სამომავლო თანამშრომლობის საკითხებზე იმსჯელეს, საუბარი საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებსაც შეეხო.

მხარეებს შორის შეხვედრა გაფართოებული შემადგენლობაც გაიმართა. დელეგაციების წევრებმა კონკრეტულ სფეროებში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები განიხილეს. ორი ქვეყნის ლიდერებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ვიზიტის ფარგლებში მიმდინარე მოლაპარაკებები რეგიონული თანამშრომლობის განმტკიცებასა და შემდგომ განვითარებას შეუწყობს ხელს.

მოგვიანებით, საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა ერთობლივი განცხადებები გააკეთეს. ლიდერებმა შეხვედრის დეტალებსა და იმ პროექტებზე ისაუბრეს, რომლებსაც ორი ქვეყანა ერთობლივად ახორციელებს, კერძოდ, ყურადღება ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის პროექტის მნიშვნელობაზე გაამახვილეს. სააკაშვილის თქმით, ეს სარკინიგზო მაგისტრალი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს შეესაბამება და ის რეგიონული თანამშრომლობის ასპექტში უნდა განვიხილოთ, რადგან მას გეოპოლიტიკური და სტრატეგიული დატვირთვა აქვს.

ბაქოში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ქართული დელეგაცია მილი მეჯლისის თავმჯდომარესა და დეპუტატებსაც შეხვდა.

ბაქოში ოფიციალური შეხვედრების დასრულების შემდეგ, „განჯლიკის“ სასახლეში, აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევისა და პირველი ლედის მეჰრიბან ალიევას სახელით, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და სანდრა რულოვსის პატივსაცემად, ოფიციალური მიღება გაიმართა. ოფიციალური მიღების შემდეგ, ილჰამ ალიევმა და მეჰრიბან ალიევამ სტუმრები სასტუმრომდე მიაცილეს. აზერბაიჯანის პრეზიდენტი თავად მართავდა ავტომანქანას, მოგვიანებით კი, მისივე ინიციატივით, ქალაქში ახალი ინფრასტრუქტურული პროექტებიც ერთად დაათვალიერეს.

*„ვერსიანიუსი“*

## ვერსიანიუსი

# ირაკლი ალასანია: „თავდაცვის ინფრასტრუქტურას არაფერი ეტყობა, რომ ბიუჯეტიდან ამხელა თანხაა გახარჯული“

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ალასანიამ და პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილმა, კომიტეტის სხვა წევრებთან ერთად, მარნეულში საქართველოს შეიარაღებული და საავიაციო ბრიგადა მოინახულეს.

მინისტრი, კომიტეტის თავმჯდომარე და კომიტეტის წევრები ადგილზე გაეცნენ ბრიგადის ინფრასტრუქტურას; დაათვალიერეს ბრიგადის სასადილო, მედპუნქტი, სამხედრო ბრიგადის ყაზარმები და იქ არსებულ მძიმე ვითარების შესახებ ისაუბრეს.

თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ სასწრაფო წესით მოხდება იმ სამხედრო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და აღდგენა, სადაც გაუსაძლისი პირობებია. ამის თაობაზე იგი უკვე ესაუბრა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც ამ საკითხში მხარდაჭერა აღუთქვა.

**„ინფრასტრუქტურის შესწავლა უკვე დავიწყეთ. გვქონდა შეხვედრა პრემიერ-მინისტრთან. საქართველოს სამხედრო ძალების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის დამატებითი სახსრები იქნება მობილიზებული. სურვილი გვაქვს, ერთი წლისთავზე ვნახოთ, როგორ შეიცვლება ჩვენი ჯარისა და საავიაციო სტრუქტურების წარმომადგენლებისთვის რეალური ვითარება. ყველგან, მსოფლიოში სამხედრო ავიატორები და ავიაცია არის ელიტური, მათი საცხოვრებელი და სამუშაო პირობებიც განსაკუთრებით კარგია. ჩვენ დღეს რაც ვიხილეთ, მგონი, კომენტარსაც არ საჭიროებს, არაადამიანური პირობებია. ჩვენ დავისახეთ ამოცანა, რომ წელსვე დავიწყოთ ამის გამოსწორება და დარწმუნებულები ვართ, შევძლებთ. რაც მთავარია, ჩანაფიქრი გვაქვს, ჯარიცა და ოფიცერიც იყოს მთავარი ღირებულება თავდაცვის სამინისტროში“.**

ალასანაის თქმით, ბუნებრივია, იკვეთება დანაშაულის ნიშნები, ვინაიდან 2004 წლიდან 2008 წლებში საქართველოს თავდაცვის უწყებაზე ხუთნახევარი მილიარდი დაიხარჯა, მაგრამ არაფერი ეტყობა სამხედრო ნაწილებს და არც ინფრასტრუქტურის 80%-ს არაფერი ეტყობა იმისა, რომ ბიუჯეტიდან ამხელა თანხაა გახარჯული.



პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, ირაკლი სესიაშვილის განცხადებით კი, შოკშია იმის ნახვის შემდეგ. მისივე თქმით, პარლამენტი, სავარაუდოდ, აუცილებლად შეიტანს ცვლილებას თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტში, დამატებითი თანხები იქნება გამოყოფილი, რათა სასწრაფოდ გამოსწორდეს ჯარისკაცებისა და სამხედრო მოსამსახურეების საცხოვრებელი და სავარჯიშო პირობები ყველა იმ სამხედრო ნაწილში, სადაც გაუსაძლისი პირობებია.

**„ვფიქრობ, პარლამენტმა, მით უმეტეს, ჩვენმა კომიტეტმა, ხშირად უნდა იაროს სამხედრო ნაწილებში. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, გვქონდეს მჭიდრო კავშირი, რათა ჩვენი თვალით ვნახოთ, რაც დღეს ვნახეთ. მინისტრს რომ მოეყოლა, ვერც კი წარმოვიდგენდი, ასეთი გაუსაძლისი პირობები თუ იყო მარნეულის საავიაციო ბრიგადაში“,** — აღნიშნა სესიაშვილმა და დასძინა, რომ ბუნებრივია, წინა ხელისუფლებას სამხედრო ნაწილებში არსებული ამ პირობების გამო, როგორც მორალური, ასევე პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრება; მაშინ, როცა წინა ხელისუფლება მილიონობით თანხებს ხარჯავდა საკუთარი კომფორტის მოსაწყობად, ჯარისკაცები და სამხედრო მოსამსახურეები გაუსაძლის პირობებში იმყოფებოდნენ.

*„ინტერპრესნიუსი“*

## საიდუმლო ინფორმაციასთან დაკავშირებული უფლებამოსილებები მთავრობის კომპეტენციაში გადადის



სახელმწიფო საიდუმლო ინფორმაციასთან დაკავშირებული უფლებამოსილებები მთავრობასა და პრეზიდენტს შორის გაიმიჯნება. საკითხები, რომლებზეც გადაწყვეტილებას ამ მიმართულებით დღეს პრეზიდენტი იღებს, მთავრობის კომპეტენციაში გადადის. ცვლილებები „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონში შედის, რომელიც დეპუტატმა ირინა იმერლიშვილმა მოამზადა. პარლამენტში განსახილველად წარდგენილი კანონპროექტი კი, იმ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის ნაწილია, რომლის საფუძველზეც, დაზვერვის სამსახური პრეზიდენტის კონტროლიდან გავა და მთავრობას დაექვემდებარება.

ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებისთვის მიკუთვნებისა და საიდუმლოების დაცვის საქმეში, სადღეისოდ პრეზიდენტს შემდეგი უფლებამოსილებები აქვს: ამტკიცებს „სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნებისა და დაცვის წესს“, სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხას, ასევე იმ თანამდებობის პირთა ნუსხას, რომელთაც სახელმწიფო საიდუმლოებისთვის კონკრეტული ინფორმაციის მიკუთვნების უფლებამოსილება აქვთ. დღეს პრეზიდენტი ამტკიცებს იმ თანამდებობის პირთა ნუსხას, რომელნიც უფლებამოსილნი არიან, გასცენ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების ნებართვა.

პრეზიდენტი განსაზღვრავს სახელმწიფო კანცელარიის იმ თანამდებობის პირთა უფლებამოსილებას, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო საიდუმლოების დაცვას სახელმწიფო კანცელარიაში. პრეზიდენტი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში წყვეტს აღნიშნული კანონის შესაბამისად, სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ცნობების მიკუთვნებისა და დაცვის სხვა საკითხებს. ის დღეს ასევე უფლებამოსილია, პარლამენტის ნდობის ჯგუფის წინადადებით სახელმწიფო საიდუმლოების გრიფი მოხსნას, ნდობის ჯგუფის მიერ წარდგენილ სახელმწიფო საიდუმლოების ხარისხის მქონე ინფორმაციას.

პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტის გათვალისწინებით კი, ზემოჩამოთვლილი და კანონით დადგენილი უფლებამოსილებებიდან პრეზიდენტს რჩება შემდეგი — დაამტკიცებს სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხას, იმ თანამდებობის პირთა ნუსხას, რომელთაც სახელმწიფო საიდუმლოებისათვის კონკრეტული ინფორმაციის მიკუთვნების უფლებამოსილება აქვთ და ასევე იმ თანამდებობის პირთა ნუსხას, რომელნიც უფლებამოსილნი არიან, სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების ნებართვა გასცენ.

მთავრობის უფლებამოსილებებში კი გადადის „სახელმწიფო საიდუმლოებისთვის ინფორმაციის მიკუთვნებისა და დაცვის წესის“ დამტკიცება, ასევე მთავრობის კანცელარიის იმ თანამდებობის პირთა უფლებამოსილებების განსაზღვრა, რომლებიც სახელმწიფო კანცელარიაში სახელმწიფო საიდუმლოების დაცვას უზრუნველყოფენ. ასევე მთავრობა გადაწყვეტს, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, აღნიშნული კანონის შესაბამისად, სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ცნობების მიკუთვნებისა და დაცვის სხვა საკითხებს. ინიცირებული კანონპროექტით გათვალისწინებულია ისიც, რომ მთავრობა ხდება უფლებამოსილი პარლამენტის ნდობის ჯგუფის წინადადებით, სახელმწიფო საიდუმლოების გრიფი მოხსნას, ნდობის ჯგუფის მიერ წარდგენილ სახელმწიფო საიდუმლოების ხარისხის მქონე ინფორმაციას.

***„ვერსიანიუსი“***

# „რაში გვჭირდება გუბერნატორების ინსტიტუტი, თუ უფრო დემოკრატიულ ფორმას შემოვიღებთ?“



მაია მიშელაძე
593-51-90-12




**მას შემდეგ, რაც მთავრობის სხდომაზე „საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობების განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები“ წარადგინა და პრემიერ-მინისტრმა თვითმმართველობების რეფორმა მოუწონა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტი დაგეგმა. ვიზიტამდე რამდენიმე საათით ადრე კი, „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში, დავით ნარმანია ამ რეფორმის დეტალებზე, სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში ბიზნეს-კომპანიების აქტიურობასა და რეალურ დეცენტრალიზაციაზე საუბრობს. მეტიც, პოლიტიკურ ოპონენტებსაც პასუხობს და ურჩევს, ვიდრე შეჩერებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დაიწყებენ საუბარს, ჯერ სამინისტროს ვებ-გვერდი დაათვალიერონ და ამ პროექტების მიმდინარეობას გაეცნონ.**

— მნიშვნელოვანი ვიზიტი დავგეგმეთ ამერიკაში, სადაც მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტსა და სექტორების ხელმძღვანელებს შევხვდებით. რადგან ხელისუფლება და მიდგომები შეიცვალა, აუცილებელია, მსოფლიო ბანკს, ჩვენი პროექტების ძირითად დონორს, ჩვენი ხედვები და ძირითადი პრინციპები გავაცნოთ. ვისაუბრებ გარდამავალ პროექტებზე, რომლებიც ხორციელდება და გრძელდება, მათ შორის, ავტომაგისტრალის, მეორადი გზების მშენებლობის საკითხებზე, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე. ავუხსნი, რომ ჩვენი საქმიანობის ძირითადი პრინციპები გამჭვირვალობა, პროექტების ეფექტიანობა და შესრულებული სამუშაოების ხარისხია. ვისაუბრებ საგზაო ინფრასტრუქტურის სამუშაოებსა და ბუნებრივი კატასტროფების რისკების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რაც წინა ხელისუფლების პირობებში, მეორეხარისხოვანი იყო, ჩვენთვის კი პრიორიტეტულია.

**— პოლიტიკური ოპონენტები გსაყვედურობენ, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ინფრასტრუქტურული პროექტები და ინვესტიციები შეჩერდა. არადა, ამბიციური გეგმა წარადგინეთ მთავრობის სხდომაზე და სამინისტროს ბიუჯეტიც გააორმაგეთ.**

— ჩვენი ოპონენტები ან არ კითხულობენ იმას, რასაც ვაქვეყნებთ, ან ეს ყველაფერი იციან, მაგრამ მაინც ცდილობენ, საზოგადოების წინაშე დაამცირონ ძალა, რომელიც უმრავლესობითა და ახალი ხედვებით მოვიდა ხელისუფლებაში. ორივე შემთხვევაში, ეს ცუდი ნაბიჯებია. იმაზე კი არ უნდა ილაპარაკონ, რაც ენაზე მოადგებათ, ჯანსაღი ოპონირება უნდა გაგვიწიონ. სამინისტროს გადმობარებისთანავე, ყველა პროექტის დეტალური რევიზია ჩავატარეთ, კორექტირების მიზნით ზოგს გადავხედეთ, ზოგი გაგრძელდა. ინფორმაცია ჩვენს საიტზეა განთავსებული. დეკემბრის ბოლოს დავდეთ 2013 წლის გეგმა, სადაც დეტალურად გავწერეთ მიმდინარე წლის განსახორციელებელი საქმიანობა, როგორც ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ასევე — კონტროლის გაძლიერებისა და გამჭვირვალობის თვალსაზრისით. ცალკე მოვამზადეთ, 2013-2014 წლებში, ქვეყანაში ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარებისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ძირითადი პრინციპები, რაც მთავრობის სხდომაზე გავიტანეთ და მოწონება დაიმსახურა. ასე რომ, მტკიცება, თითქოს საქმეს არ ვაკეთებთ ან პროექტები შეჩერდა, საფუძველს მოკლებულია. ოპონენტები ზეპირ განცხადებებს აკეთებენ და ოფიციალურ ინფორმაციას არ იღებენ.

**— ბიზნესმენებთან შეხვედრის დროს აღნიშნეთ, რომ თქვენს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში, კომპანიებმა უპრეცედენტოდ მაღალი აქტივობა გამოიჩინეს. ეს რამ განაპირობა, ბიზნესი უკვე გენდობათ?**

— როდესაც ტენდერებს ვაცხადებთ, გაცილებით დიდი რაოდენობის კომპანიებს შემოაქვთ სატენდერო დოკუმენტები, ვიდრე წინა წლებში, რადგან

**ბიზნესი სახელმწიფოს უკვე ენდობა. მათ იციან, რომ სახელმწიფო წინასწარ არ არის გარიგებული რომელიმე კომპანიასთან, სივრცე თავისუფალია და კომპანიებს შორის თავისუფალი კონკურენციაა. ისიც იციან, რომ არავინ, არავის წილში არ ჩაუჯდება. ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ კონკურენციის შედეგად შევძლებთ, რომ ამა თუ იმ სამუშაოს უკეთესი შემსრულებელი შევარჩიოთ.**

**— 2013 წლის 1 იანვრიდან, ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე უნდა ყოფილიყავით. ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი ეკონომიკის სამინისტროს უნდა დაქვემდებარებოდა, რეგიონული თვითმმართველობის სამსახური კი პრემიერ-მინისტრის აპარატს. რატომ გადაიფიქრა მთავრობამ თქვენი სამინისტროს გაუქმება?**

— დეტალურად შევისწავლეთ ჩვენი პროექტები და ამ სამინისტროს საქმიანობა. თავის მხრივ, ეკონომიკის სამინისტრომ ბევრი ახალი პროექტი და მიმართულება დაძრა, მაგალითად, აქტიურობს ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებით, ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის საკითხებს განიხილავს, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაც ამ სამინისტროს ეხება. შესაბამისად, როდესაც ჩვენი უწყებების შეერთების დეტალებს განვიხილავდით, მექანიკური გაერთიანება მიზანშეწონილად არ ჩავთვალეთ, რადგან ერთ სამინისტროში ძალიან ბევრი პროექტი და მიმართულება მოიყრიდა თავს. მაგალითად, მარაბდა-კარწახის რკინიგზის პროექტი, რომელიც სარკინიგზო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს და ამ პოლიტიკას ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკის სამინისტრო განსაზღვრავს, ეკონომიკის სამინისტროს გადავეცით. გარდა ამისა, რადგანაც ქვეყანაში ადგილობრივი თვითმმართველობების მსხვილი რეფორმაა დაგეგმილი და დეკემბრის ბოლოს, ამ რეფორმის ძირითადი სტრატეგიაც დავდეთ, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, რომ ამაზეც ჩვენმა სამინისტრომ იმუშაოს, პარლამენტის შესაბამის კომიტეტებთან ერთად. ეს იყო მიზეზი, რის გამოც, ამ სამინისტროს გაუქმების საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა.

**— რეგიონული თვითმმართველობების რეფორმა ახსენეთ. „საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები 2013-2014 წლებისთვის“ მნიშვნელოვანი პროექტია, მაგრამ საზოგადოებამ მაინც ისე აღიქვა, რომ ამით მხოლოდ გუბერნატორების ინსტიტუტი უნდა გაუქმდეს. რას ერჩით პრეზიდენტის რწმუნებულებს?**

**— კონტრშეკითხვას დაგისვამთ, რაში გვჭირდება გუბერნატორების ინსტიტუტი, თუ უფრო დემოკრატიულ ფორმას შემოვიღებთ, როდესაც ამა თუ იმ მხარეს თავისი უფლებამოსილება და საკუთარი ბიუჯეტი ექნება? დღეს, გუბერნატორები, ცენტრალური ხელისუფლების ცალკეული საქმიანობის კოორდინატორები არიან რეგიონებში. მეტიც, ბიუჯეტიც კი არ გააჩნიათ და აპარატის შესანახად მხოლოდ ხარჯთაღრიცხვა აქვთ. ამიტომ უმჯობესია, მხარეს კანონით განსაზღვრული, კონკრეტული ფუნქციები ჰქონდეს და ამ ფუნქციების შესასრულებლად, საჭირო ბიუჯეტიც გააჩნდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ესა თუ ის მხარე, მეორე დონის თვითმმართველობად უნდა წარმოვიდგინოთ. ისე, როგორც ევროპის ბევრ ქვეყანაშია.**

ყველამ აღიქვა, თითქოს მხოლოდ გუბერნატორების ინსტიტუტი უქმდება. მერე რა, თუ ეს არსებული ინსტიტუტი, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ გაუქმდება! ამით არაფერი დაშავდება. პირიქით, მხარეებს, საკუთარი უფლებამოსილების შესასრულებლად საჭირო ბიუჯეტებიც ექნებათ და რეალურად, მეტი საქმის გაკეთებასაც შეძლებენ, ვიდრე დღეს, მწირი ხარჯთაღრიცხვის პირობებში. მთავარი მაინც ის არის, რომ ქვედა დონეზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ისეთი რგოლი იარსებებს, რომელიც უფრო ახლოს იქნება ადგილობრივ მოსახლეობასთან. სოფლის მოსახლეობა შეიკრიბება და თვითონ გადაწყვეტს პრიორიტეტებს. მეტიც, მუნიციპალიტეტების დონეზე, ამ პრიორიტეტებსაც თვითონვე გაიტანს და ადგილზე უფრო მეტი პრობლემა მოგვარდება, ვიდრე ახლა გვარდება. ჩვენი სისტემა, ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ ქარტიასთანაა შესაბამისობაში, რაც ევროპული ტიპის თვითმმართველობების მშენებლობას გულისხმობს.

**— რეფორმის მიხედვით, ამა თუ იმ სოფელში, პირდაპირი დემოკრატიის ფორმა ანუ სოფლის კრება შეიქმნება. ეს რას ნიშნავს, კონკრეტულ სოფელში აირჩევენ კრებას, რომელსაც თავმჯდომარეც ეყოლება?**

— კონკრეტულ სოფელში შეიკრიბება ადგილობრივი მოსახლეობა, ჩაატარებენ კრებას და აირჩევენ საკუთარ წარმომადგენელს. სოფლის რწმუნებული, რომელიც დღეს დანიშნულია, ამ რეფორმის შედეგად, უკვე არჩევითი პირი იქნება, რომელსაც სოფლის მოსახლეობის მანდატი ექნება. სოფლის კრება გადაწყვეტს, სად უნდა შეკეთდეს გზა, სად უნდა გამოიცვალოს წყლის მილი... დღეს რთულია განსაზღვრო, კონკრეტულად, რომელი უწყების გასაკეთებელია. ცხადია, ეს ადგილობრივი გამგეობების ფუნქციაა, მაგრამ რადგან მათი შემოსავლები მწირია და ძირითადად, თვითმმართველობები, მაინც საქალაქო ტიპის დასახლებების პრობლემების მოსაგვარებლად ზრუნავენ, სოფლები მეორე რიგის პრიორიტეტებად ითვლება, ამიტომ სოფლის პრობლემების გადაწყვეტა ვერ ხერხდება და ხშირად, დროშიც იწელება. რეალური თვითმმართველობა გულისხმობს, რომ ქალაქებისა და თემების თვითმმართველობები, სადაც სოფლები შედიან, გაიმიჯნონ.

**— ცნობილია, რომ არჩევნების წინ, პრეზიდენტის რწმუნებულები, მათ ხელთ არსებულ ადმინისტრაციულ თუ ფინანსურ რესურსს საარჩევნო მიზნებისთვის იყენებენ. ამ რეფორმით იმის თქმა გინდათ, რომ არც ასეთი გუბერნატორები და, რაც მთავარია, არც პარლამენტის შენობის ქუთაისში გადატანა, რეალური დეცენტრალიზაცია არ არის?**

— ვერ ვხვდები, რატომ აჯამებთ ამ მნიშვნელოვან თემას გუბერნატორების ინსტიტუტით, მაგრამ პარლამენტის შენობის ქუთაისში გადატანა რომ დეცენტრალიზაცია ნამდვილად არ არის, ამას ვადასტურებ. ეს არის დეკონცენტრაცია — რაიმე სახის ცენტრალური რგოლი ან ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილება, რომელიმე ტერიტორიულ ერთეულში გადააქვთ. დეცენტრალიზაცია არის ფუნქციის გადაცემა ქვედა დონის თვითმმართველობისთვის, რომელსაც ამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებსაც აძლევ და უფლებასაც ანიჭებ, ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები ადგილზე გადაწყვიტოს.

# უჩივლებენ თუ არა ბანკირები პრეზიდენტს არასწორი ინფორმაციის გამო?



## რატომ დაზაფრა საბანკო სექტორი სააკაშვილმა, რას პასუხობენ ბანკები პრეზიდენტს და რის აღიარებას სთხოვს ნოდარ ჯავახიშვილი გიორგი ქადაგიძეს?



მაია მიშელაძე
593-51-90-12

**„რამდენიმე დღის წინ, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბანკი — „ლიბერთი ბანკი“ რუსეთის სახელმწიფო ბანკმა — „სბერბანკმა“ იყიდა. ახლა რუსეთის ერთ-ერთი დიდი ბანკი — „ალფა ბანკი“, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული კრემლთან, „თიბისი ბანკს“ ყიდულობს. „ქართუ ბანკი“ ისედაც რუსული ბანკია, საქართველოში შემოდის დიდი, რუსული სახელმწიფო ბანკი — „გაზპრომბანკიც“, რომელსაც რამდენიმე ქართული ბანკის ყიდვა სურს. მინდა გვესმოდეს, ეს რა არის, ჩვენი ქონების 60-70% ამ ბანკებშია ჩადებული კრედიტების, იპოთეკებისა და ანაბრების სახით. საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ ეკონომიკის ზრდა მოხდება ლარით, თუ ვერ მოხდება, დიდი ალბათობით, ვიღაც კრედიტს ვერ გადაიხდის და ბანკები ამ ქონებას წაიღებენ. თავისთავად, ბანკის მიერ ქონების წაღება ძალიან ცუდია, მაგრამ ადრე ეს ქონება ქართულ ბანკებს მიჰქონდა და მაინც საქართველოს კონტროლის ქვეშ რჩებოდა. ახლა ყველაფერი რუსეთის ხელში აღმოჩნდება“, — ასე განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა, ორი დღის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე.**

ვინ და რატომ მიაწოდა სააკაშვილს არასწორი ინფორმაცია, ან რატომ საუბრობს ქვეყნის პირველი პირი საბანკო სექტორზე დაუდასტურებელი და გადაუმოწმებელი ფაქტებით? რატომ ჩააყენა მიხეილ სააკაშვილმა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, გიორგი ქადაგიძე უხერხულ მდგომარეობაში? იმიტომ, რომ ზურაბ ადეიშვილის კადრია ჯერ კიდევ ყოფილ გენერალურ პროკურატურაში, სადაც ქადაგიძე ფინანსურ დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. შესაბამისად, სააკაშვილმა ეროვნული ბანკის პრეზიდენტს აგრძნობინა, რომ ქადაგიძე ჯერ კიდევ მის ხელთაა.

რა შუაშია „ლიბერთი ბანკი“ და ლადო გურგენიძე, მკვეთრად გამოხატული ინგლისური (ამერიკული) აქცენტით? მას შემდეგ, რაც „სახალხო ბანკის“ ყოფილი მმართველი, გიორგი გოგუაძე გააქტიურდა, რომელიც წინა მოწვევის პარლამენტში ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი იყო და ვანო მერაბიშვილის კადრად მოიაზრებოდა, ლადო გურგენიძემ საპასუხო პრესკონფერენცია გამართა. გურგენიძემ დეტალურად ახსნა, როგორ და რა პირობებით შეიძინა ყოფილი „სახალხო ბანკი“, მაგრამ ერთ მნიშვნელოვან დეტალზეც გაამახვილა ყურადღება: 2005-2008 წლებში, მაშინდელმა „სახალხო ბანკმა“, რამდენიმე „საინტერესო“ და არაპროფილური ინვესტიცია განახორციელა. ლადო გურგენიძემ განმარტა, რომ შედეგად, ბანკმა ჯამში 8 100 000 ლარით იზარალა. მისი თქმით, ეს იყო წილი რესტორნების ქსელსა და არაპროფილურ სარეკლამო ბიზნესში. მეტიც, „სახალხო ბანკს“ არაპროფილური და უფუნქციო უძრავი ქონებაც გააჩნდა აეროპორტთან“. ლადო გურგენიძემ ბანკი ამ არაპროფილური ქონებისგან გაათავისუფლა და ჩანს, სააკაშვილიც მოიმდურა. რაც შეეხება „თიბისი ბანკს“, ამ შემთხვევაში, პრეზიდენტი, უბრალოდ, „აიჭრა“. „ვერსიაში“ უკვე ვწერდით, რომ კომპანია „ბორჯომი“ რუსულმა „ალფა გრუპმა“ შეიძინა. ჩანს, სააკაშვილმა გადაწყვიტა, რომ მამუკა ხაზარაძემ, „ბორჯომთან“ ერთად, „ალფა გრუპს“, „თიბისი ბანკის“ აქციებიც მიყიდა.

„ლიბერთი ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა, **ლადო გურგენიძემ** პრეზიდენტის განცხადება იმავე ღამეს უარყო: **„ტელევიზიით გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. ჩვენ „სბერბანკთან“, „ლიბერთი ბანკის“ გაყიდვაზე, მოლაპარაკებას არ ვაწარმოებთ. წელს, „ლიბერთი ბანკს“ ქსელის შემდგომი განვითარებისა და მომსახურების დახვეწის კუთხით, საკმაოდ ამბიციური გეგმები გააჩნია და ამ გეგმებს თანმიმდევრულად ვახორციელებთ“.**

„თიბისი ბანკის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, **მაია ძირკველიშვილმა** „ვერსიას“ განუცხადა, რომ არც „ალფა ბანკთან“ და არც რომელიმე რუსულ ბანკთან მოლაპარაკებას არ აწარმოებენ: **„საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, თითქოსდა „თიბისი ბანკი“, რუსეთის ერთ-ერთმა უმსხვილესმა ბანკმა — „ალფა ბანკმა“ შეიძინა. „თიბისი ბანკი“ ამ ინფორმაციას უარყოფს, გვინდა, ოფიციალურად განვაცხადოთ, რომ „ალფა ბანკთან“ ან რუსეთის ნებისმიერ სხვა ბანკთან, წილის გასხვისებაზე არც ახლა და არც უახლოეს მომავალში, მოლაპარაკებას არ ვგეგმავთ“.**

„ვერსიის“ კითხვაზე, აპირებს თუ არა „თიბისი ბანკის“ ხელმძღვანელობა, პრეზიდენტს უჩივლოს, მაია ძირკველიშვილმა გვიპასუხა, რომ საჩივლელი არაფერია. მისი თქმით, სააკაშვილს აშკარად არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს, მაგრამ არა ეროვნული ბანკიდან, რადგან ძირკველიშვილის განმარტებით, ეროვნული ბანკი ყოველთვის ზუსტ ინფორმაციას ავრცელებს.

ეროვნული ბანკი მოკლე განცხადებით შემოიფარგლა, რომელიც Facebook-ის საკუთარ გვერდზე განათავსა: **„საქართველოს ეროვნული ბანკი, არ ფლობს ინფორმაციას ტელევიზიით დასახელებულ კომერციულ ბანკებს შორის, წილის შესაძლო გასხვისებასთან დაკავშირებით“.**

თვითონ სააკაშვილმა აზერბაიჯანში, ოფიციალური ვიზიტით გამგზავრებამდე, აეროპორტში განაცხადა, რომ გადაამოწმა ინფორმაცია და წუხს, თუ ამის გამო, ბანკებს პრობლემა შეექმნა: **„ნამდვილად ვიცი, რომ რუსულ ბანკებს, ქართული ბანკების შეძენის ინტერესი აქვთ. ერთ-ერთი ბანკი, რომელიც დავასახელე, აწარმოებს მოლაპარაკებებს, ერთ-ერთ მსხვილ რუსულ ბანკთან. ეს ასეა და ისინი, ალბათ, ამას არ უარყოფენ“.**

„ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, „სბერბანკმა“ კატეგორიულად უარყო „ლიბერთი ბანკის“ შეძენის ფაქტი. მეტიც, სააგენტოს ინფორმაციით, „სბერბანკი“ მხოლოდ უკრაინის, ბელორუსისა და ყაზახეთის ბანკებითაა დაინტერესებული და საქართველოში ბანკის შეძენას არ გეგმავს. მოგვიანებით, „კომერსანტთან“ საუბრისას, „ალფა ბანკის“ წარმომადგენელმაც უარყო სააკაშვილის განცხადება და აღნიშნა, რომ „ალფა ბანკი“ არცერთი ქართული ბანკის შეძენას არ აპირებს.

სააკაშვილის ამ განცხადების შემდეგ, ლოგიკურად გამოჩნდა, ვინაა ქვეყანაში ყველაზე დიდი „ჭორიკანა“ — მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი, რომელიც პრეზიდენტის დაკითხვას აპირებს, თუ თვითონ სააკაშვილი, რომელმაც პირდაპირ ეთერში კომერციულ ბანკებზე იჭორავა. სამაგიეროდ, მეორე დღეს, ლურჯი ელექტროავტომობილით, ოღონდ დაცვის გარეშე, აეროპორტისკენ გაემგზავრა, ღერძულა ხაზი არასწორად გადაკვეთა, „აბი გლუკოზა“ გადაყლაპა, საზოგადოებას მოუბოდიშა იმის გამო, რომ ბანკებთან დაკავშირებით, არასწორი ინფორმაცია გაავრცელა და ზეცაში აიჭრა — ბაქოში, ილჰამ ალიევს ჩააკითხა!

***„ვერსია“ ქართუ ბანკის გენერალურ დირექტორს, ნოდარ ჯავახიშვილს დაუკავშირდა, რომელიც ეროვნული ბანკის პრეზიდენტისგან, გიორგი ქადაგიძისგან ოფიციალურ განმარტებას ითხოვს.***

— სამწუხაროდ, დიდი ხანია, მოქალაქე მიხეილ სააკაშვილი არაადეკვატურ და აბსოლუტურად დაუსაბუთებელ განცხადებებს აკეთებს ყველა მიმართულებით. რეალობის შეგრძნება სრულიად დაკარგული აქვს. ჩვენ, ქართულ საზოგადოებას, დეგენერატებად გვთვლის და ყველა თავისი წინადადებით, სულში გვაფურთხებს! ბევრი ჟურნალისტი, აღშფოთებულ ადამიანებს კორექტულობისკენ მოუწოდებს. იქნებ, ბატონ სააკაშვილსაც მოუწოდოთ კორექტულობისკენ, რადგან, როდესაც მამალ ტყუილს გეუბნებიან და თან თვალებში გიყურებენ, შეურაცხმყოფელია. თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართავ ეროვნული ბანკის პრეზიდენტს გიორგი ქადაგიძეს. თუ „ქართუ ბანკი“ მართლაც რუსულია და „გაზპრომის“ კაპიტალით შეიქმნა, კეთილი ინებოს და, სააკაშვილის ეს განცხადება ან დაადასტუროს, ან უარყოს! ეროვნულმა ბანკმა კარგად იცის, რა კაპიტალით შეიქმნა „ქართუ ბანკი“, ერთი წლის მანძილზე აქ გვესხდნენ და დღესაც არ მოუციათ ოფიციალური დასკვნა, რა შეამოწმეს. რა იპოვეს, პუტინის სურათები ნახეს თუ რუსული ბანკნოტები, ან თუ ნახეს, ჩვენ რატომ არაფერს გვეუბნებიან? ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი, მოქალაქე სააკაშვილი რას ბჟუტურებს, არც მე მაინტერესებს და არც ქართულ საზოგადოებას, მაგრამ ეროვნული ბანკი ამას შორიდან არ უნდა უყურებდეს! ყველა შემთხვევაში, ეროვნული ბანკი ვალდებულია, საბანკო სექტორის სტაბილურობა დაიცვას, მაგრამ ასეთი უაპელაციო განცხადებები ქართულ საბანკო სექტორზე დადებითად არ მოქმედებს. კეთილი ინებოს ქადაგიძემ და, გვითხრას, რომ სააკაშვილი სულელურ, დაუსაბუთებელ განცხადებებს აკეთებს. თუ არა და, დაგვიდასტუროს, რომ რუსული ბანკი ვართ, რადგან ჩვენი თანამშრომლების 1%-ს აწეული ცხვირები ან რუსული გამომეტყველება აქვთ, ან „ქართუ ბანკში“ საქმის წარმოება რუსულ ენაზეა!

**— აპირებთ, უჩივლოთ სააკაშვილს ან ქადაგიძეს ამ განცხადებების გამო?**

— ჯერ ერთი, გაცილებით დიდი ტკივილი მოგვაყენა ბატონმა სააკაშვილმა და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა. 190 000 000 ლარით დაგვაზარალეს, ამჟამად პროკურატურა, შსს, სასამართლოები მუშაობენ და ველოდებით დასკვნას. ამასთან შედარებით, სააკაშვილის ეს ბჟუტური არაფერია და სულაც არ ვაპირებ ამის გამო ჩივილს. სააკაშვილის ბოდიშიც მოვისმინე, სადაც სხვა ბანკებთან დაკავშირებით წუხს არასწორი ინფორმაციის გამო, მაგრამ „ქართუსთან“ მიმართებაში აზუსტებს, რომ ეს ცნობილი ფაქტია. სააკაშვილის გარდა, კიდევ ვისთვისაა ცნობილი, ქადაგიძისთვისაც? რუსული კაპიტალით შექმნილი ბანკი, სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს გაიხსნა საქართველოში და თუ რომელიმე ბანკი უშუალოდაა დაკავშირებული კრემლთან და „გრუს“-თან, სწორედ „ვი თი ბი ბანკია“.

**— გიორგი ქადაგიძესთან შეხვედრას აპირებდით, შეხვდით და ესაუბრეთ „ქართუს“ პრობლემებზე?**

— მაპატიეთ, მაგრამ „ალ ყაიდა“ კი არ ვარ. მისი სურვილიც უნდა იყოს, სხვა შემთხვევაში, უნდა დავხვდე სადმე და რაც თვითონ ეროვნულმა ბანკმა მოგვიწყო, მეც ისე უნდა მოვექცე. რომელ შეხვედრაზეა საუბარი, ბოლო პერიოდში, ეროვნულ ბანკში გაგზავნილ არც ერთ ჩემს წერილზე პასუხს არ მიგზავნის, საერთოდ არ გვთვლიან ბანკად, საბანკო ღონისძიებებზე არც კი გვეპატიჟებიან. არჩევნების შემდეგ, ორჯერ გავუგზავნე წერილი. ხომ უნდა ვიცოდეთ, დასრულდა თუ არა მათი შემოწმება. თუ დასრულდა, აქტი უნდა გადმოგვცენ, რა შეამოწმეს ან რა გამოავლინეს. იმასაც კი არ კადრულობს ბატონი ქადაგიძე, მომწეროს, არ ხარ ღირსი და არ გპასუხობო, თუმცა ეროვნული ბანკი „ქართუ ბანკის“ გაკოტრების კორუფციული სქემის მონაწილეა და რატომ დაინტერესდება, რამე შეიცვალა? ზარქუა რომ მოგვივლინეს „ქართუ ბანკის“ დასაქცევად, როგორ გგონიათ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მრჩეველი აღარ არის?

**— გასაგებია, მაგრამ მაშინ ქადაგიძის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს?**

— არა, რომ დადგეს, ამას სააკაშვილის მარწუხებიდან გათავისუფლებული სასამართლო სჭირდება, რაც სამწუხაროდ, ჯერ არ გვაქვს. როცა გვექნება, დარწმუნებული ვარ, ქადაგიძის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება. ქართულ საზოგადოებასა და ნოდარ ჯავახიშვილსაც რომ ეჩქარება ეს პროცესი, ეჭვი გეპარებათ? იმის გამო, რომ თურმე, რუსული ბანკი ვყოფილვართ, ერთი რუსული გამოთქმა უნდა გავიხსენო: Хотеть не вредно. დიახ, უნდა გინდოდეს, მაგრამ ყოველთვის არ არის ამის შესაძლებლობა.

## პაატა კურტანიძე: „ანდრია ურუშაძემ მითხრა, რომ დადგენილებაზე მას, უბრალოდ, ხელი მოაწერინეს“



ფარმაცევტული კომპანია „ავერსის“ დამფუძნებლის, პაატა კურტანიძის სურვილია, გაუქმდეს 2011 წლის ის დადგენილება, რომლის თანახმად, ჯანდაცვის სამინისტრო სახელმწიფო შესყიდვების დროს მხოლოდ ევროკავშირში, აშშ-სა და იაპონიაში წარმოებულ მედიკამენტებს ყიდულობს:

**„წინა მთავრობის დროს, 2011 წელს მიღებულ იქნა დადგენილება, რომლის საფუძველზე, როდესაც ჯანდაცვის სამინისტრო ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებს, მხოლოდ ევროკავშირში, აშშ-სა და იაპონიაში წარმოებულ მედიკამენტებს ყიდულობს. სამწუხაროდ, საქართველო იმ ჩამონათვალში არ არის. მე, პირადად, აღნიშნული დადგენილება წინა მთავრობის დროს არაერთხელ გავაპროტესტე, სამწუხაროდ – უშედეგოდ. როცა მივედი ჯანდაცვის სამინისტროში, მაშინ მინისტრი ანდრია ურუშაძე იყო და ვკითხე, რატომ მიიღეს ასეთი დადგენილება, მიპასუხა, რომ არ იცოდა და მას, უბრალოდ, ხელი მოაწერინეს. დღემდე ვიბრძვით, ეს დადგენილება რომ შეიცვალოს და ახალ მთავრობასთანაც ვაპირებთ ამ საკითხზე მუშაობას. იმედი გვაქვს, შედეგს მივაღწევთ“.**

*„პირველი“*

## თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისმა კომისიამ მუშაობა ახალი შემადგენლობით განაახლა



კომისიის მუშაობას უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია ხელმძღვანელობს და მის შემადგენლობაში იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე დავით ჯანდიერი, რეგიონული და ინფრასრუქტურული განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გელა ხვედელიძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე დავით ზურაბიშვილი, ფინანსთა მინისტრის მოადგილე დავით ებრალიძე, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი ხელაია, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი კახაბერ საკანდელიძე და უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე თამარ კინწურაშვილი შედიან.

კომისია უფლებამოსილია, შეისწავლოს საარჩევნო პროცესის შესახებ მოწოდებული ინფორმაცია, ასევე მედიით გავრცელებული ცნობები და საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშაოს წინადადებები და რეკომენდაციები საჯარო მოსამსახურეებისა და ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ, რეაგირება მოახდინოს გამოვლენილ ფაქტებზე. ამ მიზნით, კომისია პოლიტიკურ პარტიებთან, სადამკვირვებლო ორგანიზაციებსა და საარჩევნო პროცესში ჩართულ სხვა სუბიექტებთან თანამშრომლობს.

*„პირველი“*

# „ალბათ, აჯობებს, თეატრი დავტოვო იმიტომ, რომ ეს ძალიან ცუდი კანონია“



**რატომ არ ეთანხმება თეატრის შესახებ ახალ კანონს და რას უწუნებს ახალ ხელისუფლებას ნინო ბურდული**

თამარ ლომსაძე
568-34-44-94

**ახალი, ჯერარდამტკიცებული კანონი თეატრის შესახებ კვლავ განხეთქილების ვაშლად რჩება ქართულ თეატრალურ სივრცეში. მსახიობი ნინო ბურდული ერთ-ერთი მათგანია, ვინც კანონის წინააღმდეგ ილაშქრებს და არგუმენტებიც მოჰყავს, რატომ არ უნდა ჰქონდეს განუზომელი ძალაუფლება სამხატვრო ხელმძღვანელს. სააკაშვილის ხელისუფლების ოპოზიციონერი ქალბატონი ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებსაც აფასებს. აცხადებს, რომ პრობლემა კონკრეტულ პიროვნებებში კი არა, არაკომპეტენტურ მოხელეებშია და სერიალ „ცხელი ძაღლის“ აკრძალულ სერიებზეც საუბრობს, თუმცა რეალურად, ზურაბ ჟვანიას საქმის გამოძიების იმედი ნაკლებად აქვს.**

— ამ სერიების აკრძალვა არანაირი სახით არ მომხდარა, არც რაიმე მითითება მოუციათ, უბრალოდ, მთელი მასალა წაშალეს... სიმართლე გითხრათ, დღემდე არ მესმის მიზეზი. საზოგადოებას უკმარისობის გრძნობა აქვს იმიტომ, რომ რეალურად, გამოძიება ჩვენ არ გვინახავს და არც არსებულ კითხვებზე მიგვიღია პასუხები... მაგრამ ფილმში რა ვერსიებიცაა, ისინი დამოუკიდებლადაც არსებობდა და მათზე ყოველთვის საუბრობდნენ. სერიების დაბლოკვა არანაირ ლოგიკაში არ ჯდება იმიტომ, რომ თუ ეს მხოლოდ უბედური შემთხვევა იყო და არავის ბრალეულობა არ იკვეთება, მაშინ რატომ უნდა აეკრძალათ? ხოლო თუ ეს მკვლელობა იყო, რაც სისხლის სამართლებრივი წესით ისჯება, მაშინ მით უმეტეს, უნდა გაეშვათ. როდესაც საზოგადოება ამაზე საუბრობს, საკითხი უკვე ღია ხდება, ლაპარაკს კი ვერავის აუკრძალავ. საბჭოთა კავშირში ერთი წამოსროლილი სიტყვის გამო იჭერდნენ, მაგრამ ჩვენ აქამდე არ მივსულვართ — როცა გარკვეული ინტერესები ეჯახებოდა, საქმე ფინანსურ მხარეს ეხებოდა ან ძალაუფლებას, ასეც ხდებოდა, მაგრამ სამზარეულოში ნალაპარაკევის გამო, არავინ არავის იჭერდა და ამიტომაა ეს საკითხი ჩემთვის კითხვისნიშნის ქვეშ.

**— ფიქრობთ, ოდესმე არსებულ კითხვებს პასუხი გაეცემა?**

— არა მგონია... ნებისმიერ პოლიტიკურ ძალაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. „ნაციონალებშიც“ კი, რომელიც შეკრული ძალაა, სხვადასხვა ინტერესები ეჯახება ერთმანეთს და სწორედ ძალაუფლებისთვის ინტერესთა კონფლიქტი გამოკვეთს ხოლმე, ვინ რისი მძევალი ხდება და რაში. თუ ვინმე ათეული წლების შემდეგ გადაწყვეტს მემუარების დაწერას, იქ შეიძლება, ბევრ საიდუმლოს აეხადოს ფარდა, მაგრამ როგორც წესი, ასეთი მნიშვნელოვანი რაღაცები, მოკლე პერიოდში არ აშკარავდება. თუ, რა თქმა უნდა, გამოძიება რაღაც კვალზე არ გავა. მაშინ, შეიძლება, გარკვეული ინტერესები მართლაც გამოიკვეთოს, თუმცა ესეც რთული პროცესია: ერთი მხრივ, სამართლიანობის აღდგენა და სიმართლის გარკვევა ძალიან მნიშვნელოვანია, რათა საზოგადოებაში არსებული ნიჰილიზმი ოდნავ მაინც ჩაცხრეს. მეორე მხრივ, არსებობს რაღაცები, რაც სჯობს, არ გამოაშკარავდეს, სხვადასხვა მიზეზთა გამო. უბრალოდ, მე არ ვიცი, ჩვენს შემთხვევაში, რამდენად სანდოები არიან ის ადამიანები, ვინც წყვეტს, გაჩუმება სჯობს თუ თქმა. ჩვენ ხომ ყველგან არაპროფესიონალიზმს ვეჯახებით, განსაკუთრებით, სახელმწიფო სამსახურში და ამის გამო, მერე პიროვნებებში გვეპარება ხოლმე ეჭვი. მით უმეტეს, საქართველოში მეგობრულ-ნათესაური მაფია გვაქვს, კლანური ქვეყანა ვართ და ეს ყველა სფეროში ასეა... არაპროფესინალიზმის გამო, იღებენ თუნდაც იმ კანონს თეატრის შესახებ, რომელსაც...

**— რომელსაც, როგორც გატყობთ, არ ეთანხმებით?**

— არა!

**არასწორი მიმართულებით მიჰყავთ თეატრის კანონი. კინომსახიობთა თეატრში ქეთი დოლიძე დაინიშნა სამხატვრო ხელმძღვანელად. ზურა გეწაძე კი წავა, როგორც კი მმართველის თანამდებობას გააუქმებენ. გეწაძე-დოლიძეში არაა საქმე. პრინციპია მთავარი — თუ ამბობ, რომ ყველანაირი უფლება აქვს თანამდებობის პირს, რომელიც არც ერთ დოკუმენტზე ხელს არ აწერს და ყველა ვალდებულება აქვს პირს, რომელიც ყველა დოკუმენტზე ხელს აწერს, ესე იგი, შენ ერთ თანამდებობას ქმნი, რათა ვიღაცას დაფნის გვირგვინი დაადგა და მეორეს იმისთვის, რომ ვიღაცას ხელი შეახოცო. ეს სათავეშივე არასწორია. ესაა დაბრუნება, მინიმუმ, ბრეჟნევის დროში, საბჭოთა კავშირის „ზასტოი“ რომ ერქვა, იმ დროში და ეს სამარცხვინოა! მესმის, შეიძლება, ხელოვნებისთვის ვერც მოიცალო და უდავოდ, სჯობს, ეკონომიკა დააყენო ფეხზე, მაგრამ ამის გამო, ცუდი კანონი არ უნდა მიიღო. ამ ყველაფერს სჯობდა მიეღოთ კანონი მეცენატობის შესახებ და ეს, მერწმუნეთ, არა მხოლოდ თეატრს, ბევრ სფეროს წაადგებოდა.**

**— ეს, თავისთავად, დოტაციას გულისხმობს, ფიქრობთ, საქართველოსნაირ ქვეყანას ამის ფინანსური რესურსი გააჩნია?**

— თეატრი სახელმწიფო დოტაციაზე არც უნდა იყოს. მაგალითად, გერმანია ამ სფეროში დებდა კოლოსალურ თანხებს და თითქმის ყველა სოფელში იყო თეატრი, მაგრამ ამის მიუხედავად, სპექტაკლებს მაინც სჭირდებოდა სპონსორები. ასეთ მდიდარ ქვეყანაშიც კი, დამატებითი სახსრებია საჭირო. ჩვენთან კი არის მხოლოდ მერიის კულტურის სამსახური....

**— რომელიც კორუფციის წყაროდ იქცა...**

— რა თქმა უნდა, ეს საქართველოა, სადაც ნაცნობობის, მეგობრობისა და სხვა ურთიერთობების გამოყენება ხდება. უნდა დასრულდეს ასეთი მიდგომა საქმისადმი.

**— ნაცნობ-მეგობრობისა და შერჩევითობის პრინციპებზე ოდესმე ვიტყვით უარს?**

— ასე ხომ ვერ გაგრძელდება დაუსრულებლად? რაღაც ნაბიჯები უნდა გადაიდგას. ხელოვანი ადამიანები რომ ჰყავდათ გაფორმებულები სხვადასხვა სამსახურებში, გასაგებია, ეს რისთვისაც კეთდებოდა: პირველ რიგში, ფული რომ გადაქაჩულიყო პარტიაში, რაც ფინანსური დანაშაულია. ამის გარდა, ესაა ფსიქოლოგიური ზეწოლა. ის ადამიანები, ვინც ამას თანხმდება, კონკრეტული ძალის მონები ხდებიან. თუ გინდა, შენდამი ლოიალურ ხელოვანს თანხა გადაუხადო, ეს შესრულებული სამუშაოს მიხედვით გააკეთე. სხვაგვარად, უბრალოდ, ამცირებ მას. ჩემთვის ეს მენტალური დანაშაული და ცუდი პრეცედენტია — ადამიანს ღირსებას ულახავ, ამცირებ და ამყოფებ მონა-მორჩილის მდგომარეობაში, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენთან ფასობს არა პროფესიონალიზმი, არამედ კუთვნილება რომელიმე პარტიის მიმართ. ეს კატასტროფაა.

**— ეს ვითარება ახალი ხელისუფლების პირობებში არ შეცვლილა?**

— არა... ჩემგან ნუ ელოდებით კონკრეტული გვარების დასახელებას იმიტომ, რომ პროკურორი არ ვარ.

**საქმე პიროვნებებში კი არა, იმ ტენდენციაშია, რის პირისპირაც აღმოვჩნდით, რასაც გადგმული აქვს ფესვი და რასაც უნდა ვებრძოლოთ: რომელიმე პარტიასთან ასოცირებული ან დაახლოებული პიროვნებების იქით, კადრების შერჩევა არ ხდება. აღარც უფიქრდები, როგორი მეცნიერები, მკვლევარები გვყავს... ირჩევ იმის მიხედვით, შენთან ოფისში ვინ მოდიოდა და ასე ურიგებ სამადლობელოს, თუ რა ხდება? ეს ხომ სამარცხვინოა? ერთი მხრივ, გვაქვს გამოუძიებელი საქმეები, რასაც დრო სჭირდება, შედეგი რომ დავინახოთ. მეორე მხრივ, არსებობს საკადრო პოლიტიკა, რომელიც ბევრად სწრაფი პროცესია და აქ ბევრი არასწორი ნაბიჯი იდგმება.**

მეგობარსა თუ ნათესავს რომ დაეხმარო, ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ ეს არ უნდა გააკეთო პროფესიონალიზმის ხარჯზე. ყველამ კარგად იცის, ამა თუ იმ ადამიანს თანამდებობაზე იმიტომ ნიშნავ, რომ მას კენჭი მოხვდა მიტინგის დროს. ამიტომაც ვერ ალაგებენ ქვეყანას ვიღაცის მომხრე ჩინოვნიკები, არადა, 30 წელია გათავისუფლდა საქართველო...

**— კლიშეებისგან გათავისუფლება ადვილი არ არის...**

— გეთანხმებით, და დღეს რაც თეატრში ხდება, ეს სწორედ არაკომპეტენტური მოხელეების პრობლემაა. მათ ვერ მოაგვარეს გარკვეული საკითხები კორექტულად, ნაჯახის პრინციპით მოქმედებენ. თუ ამდენი თანხა არსებობს თეატრში და სამხატვრო ხელმძღვანელს ამხელა ანაზღაურებას აძლევ, მაშინ რატომ არ დგება, ზოგადად, ყველასთვის ხელფასების მომატების საკითხი, გაუგებარია. თეატრი მხოლოდ მსახიობისა და რეჟისორისგან არ შედგება. ამაზეა საუბარი. მე კი თანამოაზრეები, ამ კანონის წინააღმდეგ რომ ვიბრძოლოთ, სამწუხაროდ, ვერ მოვძებნე.

**— ეშინიათ თუ თანამდებობებს ელოდებიან და გაჩუმებას ამჯობინებენ. მით უმეტეს, თავის დროზე, ერთად იბრძოდით არსებული რეჟიმის წინააღმდეგ?**

— ზოგი მიიჩნევს, რომ ამაზე დროის დაკარგვა არ ღირს... რაც შეეხება რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას, „ძირს მიშა“ და „წადის“ ძახილი ძალიან იოლია. ჩემ გვერდით იყვნენ ადამიანები, რომლებთანაც ახლა პრინციპული ბრძოლა მაქვს. მათ ოპოზიციაში ყოფნის საკუთარი მიზეზები ჰქონდათ.

**— მიზეზები თუ ინტერესები?**

— უდავოდ, იყვნენ ისეთებიც, ვისაც იმ მთავრობაში არ გაუმართლა. ჩათვალეს, რომ უსამართლოდ დაიჩაგრნენ და ახლა თავისას იღებენ. არ გეგონოთ, ამის საწინააღმდეგო რამე მქონდეს, თუ, რა თქმა უნდა, მოხელის თანამდებობაზე რამის გაკეთება შეუძლიათ, მაგრამ ეგაა უბედურება — არასწორად მოხდა ამ ადამიანების დანიშვნა თანამდებობებზე. ეს კი, იმის გარდა, რომ კონკრეტული სფეროების განვითარებას აფერხებს, ქვეყანაში ქმნის დაპირისპირებასა და კონფლიქტის კერებს.

**— ამ სიტყვების გამო, თეატრში პრობლემები არ შეგექმნებათ?**

— ჩემს პოზიციას ყველგან ღიად ვაფიქსირებ — ამ კანონის მიღება არ შეიძლება! მაგრამ, ქართველები ხომ ლირიკოსები ვართ. როგორ შეიძლება, თეატრს მენეჯერი მართავდეს? არა, ისაა კარგი, უნიჭო რეჟისორი რომ მართავს და მხოლოდ მისი სპექტაკლებია საუკეთესო. ისიც ვერ გაგვირკვევია, რაა კარგი და რა ცუდი.

*დასასრული მე-14 გვერდზე*

## ეთნიკურად ოს პატიმრებს ცხინვალის ციხეში მყოფ ქართველებზე გადაცვლიან?



სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი საქართველოსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებას შორის პატიმრების გაცვლასთან დაკავშირებით დიალოგის დაწყების ინიციატივით გამოდის.

ამის შესახებ ნანუაშვილმა სასჯელაღსრულების მე-7 დაწესებულებაში მსჯავრდებულ მარეკ დუდაევის მონახულების დროს განაცხადა.

სახალხო დამცველი მარეკ დუდაევის საქმის შესწავლას იწყებს, რადგან ამ საქმეში ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი და ბევრი წინააღმდეგობაა.

თავის მხრივ, მარეკ დუდაევმა განაცხადა, რომ მიესალმება ქართველი და ოსი ხალხის შერიგებას და მზად არის, თავადაც მიიღოს მონაწილეობა ამ პროცესში.

სახალხო დამცველი გამოდის ინიციატივით, რომ ჰუმანიტარული მოსაზრებიდან გამომდინარე, მარეკ დუდაევის და სხვა ეთნიკურად ოსი პატიმრის გათავისუფლება და ცხინვალის ციხეში მყოფ ქართველ პატიმრებზე მათი გადაცვლა მოხდეს.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აუცილებელია საქართველოსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებას შორის პატიმრების გაცვლასთან დაკავშირებით დიალოგი დაიწყოს.

**„ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ე.წ ცხინვალის ციხეში საქართველოს რამდენიმე მოქალაქე იმყოფება. მათ შესახებ ხშირად საქართველოს სახალხო დამცველს მიმართავენ. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ჯემალ მიდელაშვილის საქმე, რომელიც 2009 წლის 21 ნოემბერს ახალგორში იქნა დაკავებული ოსური მხარის მიერ. როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული კორესპონდენციებიდან ირკვევა, მიუხედავად იმისა, რომ ჟენევის მოლაპარაკებების IPRM-ის ფარგლებში არაერთხელ იქნა დაყენებული მისი გათავისუფლების საკითხი ქართული მხარის მიერ, რეალური შედეგი მიღწეული ვერ იქნა და იგი დღემდე პატიმრობაშია. ასევე პატიმრობაში რჩება სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ყოფილი თანამშრომელი თეიმურაზ ჯაფაროვი“,** — ნათქვამია სახალხო დამცველის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აუცილებელია პატიმართა გაცვლის საკითხის წამოწევა და გააქტიურება, რაც ე.წ. ოსური მხარის მიერ დაკავებული საქართველოს მოქალაქეების სწრაფ გათავისუფლებას შეუწყობს ხელს.

*„პირველი“*

## ირაკლი ღარიბაშვილი ირაკლი ალასანიას შეხვდა



შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას შეხვდა.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრა ალასანიას უწყებაში გაიმართა.

რიგით მეორე სამუშაო შეხვედრაზე, მინისტრებმა ეფექტიანი კოორდინაციისა და ორივე უწყების ქვედანაყოფებს შორის თავსებადობის უზრუნველყოფის გაუმჯობესების საკითხები განიხილეს.

ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელები თავდაცვისა და შს სამინისტროებში არსებული ლოჯისტიკური პრობლემების ერთიანი ძალებით მოგვარებაზეც შეთანხმდნენ.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ძალოვანი მინისტრების მოადგილეები და საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელობა.

*„პირველი“*

# ხანძრისგან დაზარალებულები ბრალდებებს „საბას“ ადმინისტრაციას უყენებენ



## რას პასუხობს სავაჭრო ცენტრის ხელმძღვანელი მეწარმეებს და შეუჩერებენ თუ არა მათ კრედიტებს

ნელი თორდია
593-61-07-72

**დიდუბეში სავაჭრო ცენტრ „საბას“ ხანძარი 26 დეკემბერს, საღამოს 9-ის ნახევარზე გაუჩნდა. გავრცელებული ინფორმაციით, ცეცხლი შენობის მეორე სართულიდან გავრცელდა. საგანგებო სიტუაციების სამსახურში ხანძრის შესახებ შეტყობინება საღამოს 20:40 საათზე შევიდა. 5 წუთში შემთხვევის ადგილზე პირველი სახანძრო მანქანა გამოჩნდა. მთლიანობაში, 35 სახანძრო მანქანა და 300-მდე მაშველი 4 საათზე მეტხანს აქრობდა ხანძარს. ცეცხლის სხვა შენობებზე გადასვლის საფრთხისა და სავაჭრო ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე ბენზინგასამართი სადგურის არსებობის გამო, სახანძრო ბრიგადები გაორმაგებული შემადგენლობით მუშაობდნენ. ხანძრის ქრობისას მსუბუქად დაშავდა ერთ-ერთი მეხანძრე, რომელსაც სამედიცინო დახმარება ადგილზე აღმოუჩინეს. დამწვარია დაახლოებით 5 000 კვ.მ ფართობი, ნაწილობრივ ჩამოიშალა სავაჭრო ცენტრის მეორე სართული, განადგურებულია 50-მდე მაღაზია და მათში მოთავსებული საქონელი. ხანძრის გაჩენის სავარაუდო მიზეზად ელექტროსადენების გაუმართაობით გამოწვეული მოკლე ჩართვა დასახელდა, თუმცა აღნიშნულ ვერსიას არ ეთანხმება ცენტრის მფლობელი პაატა კაჭარავა, რომელიც აცხადებს: „7 საათამდე ელექტროენერგია მთელ სავაჭრო ცენტრში ითიშება. არ ვიცი, ვის უნდა გაეკეთებინა ან როგორ გაჩნდა ცეცხლი, მაგრამ ერთ-ერთ ვერსიად განვიხილავთ, რომ ეს მიზანმიმართულად მოხდა“.**

დაზარალებული მეწარმეების ნაწილმა სავაჭრო ცენტრთან მთელი ღამე გაატარა. ტრაგედიის ადგილზე მისულებს, დაახლოებით, ორასამდე მეწარმე, მათი ოჯახის წევრები და ახლობლები დაგვხვდნენ. „ვერსიასთან“ საუბარში მეწარმეებმა მომხდართან დაკავშირებით, სავაჭრო ცენტრის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობასა და დაცვის სამსახურის დაუდევრობაზე გაამახვილეს ყურადღება.

**ვანდა დობროვოლსკაია:** „მიუხედავად იმისა, რომ ცენტრის ხელმძღვანელობა საკმაოდ სოლიდურ თანხებს გვთხოვდა და პირადად, მე, 40 კვადრატულ მეტრზე, ყოველთვიურად, 1 100 ლაზე მეტს ვიხდიდი, ჩვეულებრივი საიჯარო ხელშეკრულება გვქონდა, სადაც საქონლის დაზღვევაზე არ ყოფილა საუბარი. მგონი, საკმარისი თანხა შესდიოდათ ჩვენგან, რომ სავაჭრო ცენტრს ჩვენთვის დაზღვევა გაეკეთებინა. წარმოიდგინეთ, კომუნალურ გადასახადებსა და უსაფრთხოების თანახსაც ვიხდიდით და რამდენად უსაფრთხოდ იყო ჩვენი ავეჯი შენახული, ყველამ ნახა. გაუგებარია, რისთვის გვახდევინებდნენ ამდენ გადასახადს, როცა ცენტრის ტერიტორიაზე წყალიც კი არ იყო და ცისტერნის დაცლის შემდეგ, სახანძრო მანქანებს წასვლა და წყლის მოტანა უწევდათ.

**— როგორც ვიცი, საკუთარი საქონლის გარდა, თითოეულ მეწარმეს მოსახლეობისგან ჩაბარებული ავეჯიც ჰქონდა. ამ ზარალის ანაზღაურება ვის დაეკისრება?**

— ყველა მეწარმეს ჰქონდა მოქალაქეებისგან ჩაბარებული საქონელი. ავეჯის პატრონები ზარალის ანაზღაურებას, რა თქმა უნდა, მოგვთხოვენ, ჩვენ კი მათ მოვთხოვთ, ვინც ამ ყველაფერში დამნაშავეა. გაარკვიონ, დაცული თუ იყო უსაფრთხოების ნორმები და მართლა დივერსია მოხდა თუ არა. იცით, ხალხი რა დღეშია? ზოგს თითქმის ნახევარი მილიონის საქონელი დაეწვა.

**ნინო მაზმიშვილი**, რომელსაც ცეცხლმა 300 000 ლარზე მეტი ღირებულების ავეჯი გაუნადგურა, მომხდარის გააზრებას ვერ ახერხებდა.

— ჯერ აგონიაში ვარ. არ ვიცი, რა ხდება ჩემს თავს ან ახლა რა უნდა გავაკეთო... ვერ ვაზროვნებ, მაპატიეთ...

**დაზარალებულ მეწარმეებთან საუბარში გავარკვიეთ, რომ სავაჭრო ცენტრის დაცვის სამსახურმა, ჯერჯერობით, დაუდგენელი მიზეზების გამო, დროულად მოსული სახანძრო ბრიგადების ტერიტორიაზე შეშვება თითქმის ნახევარი საათით გააჭიანურა, რამაც ცეცხლის გავრცელებას შეუწყო ხელი.**

**დათო ნ:** „სახანძრო დროულად მოვიდა, მაგრამ დაცვამ არ შეუშვა, სანამ ცენტრის ხელმძღვანელობასთან არ დარეკეს და ნებართვა არ მიიღეს. რა დროს თანხმობა და რევერანსები იყო, როცა ამდენი ადამიანი ვიღუპებოდით? ვერ წარმოიდგენთ, რა ხდებოდა. ზოგს გული წაუვიდა, ზოგი ცეცხლში ჩასახტომად იწევდა. წარმოიდგინეთ, ავეჯის ჩამოსატანად ხალხს სახლები აქვს ბანკში ჩადებული და ახლა ყველაფერს კარგავენ. ვითხოვთ, ტერიტორიაზე შეგვიშვან, რაც გადარჩა, იმას რომ მივხედოთ და ამის უფლებასაც არ გვაძლევენ. არადა, რაც ცეცხლმა ვერ დაწვა, წყალი გააფუჭებს. 300 ცისტერნა წყალი ავეჯს რომ დაესხმება, ის კიდევ რამედ ივარგებს? უგულავა იყო მოსული და რაღაც დაპირებები მოგვცა, მაგრამ ცენტრალური ხელისუფლებიდან არავინ გამოჩენილა. რა, ვერ გაიგეს, ორი დღეა აქ ვდგავართ. ხალხი უცხოეთიდან გვირეკავს და ამათ ვერ გაიგეს? უყურადღებობაა და სხვა არაფერი, თორემ ეს ხანძარი ქალაქის ყველა კუთხიდან ჩანდა.

**„ვერსიამ“ დაზარალებულ მეწარმეებთან საუბარში ისიც გაარკვია, რომ მათთვის მთავარი პრობლემა ბანკის კრედიტების შეჩერება და სავაჭროდ ალტერნატიული ფართის გამოყოფაა.**

**თამარ კაპანაძე:** „ჩემი მაღაზია შესასვლელშია და მთლიანად დანახშირდა. სხვებთან შედარებით, ჩემი ზარალი დიდი არ არის, 10 000 ლარამდეა. ადგილობრივ საამქროებში დამზადებული ავეჯით ვვაჭრობდით, რომელიც შედარებით იაფია, არის ხალხი, ვისაც ჩინური და ეგვიპტური ძვირადღირებული საქონელი დაეწვა. ახლა მთავარია, ბანკის პროცენტები შეგვიჩერდეს. აქ თქვეს, ცნობა აიღეთ, რომ ნამდვილად დაზარალდით და ბანკი შეღავათებს გაგიწევთო, ყველაფერი ბანკის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ალბათ, ვიღაცამ უნდა გაგვიწიოს შუამდგომლობა, რომ პროცენტი გაგვიჩერონ და სანამ ალტერნატიული ფართი მოგვეცემა, გამოვიტანოთ საქონელი, გავყიდოთ. მოგებაზე არ არის ლაპარაკი, საქონლის მინიმალური ფასი მაინც რომ ავიღოთ, მუშას თავისი შრომის საზღაურს მაინც გადავუხდით და საამქროებს — მასალის ღირებულებისას. ახლა ჯიბეში ბოლო 5 ლარი მიდევს და არ ვიცი, როდის რა მექნება, ამაზე ვიყავი დამოკიდებული. 7 000-ლარიანი კრედიტი მაქვს აღებული, თუ ვერ გადავიხადე, ვეღარაფერს გავაკეთებ. სახლში რომ მივალ და ვერაფერს მივიტან, როგორ ავუხსნა, რომ დღეს საჭმელი შეიძლება არ გვქონდეს? რაღაც უნდა გვიშველონ, გამოუვალ მდგომარეობაში ვართ“.

**სავაჭრო ცენტრთან გლდანი-ნაძალადევის გამგებელი ნოდარ სანდუხაძეც იყო მისული. რომელიც დაზარალებულებს ვითარებაში დროულად გარკვევასა და დახმარებას დაჰპირდა:**

— არასწორი მიმართულებით მსჯელობამ, შეიძლება, გამოძიებაზე ზემოქმედება მოახდინოს, ამიტომ ბევრს ვერაფერს გეტყვით. პირველ რიგში, უნდა დადგინდეს, რამდენი მეწარმე დაზარალდა და ზარალის კონკრეტული თანხა განისაზღვროს, უნდა მოვიძიოთ საგადასახადო დოკუმენტაცია და აღიწეროს საწყობი. ეს შრომატევადი პროცესი, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გავიაროთ, რათა დაზარალებულებმა დროულად მიიღონ დახმარება. როგორც კი კომისია ზარალის ოდენობას დაადგენს, შეგვეძლება იმაზე საუბარი, ვინ რა სახის დახმარებას მიიღებს. თბილისის მერიაც გაწევს ასეთ დახმარებას და მაქსიმალურად ვეცდებით, დროულად შეიქმნას თუნდაც დროებითი სავაჭრო ადგილები, ამ ადამიანებმა ყოველდღიური საარსებო საშუალება რომ მოიპოვონ.

**— დაახლოებითაც არ იცით ზარალის ოდენობა და მოხდება თუ არა დაზარალებული მეწარმეებისთვის კრედიტების გადავადება?**

— ეს დადგინდება მას შემდეგ, რაც ყველას გაესაუბრებიან, ყველა საბუთს შეაგროვებენ. რაც შეეხება კრედიტებს, ამ თემაზე ვერაფერს მოგახსენებთ. ადგილობრივი ხელისუფლება დაზარალებულებს დახმარებას აღმოუჩენს თავისი კომპეტენციის ფარგლებში... სამწუხაროდ, თვითქრობას ჰქონდა ადგილი, როგორც თვითმხილველები აცხადებენ, დაცვის თანამშრომლები შეეცადნენ, თვითონ მოეხდინათ ხანძრის ლოკალიზება. შედარებით გვიან გამოიძახეს სახანძრო სამსახური და აქედან გამომდინარე, ხანძარი საკმაოდ დიდ ფართობზე გავრცელდა. სახანძრო სამსახურებმა ხანძრის კერა გადაკეტეს, რათა არ გავრცელებულიყო მთელ ტერიტორიაზე.

**ნოდარ სანდუხაძე დაზარალებულ მეწარმეებს დაჰპირდა, რომ არსებულ პრობლემებთან მარტო არ დარჩებიან და მერიისა და სხვა ოფიციალური სტრუქტურების მსგავსად, „ჯიბეზე ხელის გაკვრა“ სავაჭრო ცენტრის ადმინისტრაციასაც მოუწევს.** „ვინმემ რომ თქვას, მთელი ფული, რასაც იხდიდით ბიუჯეტში მიდიოდა, არ იქნება მართალი. ბიუჯეტში მიდის 20%-იანი გადასახადი, დანარჩენი გროვდება და ახლა ყველამ თავისი წილი უნდა გაიღოს“, — განაცხადა სანდუხაძემ.

**რა დაადგინა გამოძიებამ, იკვეთება თუ არა დივერსიის ნიშნები, რას ფიქრობს ავეჯის ცენტრის ადმინისტრაცია მეწარმეების ბრალდებებზე და აპირებს თუ არა დაზარალებულებისთვის ზარალის ანაზღაურებას? — ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად, სავაჭრო ცენტრ „საბას“ მფლობელ პაატა კაჭარავას დაუკავშირდით.**

— ჯერ არაფერი გარკვეულა. დამოუკიდებელი და ალტერნატიული ექსპერტიზებიც ტარდება და ისინიც მუშაობენ, დაკითხვები მიმდინარეობს, თუმცა ჯერჯერობით, გამოძიებას არანაირი ინფორმაცია არ მოუწოდებია. არსებობს ვიდეოჩანაწერი, რომელიც ამოღებულია, გადაცემულია საგამოძიებო ორგანოებზე და იმედია, დაადგენენ ყველაფერს.

**— მეწარმეები ადმინისტრაციის მხრიდან დაწესებულ მაღალ გადასახადებზე საუბრობენ და მიიჩნევენ, რომ ამ თანხებში ქონების დაზღვევაც უნდა შესულიყო.**

— დაზღვევას ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა და არც ყოფილა.

**— მეწარმეებს ინდივიდუალურად დაზღვევა თუ შესთავაზეთ?**

— დღეს და გუშინ არა, მაგრამ რამდენიმე თვის წინ, ავუხსენით, რომ მათ სრული უფლება ჰქონდათ, ინდივიდუალურად დაეზღვიათ თავისი საქონელი. მათი გადასაწყვეტი იყო, დააზღვევდნენ თუ არა.

**— დაზარალებული მეწარმეებისთვის ზარალის ანაზღაურებას თუ აპირებთ?**

— ჩვენ ამ ადამიანებს მივეცით თავისუფალი ფართები, რაც ყველაზე სასწრაფოდ მოსაგვარებელი იყო. რაც შეეხება ზარალს, ჩვენც დაზარალებულები ვართ. კომისიამ დაიწყო მუშაობა, მოსული იყო საგადასახადო ინსპექციის ხელმძღვანელობა და იყო საუბარი იმაზე, რა შეღავათები განხორციელდება საგადასახადო კუთხით. კომისია მუშაობს ზარალის დადგენაზე და ჯერ ვერ გეტყვით, რა შეღავათები განხორციელდება ზარალის დადგენა-ანაზღაურების კუთხით. ეს, დაახლოებით, ისეთი შემთხვევაა, როგორც კახეთში სტიქიური უბედურება. ამჟამად ზუსტდება, ვის რა კრედიტები აქვს აღებული და რომელ ბანკებში. საერთოდ, როცა ასეთი უბედურება ხდება, კრედიტები უჩერდებათ ხოლმე. იმედია, ამჯერადაც ასე მოხდება. დაახლოებით, 3000 კვ მეტრი გავანაწილეთ და დაზარალებული ადამიანები უფასოდ შევუშვით. ამ დროისთვის, მარტო დამწვარი ფართი არ ფუნქციონირებს, დანარჩენი ჩვეულებრივ მუშაობს.

**— ანუ ფართის მხრივ, მეწარმეებს პრობლემა არ ექნებათ.**

— უბრალოდ, დიდი ფართის ნაცვლად, მცირე ფართები მივეცით. მაგალითად, ვისაც 200 კვმ ჰქონდა, 50 კვმ-ს ფართში შევუშვით და ფართების განაწილებას ვაგრძელებთ.

## ვერსიანიუსი

### თემურ ჩხეიძე მოღვაწეობას საქართველოში გააგრძელებს



რეჟისორი თემურ ჩხეიძე პედაგოგიურ და რეჟისორულ საქმიანობას საქართველოში გააგრძელებს.

როგორც რეჟისორის შვილმა, მსახიობმა ეკა ჩხეიძემ განაცხადა, თემურ ჩხეიძე საქართველოში დაახლოებით მარტის შუა რიცხვებისთვის ჩამოვა.

თემურ ჩხეიძე მომავალ მსახიობებსა და რეჟისორებთან იმუშავებს. დადგამს სპექტაკლებს მარჯანიშვილის თეატრში, სადაც ერთ სპექტაკლზე მუშაობა უკვე დაწყებული აქვს.

თემურ ჩხეიძემ სანკტ-პეტერბურგის ტოვსტონოგოვის სახელობის დიდი აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტი უკვე დატოვა.

*„ინტერპრესნიუსი“*

### ჯეიმს აპატურაი: „სასამართლო პროცესები პოლიტიკისგან თავისუფალი უნდა იყოს“

სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის, ჯეიმს აპატურაის განცხადებით, საქართველოში კონკრეტული ადამიანების სასამართლო პროცესები პოლიტიკისგან თავისუფალი უნდა იყოს. ამის შესახებ აპატურაიმ ბრიუსელში, იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა:

**„ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს არანაირი როლი არ აქვს ინდივიდუალურ სასამართლო განხილვებსა და დეტალებში. არ ვაპირებთ, ჩვენი პოზიციის თავს მოხვევას. სასამართლო პროცესები კონკრეტული ადამიანების მიმართ პოლიტიკისაგან თავისუფალი და გამჭვირვალე უნდა იყოს, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისია“.**

*„ინტერპრესნიუსი“*

### კოტე კუბლაშვილი: „ჩემი იმპიჩმენტის არანაირი საფუძველი არ არსებობს“



საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის, ეკა ბესელიას განცხადებას მისი შესაძლო იმპიჩმენტის შესახებ, არასერიოზულსა და უსაფუძვლოს უწოდებს: **„ამას სერიოზულად არ ვუყურებ, რადგან ასეთი განცხადებები ნამდვილად უსაფუძვლოა. პოლიტიკოსს აქვს უფლება, გააკეთოს უსაფუძვლო განცხადებები, მაგრამ მე არ მაქვს ამის უფლება“.**

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თქმით, იმ მოსამართლეებს, რომლებსაც თითქოს არ ჰქონდათ შესაბამისი იურიდიული განათლება, ნამდვილად ჰქონდათ მოქმედი კონსტიტუციის შესაბამისი განათლება: **„იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იმსჯელა და დაადგინა, რომ მათ აქვთ შესაბამისი იურიდიული განათლება, ასევე სასამართლოში გასაჩივრების შემდეგაც, სასამართლომაც დაადგინა, რომ მათ კვალიფიკაციური განათლება აქვთ“.**

ამასთან, კოტე კუბლაშვილი აცხადებს, რომ იმპიჩმენტის საკითხი ვერანაირად ვერ დადგება: **„კონსტიტუციით გათვალისწინებულია, რომ იმპიჩმენტის საკითხი რომ დადგეს, ერთ-ერთი საკითხი არის დანაშაულზე წასწრება. ასეთი რამ არ ყოფილა. მე მიმაჩნია, რომ საერთოდ, იმპიჩმენტზე საუბარი თუ დაიწყო, ეს იქნება ყოვლად უსაფუძვლო მსჯელობა, რადგან იმპიჩმენტის არანაირი საფუძველი არ არსებობს“.**

პარლამენტის წევრმა ეკა ბესელიამ არ გამორიცხა, რომ მოსამართლეთა საქმეების შესწავლის შემდეგ, კოტე კუბლაშვილის პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს. გამოძიება, ამ დროისთვის, ორი მოსამართლის საქმეს სწავლობს, რომლებსაც, არსებული ინფორმაციით, უმაღლესი იურიდიული განათლება არ აქვთ.

*„ინტერპრესნიუსი“*

ნელი თორდია
593-61-07-72

# „ნაციონალები“ ბაგა-ბაღებს საჯარო რეესტრში სასადილოებად არეგისტრირებდნენ, რათა ადვილად გაეყიდათ

**სკოლამდელი აღზრდის სისტემის „ნაციონალურად რეფორმირების“ შემდეგ, მოსახლეობამ თითქმის განახევრებული რაოდენობის ბაგა-ბაღები, ბავშვებით გადატვირთული საალმზრდელო ჯგუფები და მომსახურეობისთვის დაწესებული გადასახადები მიიღო. ეს ყველაფერი როდია! „ვერსიისთვის“ ცნობილი გახდა, რომ საჯარო რეესტრში, ბაგა-ბაღები საზოგადოებრივი კვების ობიექტებად იყო დარეგისტრირებული. ვინ და რატომ არეგისტრირებდა ბაგა-ბაღებს სასადილოებად, რა გეგმები ჰქონდათ „ნაციონალებს“ სკოლამდელი აღზრდის „შემდგომი განვითარების“ მიმართულებით და რა კავშირშია ბაგა-ბაღების დახურვა კერძო სექტორის განვითარებასთან? ამ თემაზე, „ვერსიას“, თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — თბილისელების“ თავმჯდომარე გულიკო ზუმბაძე ინფორმაციასაც აწვდის და საკუთარ მოსაზრებებსაც უზიარებს.**

**„მერიის მიერ გატარებული რეფორმის შედეგად, ბაგა-ბაღის თითოეულ ჯგუფში 40-მდე ბავშვი ირიცხება, რასაც ბოლო დრომდე, მერიის ბაგა-ბაღების სააგენტო და მამუკა ქაცარავა კერძო სექტორის განვითარებისთვის ხელშეწყობით ხსნიდნენ. თურმე, კერძო ბაღების სისტემის განვითარებისთვის აუცილებელია, მუნიციპალურ ბაგა-ბაღებში ბავშვები უადგილობითა და უჟანგბადობით იხრჩობოდნენ. საბედნიეროდ, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, პრობლემის მოგვარებისთვის კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. პირველ რიგში, აუცილებელია, აღიწეროს დახურული ბაღები და დაანგარიშდეს, რა თანხა დასჭირდება მათ ამუშავებას. რაც შეეხება საჭირო პერსონალს, ჩვენ გვყავს უკანონოდ გათავისუფლებული უამრავი ბაღის გამგე და კვალიფიციური პედაგოგი. ასე რომ, დეფიციტი არ გვექნება. ახლა საჭიროა მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლების კეთილი ნება, რადგან ჯერჯერობით, ბაღები ადგილობრივი ხელისუფლების ხელშია“.**

არასწორად გატარებული რეფორმის დემონტაჟისა და ახალი რეფორმის გასატარებლად, ფრაქციის თავმჯდომარის განმარტებით, აუცილებელია განათლების სისტემაში სკოლამდელი აღზრდის სეგმენტის დაბრუნება და ერთიანი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემუშავება. გულიკო ზუმბაძის თქმით, მისთვის კატასტროფის ტოლფასი იყო იმის აღმოჩენა, რომ საჯარო რეესტრში ბაგა-ბაღების საქმიანობის ტიპად სასადილოებია მითითებული. საკრებულოს წევრი დარწმუნებულია, ეს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაუბრკოლებლად გასხვისებისთვის გაკეთდა. **„ქვეყანაში სკოლამდელ აღზრდასთან დაკავშირებით ერთნაირი პოლიტიკა უნდა შემუშავდეს. არ შეიძლება თბილისში, თელავსა და ბოლნისში სხვადასხვა სისტემა იყოს. დღეს სკოლამდელი აღზრდის პოლიტიკა არ არსებობს და არც იარსებებს, თუ ეს საკითხი ხელისუფლების მზრუნველობის სფეროში არ დაბრუნდება. სწრაფი ტემპით უნდა დაიწყოს საბავშვო ბაღების გახსნისა და სტატუსის დაბრუნების პროცედურები.**

**ჩემთვის კატასტროფა იყო იმის აღმოჩენა, რომ საჯარო რეესტრში ბაგა-ბაღები საქმიანობის ტიპის მიხედვით გატარებულია როგორც სასადილოები. წესით, ბაგა-ბაღების საქმიანობის ტიპად უნდა ფიქსირდებოდეს სკოლამდელი აღზრდა. კვება დღის რეჟიმით გათვალისწინებული აუცილებელი ღონისძიებაა და არა ძირითადი საქმიანობა. ყველამ ვიცით, ბავშვი ბაღში მხოლოდ კვებისთვის არ დაჰყავთ და არა მგონია, ასეთი „შეცდომა“ ვინმეს შემთხვევით გაპარვოდა. მე ხელთ მაქვს შესაბამისი ამონაწერები, რაც მოწმობს, რომ ნაციონალურ მოძრაობას გადაწყვეტილი ჰქონდა, ისევე გაეყიდა ბაღები, როგორც თავის დროზე, პოლიკლინიკები გაყიდა. მოქმედი კანონმდებლობით, საგანმანათლებლო დაწესებულების გასხვისება იკრძალება, მაგრამ თუ სტატუსსა და ფუნქციას შეუცვლიდნენ, მაშინ საქმე გაადვილდებოდა.**



## „ყოფილ ხელისუფლებას საბავშვო ბაღები დღესაც თავის პარტიულ შტაბებად მიაჩნია და ამ ბერკეტს ხელიდან არ უშვებს“

**რომ არა ხელისუფლების ცვლილება, „ნაციონალებს“ ეს საკითხი გადაწყვეტილი ჰქონდათ. სწორედ ამიტომ არიან ბაღებში დასაქმებული, ხელისუფლებისა და მერიის მაღალი თანამდებობის პირთა ახლობლები და ოჯახის წევრები. ყოფილ ხელისუფლებას საბავშვო ბაღები თავის პარტიულ შტაბებად მიაჩნია და ამ ბერკეტს ხელიდან არ უშვებს. ამიტომ დანიშნეს ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელად ერთ-ერთი ცნობილი პარტიული აქტივისტი და ზურაბ ჭიაბერაშვილის მარჯვენა ხელი რამაზ სულამანიძე, რომლისთვისაც ბაღების სფერო სრულიად უცხოა.**

**შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, მხოლოდ ფინანსური უზრუნველყოფითა და გადასახადების გაუქმებით შედეგს ვერ მივაღწევთ და დიდი რეფორმებია გასატარებელი, გაზაფხული წინ გვაქვს. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა გამოინახოს ბაღების შენობები და აღდგეს ჯგუფები. სკოლამდელი აღზრდა და ბავშვი უნდა გახდეს პრიორიტეტი. იმედი მაქვს, ეს ცენტრალური ხელისუფლების ინტერესების სფეროში მოხვდება“.**

საჯარო რეესტრში უცნაური ფორმით დარეგისტრირებულ ბაღებთან დაკავშირებული კითხვებით ბაგა-ბაღების სააგენტოს მივმართეთ. სააგენტოს ხელმძღვანელი და ჭიაბერაშვილის „მარჯვენა ხელი“ სამსახურში არ იმყოფებოდა. სააგენტოს თანამშრომელმა კი „უხერხული კითხვებისგან“ თავის არიდება მოუცლელობის მომიზეზებით სცადა და მოგვიანებით დაკავშირების პირობით, „ვერსიის“ საკონტაქტო ნომერი ჩაიწერა. როგორც ვვარაუდობდით, არავინ დაგვკავშირებია, ამიტომ მერიას თავად დავუკავშირდით. მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში ის დაგვიდასტურეს, რაც ისედაც ვიცოდით. კერძოდ, განგვიმარტეს, რომ ბაგა-ბაღების სააგენტო საჯარო რეესტრში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სასადილოებად დარეგისტრირებაზე კომენტარს ვერ გააკეთებს და მომხდართან დაკავშირებით, ვერსიები არ გააჩნია.

## თავდაცვის სამინისტროს მიერ სატელიტური ანტენების შეძენის ფაქტს სამხედრო პოლიცია შეისწავლის



ეს ინფორმაცია პრესკონფერენციაზე თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსმა ანდრია გოცირიძემ გაავრცელა.

მისი თქმით, 2012 წლის 7 ივლისს, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ლილოს ბაზრობის მოვაჭრეებისგან, შემდგომი გადახდის პირობით, დიდი რაოდენობით სატელიტური ანტენა წამოიღო.

**„წარმოდგენილი ინვოისების თანახმად, სულ ჩამორთმეულია 2 719 ცალი ანტენა, 1 419 ცალი – „რესივერი“ და 479 ცალი – „ლნბ“. ჩამორთმეული საქონლის საერთო ღირებულებამ 141 616 ლარი შეადგინა. დამსწრეთა განმარტებების თანახმად, სატელიტური ანტენების წაღების მომენტში საქონლის გადათვლა არ მომხდარა. ვერ მოესწრო სრული რაოდენობის საქონლის წაღებაც, რადგან აღნიშნულ ქმედებას, შესაძლოა, რეზონანსი მოჰყოლოდა. ამ პროცესში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის მაღალჩინოსნები მონაწილეობდნენ. მათ იმავე დღეს საქონლის ნაწილი საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-4 ქვეითი ბრიგადის ტერიტორიაზე შეიტანეს, დარჩენილი ნაწილი კი ლილოს ბაზრობის ტერიტორიაზე დასაწყობდა და დაილუქა. დასაწყობების პერიოდში საქონლის გადათვლა და შესაბამისი დოკუმენტური აღრიცხვა არ განხორციელებულა. ამასთანავე, სატელიტური ანტენების ნაწილი ოქტომბერში სხვადასხვა ქვედანაყოფზე განაწილდა, რომელიც შემდგომ აღრიცხვისა და საბუთების გარეშე, სამხედრო ნაწილებში დამონტაჟდა, ასევე, უსაფუძვლოდ გაჩუქდა პირად შემადგენლობაზე. ამჟამად მე-4 ქვეითი ბრიგადის ტერიტორიაზე 1 079 სატელიტური თეფში და 285 ცალი „რესივერია“ დასაწყობებული. მოგვიანებით, 2012 წლის 12 ივლისს საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ჟ-6 კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების დეპარტამენტის მიერ, ჩამორთმეულ საქონელზე შესყიდვის მოთხოვნა საიდუმლო გრიფით განხორციელდა. სატელიტური ანტენების შეძენის მიზნობრიობა ვერ საბუთდება. რამდენიმე დღის შემდეგ, შპს „თბილავიამშენის“ მიერ საქონელზე თანხების გადახდა განხორციელდა, თუმცა ერთ-ერთი მოვაჭრისთვის 75 000 ლარი გადასახდელი დარჩა. შესყიდვაზე გადახდილი თანხები, ფაქტობრივად, არსებულ მონაცემებს არ ემთხვევა. კერძოდ, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, დანაკლისია 520 ცალი სატელიტური ანტენის თეფში და 175 ცალი ე.წ. რესივერი, სავარაუდო ღირებულებით – 22 000 ლარი“.**

გოცირიძისვე თქმით, ეჭვი ჩნდება, რომ აღნიშნული საქმე სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს და მას სამხედრო პოლიცია გამოიძიებს.

თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი პოლიტიკური შეფასებებისგან თავს იკავებს, თუმცა ანტენების შესყიდვის პერიოდიდან (არჩევნებამდე) გამომდინარე, არ გამორიცხავს, ეს იმიტომ განხორციელდა, ანტენები მოსახლეობას არ შეეძინა.

*„პირველი“*

## ვერსიანიუსი

## ნინო ბურჯანაძემ პროკურატურას 30-კაციანი სია გადასცა




„დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე პროკურატურაში მოწმის სტატუსით დაკითხვეს. ბურჯანაძემ ექვსსაათიანი დაკითხვის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პროკურატურას გადასცა 30-კაციანი სია, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს, რომ 26 მაისთან დაკავშირებული გამოძიების ფარგლებში დაიკითხოს.

ბურჯანაძის ცნობით, ამ სიაში მისი მეუღლე ბადრი ბიწაძე და მათი შვილიც არიან. მისივე თქმით, იგი პროკურატურაში ახსნა-განმარტების მიცემის პროცესით კმაყოფილია: **„დავინახე, რომ 26 მაისთან დაკავშირებით სერიოზული დაინტერესებაა პროკურატურის მხრიდან. სერიოზული ინტერესი გამოვლინდა. ბევრი ინფორმაცია მივეცი გამოძიებას, თუმცა საქმე კიდევ ბევრია“.**

მისივე თქმით, გამოძიების პროცესში ყველა ეპიზოდი, განსაკუთრებით ადამიანის დაღუპვისა და დასახიჩრების ფაქტები ბოლომდე იქნება გამოძიებული. **„მალე საზოგადოება დაინახავს „ნაცმოძრაობის“ რეალურ სახეს. იმედს ვიტოვებთ, რომ გამოძიება მალე დასრულდება და სერიოზული მასალა დაიდება. სამართალმა უნდა იზეიმოს“,** — განაცხადა ბურჯანაძემ და აღნიშნა, რომ 26 მაისს მოხდა არა აქციის დაშლა, არამედ განხორციელდა ორგანიზებული სისხლიანი ოპერაცია, რომელშიც წინასწარ იყო დაგეგმილი, რომ ადამიანის მსხვერპლი უნდა ყოფილიყო.

ბურჯანაძემ ჟურნალისტებს გაუმხილა, რომ ახსნა-განმარტების მიცემის შემდეგ, ნინო ბურჯანაძე შეხვდა მთავარ პროკურორ არჩილ კბილაშვილს და სხვადასხვა თემებზე ესაუბრა: **„საინტერესო საუბარი შედგა. მას წარმატებას ვუსურვებ ისევე, როგორც მთავარ პროკურატურას“.**

ნინო ბურჯანაძეს, ჯერჯერობით, არ აქვს ინფორმაცია, გამოძიების პროცესში ის კიდევ დაიკითხება თუ არა.

*„ინტერპრესნიუსი“*

# სიგარეტი 20-30%-ით გაძვირდება!



ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

**სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული დაავადებების გამო, ყოველწლიურად, 11 000 ადამიანი იღუპება. ამ ფონზე, გასაკვირი არ არის, რომ ხელისუფლება თამბაქოზე კონტროლის გამკაცრებას გეგმავს. ამის შესახებ ინფორმაცია თავად ჯანდაცვის მინისტრმა გაავრცელა. სამინისტროს მოწვევით, საქართველოში, უკრაინიდან უკვე ჩამოვიდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტი კონსტანტინე კრასოვსკი. ის ქართველ კოლეგებს აცნობს ხედვებს, როგორ შეიძლება ქვეყანამ თამბაქოს კლანჭებისგან იხსნას თავი.**

**„თამბაქოს კონტროლის ალიანსის“ ხელმძღვანელი, გიორგი ბახტურიძე მიიჩნევს, რომ:** „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის კუთხით ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი თამბაქოზე ფასის მატებაა. საკმაოდ დიდია სიკვდილობის მაჩვენებელი თამბაქოს მოხმარებისგან გამოწვეული დაავადებებისგან. ამ მიზეზით, საქართველოში, ყოველწლიურად, 11 000 ადამიანი იღუპება. თამბაქოს ინდუსტრია მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხარჯზე სერიოზულ მოგებას ნახულობს. საერთაშორისო ინფორმაციებზე დაყრდნობით, ეს კრიმინალური ინდუსტრია მთელ მსოფლიოშია — ხდება ქვეყანაში განადგურებას დაქვემდებარებული ნედლეულის შემოტანა და გადამუშავება. რაც ინდუსტრიის მოგებას აათმაგებს. არადა, თამბაქოს წარმოებას, წლების განმავლობაში, სასათბურე პირობები ჰქონდა შექმნილი. მით უმეტეს, აქ იკვეთებოდა მაღალი თანამდებობის პირების ბიზნესინტერესები. თუ 20 წლის წინ თამბაქოს წილი ბიუჯეტიდან იყო 10-15%, დღეის მდგომარეობით — 0,5 %-ია. ბოლო 3 წლის განმავლობაში, ყოველწლიურად, ბიუჯეტში, ამ კუთხით 150 მილიონი ლარი შემოდის, თუმცა ეკონომიკური გათვლებით, 250 მილიონი ლარი უნდა შემოდიოდეს. ეს თანხა უკანონო ვაჭრობის წილია. მისი დაფარვა ყალბი სააქციზო მარკების დასაქონლებით, ასევე, უკანონო ნედლეულის შემოტანით ხდება.




თამბაქოს ინდუსტრიასთან „ბრძოლისა“ და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვის რა რეკომენდაციები მისცა უკრაინელმა ექსპერტმა საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროს წარმომადგენლებს

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია პირდაპირ ითხოვს ქვეყნებისგან, რომ არ შევიდნენ გარიგებაში თამბაქოს ინდუსტრიასთან. ბოლო წლების მონაცემებს რომ გადახედოთ, ნახავთ, რომ პროდუქტებზე ფასი საგრძნობლად გაიზარდა. თამბაქოს ნაწარმზე კი პირიქით, — 10-20 თეთრითაც კი შემცირდა. ეს იმიტომ, რომ ყოფილი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები მას ლობირებდნენ.

თამბაქოს ბიზნესის ლობირება ხელისუფლებისთვის წამგებიანია, რადგან ბიუჯეტში არ შემოდის შესაბამისი თანხები. სახელმწიფო კი, უფრო მეტს ხარჯავს იმ დაავადებების სამკურნალოდ, რასაც თამბაქო იწვევს. გარდა ამისა, ეს მოსახლეობის ღარიბი ნაწილის კიდევ უფრო გაღატაკებას იწვევს. ამ ფონზე, საჭიროა, პირველ ეტაპზე, აქციზის გადასახადი 60%-ით გაიზარდოს“.

**თამბაქოს ნაწარმზე აქციზური გადასახადის გაზრდას, თამბაქოს ინდუსტრიასთან ბრძოლის ყველაზე ეფექტურ მეთოდად მიიჩნევს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტი კონსტანტინე კრასოვსკი:** „აქციზის გადასახადის ზრდა კონტრაბანდას არ გაზრდის. საქართველოში შიდაკონტრაბანდა არ არის. აქ უფრო გარეკონტრაბანდაა. იმის გამო, რომ სიგარეტი თქვენს ქვეყანაში შედარებით იაფი ღირს, ის კონტრაბანდული გზით სხვა ქვეყნებში, მეტადრე თურქეთში გადის. აქციზური მარკის ფასის 60-70%-იანი ზრდა თამბაქოს ნაწარმზე ფასის 20-30%-ით ზრდას გამოიწვევს.“

**მოწვეული ექსპერტი ამტკიცებს, რომ თამბაქოს ნაწარმის თვითღირებულება ყველა ქვეყანაში ერთნაირია, მაგრამ ნაწარმზე დაწესებული ფასი, ქვეყნის პოლიტიკურ დამოკიდებულებაზე მეტყველებს ამ ინდუსტრიის მიმართ:**

„ეს აქციზის ფასზეა დამოკიდებული. თუ ქვეყანაში აქციზის გადასახადი მაღალია, მაღალია სიგარეტის ფასიც. ის ქვეყანა, სადაც მაღალია აქციზის გადასახადი, მეტად ზრუნავს თავისი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. თამბაქოს ნაწარმზე ფასის მატება ერთჯერადი მოვლენა არ უნდა იყოს და პერიოდულად უნდა მოხდეს. ეს ჩემი რეკომენდაციაა.

უკრაინაში ფასის მატებამ გავლენა მწეველთა რაოდენობაზე მოახდინა — მათმა რიცხვმა, 3 წლის განმავლობაში, 15%-ით იკლო. ეს მოხდა არა იმის ხარჯზე, რომ მწეველებმა თავი დაანებეს მოწევას, არამედ იმის ხარჯზე, რომ ახალგაზრდებმა მოწევა აღარ დაიწყეს. აქციზური გადასახადის გაზრდა თამბაქოზე ხელმისაწვდომობას ამცირებს“.



# ნარკომომხმარებელი ქალები მათთვის სპეციალური ცენტრის გახსნას ითხოვენ



ნინო ხარშილაძე
599-55-63-56



**„ვერსია“ უკვე წერდა, რომ საქართველოში ნარკომომხმარებელი ქალების რიცხვმა საგრძნობლად იმატა. როგორც ირკვევა, მათი უმრავლესობა მეუღლის ან სექსუალური პარტნიორის ძალადობის მსხვერპლია. სწორედ პარტნიორები აიძულებენ, ნარკოტიკი ჯერ უბრალოდ „გასინჯონ“, შემდეგ მასზე დამოკიდებულნი გახდნენ და, სამომავლოდ, „დოზის“ საშოვნელად გავიდნენ. ისინი ერთგვარ „ფარს“ წარმოადგენენ — პოლიციის წარმომადგენლები და აფთიაქში მომუშავე ფარმაცევტები, მათზე ნაკლებად იღებენ ეჭვს.**

**ირკვევა ისიც, რომ ყველა ის პრობლემა, რაც ზოგადად, ნარკომომხმარებლებთან დაკავშირებით არსებობს, გაცილებით მძაფრადაა გამოხატული ქალებთან მიმართებაში. ზოგადად, ნარკომომხმარებლებთან დაკავშირებით არსებული პრობლემების გადაჭრაზე, მათ მკურნალობაზე, სახელმწიფო, გარკვეული პროგრამების ფარგლებში, უკვე დიდი ხანია ზრუნავს. ახალი ხელისუფლების პირობებში, ამ საკითხთან დაკავშირებით, გარკვეული ნოვაციებიც არსებობს. მაგალითად, პენიტენციალურ სისტემაში, საჭიროებისამებრ, 6-თვიანი ან 1-წლიანი უფასო მკურნალობა. მიუხედავად ამისა, ქალი ნარკომომხმარებლები მიიჩნევენ, რომ პრობლემა შეიძლება ვერ მოგვარდეს, თუკი, ქალ წამალდამოკიდებულების მიმართ შესაბამის ორგანოებს განსაკუთრებული მიდგომა არ ექნება. „ვერსიამ“ „საქართველოს ზიანშემცირების ქსელის“ წარმომადგენელთა დახმარებით მოახერხა, 50 წლის ქალბატონის ჩაწერა, რომელიც ვინაობას არ ამხელს, მაგრამ თავის ისტორიასაც გვიამბობს და იმასაც გვიხსნის, რატომ არის აუცილებელი ქალი ნარკომომხმარებლებისთვის სპეციალური ცენტრის შექმნა.**

— 7 წელია თავი დავანებე, მაგრამ საუბედუროდ, 25 წლის განმავლობაში მოვიხმარდი ნარკოტიკს. 80-იანი წლების ბოლოს, ამ სენით მეორე მეუღლემ დამაავადა. მაშინ ეს, გარკვეულ წრეებში, რაღაც მოდური ტენდენციაც იყო. მერე ნელ-ნელა მივეჩვიე... და ძალიან გვიან მივხვდი, რომ სერიოზულად დავავადდი.

— **ნარკოტიკი მეუღლემ რატომ გაგასინჯათ?**

— ჩემი ფინანსური მდგომარეობის გამო ჩამითრია ამ საშინელებაში. მდიდარი ოჯახისშვილი ვიყავი. მამაჩემი ღვინის ქარხნის დირექტორი იყო. ბაბუა — მინისტრი და საქართველოს მთავარი არბიტრი. მაშინ, ნარკოტიკის მავნებლობაზე არაფერი ვიცოდი. წარმოდგენაც არ მქონდა, რა საშინელი შედეგი შეეძლო მოეტანა ადამიანისთვის ამ ნივთიერებებს.

— **გამოდის, თქვენც ბევრის მსგავსად, ქმრის ძალადობის მსხვერპლი ხართ?**

— დიახ, ფულის გამო, გამიზნულად, ნარკოტიკზე „დამსვა“, ჩემს ფსიქიკაზე იმოქმედა, მომატყუა, შემომაპარა. მითხრა, კარგ ხასიათზე იქნებიო და დამღუპა. ფსიქოლოგიურად მოქმედებდა ჩემზე, რომ რაღაცას გამომრჩენოდა, მანქანაში ჩამიჯენდა, პოლიციის თვალის ასახვევად, „წამლის“ საყიდლად მივყავდი და... ძალადობაა ეს, აბა, რა. მერე იყო ულტიმატუმებიც, მუქარაც, ხელიც არაერთხელ დაურტყამს... სახლიდან მპარავდა რაღაცებს და ყიდდა. რაც გამაჩნდა, ყველაფერი გამიყიდა... 6 წლის შემდეგ ყველაფერი გაიგო ჩემმა ოჯახმა და ქმარს გამაშორეს, მაგრამ მე უკვე დაავადებული ვიყავი და მაინც მოვიხმარდი ნარკოტიკს.

— **წარმატებული ოჯახისშვილს სათანადო მკურნალობა არ ჩაგიტარეს?**

— ბევრჯერ მქონდა მკურნალობის მცდელობა, მაგრამ ისეთ წრეში ვიყავი, ცდუნებას ვეღარ ვუძლებდი. ეს თითქოს ჩემს ძალებს აღემატებოდა, მაგრამ იმას ყოველთვის ვაკონტროლებდი, ჩემი ერთადერთი ქალიშვილის თანდასწრებით არ „გამეკეთებინა“. ყოველთვის სხვაგან მივდიოდი.

— **პოლიციასთან პრობლემები არ შეგქმნიათ?**

— რა თქმა უნდა, დაჯარიმებულიც ვარ, 5 წელი ციხეშიც ვიჯექი მოხმარებისთვის. 2 წელია გამოვედი. სასჯელთა შეკრებითობის წესით, 25 წელი მომისაჯეს. პირველი ჯგუფის ინვალიდი ვარ. მძიმე დიაგნოზი დამისვეს — ნარკოტიკების გამო, ორივე ქვემოკიდურის ვენების დეკომპენსაცია მაქვს. პროფესიით იურისტი ვარ, კანონები კარგად ვიცი, დასაბუთებულად მოვითხოვე, ავადმყოფობის გამო სასჯელი გადაევადებინათ და პატიმრობას თავი ასე დავაღწიე. ახლა ჩემს მუხლებს ამნისტია შეეხო. ნარკოტიკის მოხმარებას თავი დაჭერამდე ერთი წლით ადრე დავანებე — მეტადონის პროგრამაში ჩავერთე.

ვინც ამ პროგრამაში ვიყავით, ჩაგვისაფრდა პოლიცია, ჩაგვიდო ნარკოტიკი და დაგვიჭირა. საბედნიეროდ, მე უკვე ვიპოვე იმის ძალა, ამ საშინელებისგან თავი დამეხსნა, მაგრამ გარწმუნებთ, ძალიან ბევრი ნარკომომხმარებელი ქალი იტანჯება და დგას წარმოუდგენელი პრობლემების წინაშე, რომლებსაც თავს ვერ აღწევენ. კარგი იქნება, თუ ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლები გადადგამენ შესაბამის ნაბიჯებს და დაეხმარებიან მათ, ამ ჯოჯოხეთს თავი დააღწიონ.

— **კონკრეტულად, რა უნდა გაკეთდეს?**

— მაგალითად, გაკეთდეს სპეციალური ცენტრი ქალებისთვის. საქმე ისაა, რომ გოგონები მეტადონის პროგრამაში არ ერთვებიან. უმეტესობას ერიდება კაცებთან ერთად მკურნალობა. ზოგს ქმარი უშლის ხელს, მამაკაცებთან ერთად იყოს ჩართული პროგრამაში, სამაგიეროდ, ურჩევნია, „ვინტი“, „ჯეფი“ და „კრაკადილი“ გაუკეთოს. აბა, დღეს საქართველოში შედარებით „კარგი“ ნარკოტიკი არ იშოვება. თუ იშოვება — ელიტური ნარკომანები მოიხმარენ. ძალიან ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი, მაგალითად ის, რომ ქალთა ციხეში არც მეტადონის პროგრამა მოქმედებს. ვერ გავიგე, ქალისა და კაცის ცუდად ყოფნა რით განსხვავდება ერთმანეთისგან?! ქალ ნარკომომხმარებლებში არის შიდსისა და „ცე“ ჰეპატიტის ძალიან ხშირი შემთხვევები, იმის გამო, რომ არ არის ქალთა ცენტრები, მათ არ იციან, როგორ დაიცვან თავი ამ ინფექციისგან. საზოგადოებაც ქალი ნარკომომხმარებლების მიმართ გაცილებით მკაცრია. ამის გამო, ხშირად, მეტადონის პროგრამაში მონაწილეობის მიზნით, ქუთაისიდან გორში დადიან და ყველაფერს აკეთებენ, რაიონში მათი სტატუსი რომ არ გამჟღავნდეს. გარდა ამისა, ძვირია მეტადონისა და სუბოქსინის ფასიანი პროგრამა. რამდენიმე ქალს ვიცნობ, რომელიც სექსმუშაკი მხოლოდ იმის გამო გახდა, სუბოქსინის პროგრამის ფული გადაიხადოს და ამ საშინელი სენისგან გათავისუფლდეს. დარწმუნებული ვარ, თუ სახელმწიფოს მხრიდანაც იქნება ხელშეწყობა, ნარკომომხმარებელი ქალების უმრავლესობა, სხვადასხვა პროგრამებში ჩაერთვება და ჯანსაღ, სრულფასოვან ცხოვრებას დაუბრუნდება.

## პრეზიდენტი პარლამენტში საკონსტიტუციო შეთანხმების საკითხში სიცხადის შეტანისთანავე გამოვა



ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა განაცხადა. მისივე თქმით, საკითხში სიცხადის შეტანის ორი გზა არსებობს — „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური განცხადება საკონსტიტუციო ცვლილების მხარდაჭერაზე თანხმობის შესახებ, ან კენჭისყრის შედეგებით გამოვლენა.

**„როგორიც არ უნდა იყოს სიცხადე, ჩვენ პრეზიდენტს მოვუსმენთ. ჩვენ შეგვეძლო, ხვალვე კენჭი გვეყარა ამ ცვლილებებისთვის, თუმცა კენჭისყრა მარტის ბოლოსთვის დავნიშნეთ, რათა პრეზიდენტსაც და ყველას, ვისაც ხმა აქვს მისაცემი, მათ შორის საწინააღმდეგოდ, პოლიტიკურ ვითარებაში კარგად გარკვევის საშუალება მიეცეს. ამ კანონპროექტს გავლილი აქვს ყველა ინსტანცია“,** — აცხადებს უსუფაშვილი.

მისივე თქმით, „ქართულ ოცნებას“ პარლამენტში არ ჰყავს 150 კაცი და ცვლილებების ამ კვორუმით მიღებას ვერ დათანხმდება: **„150-კაციანი იქნება, 117-იანი თუ 137-იანი, ამაზე ვსაუბრობთ. ამ კონკრეტულ საკითხში, რომ პრეზიდენტმა მთავრობა ერთპიროვნულად არ უნდა შექმნას, ყველა თანხმდება. პრეზიდენტიც ამბობს, რომ ამ უფლებას არ გამოიყენებს, თუმცა ვერ გადადგა ნაბიჯი, რომ კონსტიტუციიდან ამ საკითხის ამოღებას დათანხმდეს. ასე მარტივ თემაზე თანხმობის მიცემაში ხელს რა უშლის და რატომ ხდება, რომ ხან ელჩების თემას გადააბმება, ხან დაცვის თემას, რაშია საქმე?!“**

*„პირველი“*

## „ალბათ, აჯობებს, თეატრი დავტოვო იმიტომ, რომ ეს ძალიან ცუდი კანონია“

*მე-10 გვერდიდან*

მიხეილ თუმანიშვილი რომ მოჰყავთ მაგალითად, იგი თვითონ იყო გენიოსი და მაშინ დროც სხვა იყო. ვიღაც ფიქრობს, რომ სამხატვრო ხელმძღვანელია მთავარი, მამა და ღმერთი, მე კი ასეთი უვალდებულო თანამდებობების წინააღმდეგი ვარ. ამიტომ ვამბობ, ჩვენ იქ, ერთ კონკრეტულ საკითხზე ვიყავით შეკრებილები, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ საქართველოში ამდენი თანამოაზრეა. სამწუხაროდ, პროფესიულ საკითხებში ყველაზე ნაკლებად ვიბრძვით, ჩვენ მხოლოდ „წადის“ ძახილში ვართ მაგრები. თუ გავიხსენებთ არცთუ შორეულ წარსულს, რაღაც მომენტში, ოპოზიციონერობა „კაი პონტი“ გახდა. მაშინ ისეთმა ხალხმა ამოიღო ხმა, რომელსაც არათუ პრინციპები გააჩნდა, საერთოდ, არაფერი აინტერესებდა, მაგრამ „კაი პონტის“ გამო აღმოჩნდა ოპოზიციაში. ქართველებისთვის მთავარია, ემოციური სპექტაკლი გათამაშდეს. ანალიზი, რა უნდა გაკეთდეს და რატომ, არ ხდება. კულტურის სამინისტროში ამ კანონის განხილვა რომ გაიმართა კივილის, წივილის, ხელებისა და ხმის კანკალის ფონზე, ეს არ იყო საქმეზე საუბარი. გამოაჩინეს, როგორ ღელავენ და როგორ შესტკივათ გული ქართულ თეატრზე. ვინც ჩუმად თქვა რაღაც, საქმესთან ახლოს, ჩაითვალა, რომ საერთოდ არაფერი უთქვამს და გადაწყდა, თითქოს უმრავლესობა ამ კანონის მომხრეა. არადა, არ შეიძლება, ადამიანმა არ გაითვალისწინოს ცივილიზებული, ხელოვნებისთვის მზრუნველი რომელიმე ევროპული ქვეყნის გამოცდილება და ისე მიიღოს თეატრის კანონი. კინოს კანონთან დაკავშირებითაც იგივეს აპირებდნენ, მაგრამ ზაზა პაპუაშვილს მიუღია მის დაბლოკვაში მონაწილეობა. ამ დროს, გასაკვირია, ზაზა თეატრის კანონის ამ სახით მიღების წინააღმდეგი რატომ არაა.

— **კინოს შემთხვევაშიც გაიყო აზრები, ამბობენ, ელდარ შენგელაია ამ შეკრებიდან ძალიან შეურაცხყოფილი წამოვიდაო...**

— მახსოვს, ერთი მიტინგიდან პროტესტის ნიშნად წამოვედი, რადგან ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა ელდარ შენგელაიაზე ცუდად ილაპარაკა. ჩემთვის ეს ძალიან დიდი შეურაცხყოფა იყო. აქედან ჩანს სწორედ, რას ვაფასებთ ადამიანში. შესაძლოა, ელდარ შენგელაიას კინო მოგწონდეს ან არა, მაგრამ სირცხვილია, რეჟისორი აკრიტიკო მისი პოლიტიკური გემოვნების გამო.

**ესაა უბედურება, ჩვენ პროფესიონალიზმის კი არა, პოლიტიკური გემოვნების მიხედვით დავყავით ადამიანები. პროფესიონალური კრიტიკა კი საქართველოში, ფაქტობრივად, არ არსებობს და ესეც ქართული თავისებურებებითაა განპირობებული, აქ კონიუნქტურული აზროვნებაა და გაურკვეველია, როგორ ვართ თავისუფლები, როცა ვერ შეგვიფასებია მოვლენები, გვაქვს მხოლოდ შავი და თეთრი, ისიც მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით.**

— **რას აპირებთ, თუკი კანონს თეატრის შესახებ ისეთი სახით დაამტკიცებენ, როგორიც თქვენთვის მიუღებელია?**

— თუ მოვძებნე სხვა საქმე, რაშიც ანაზღაურება მექნება, ალბათ ასეთ შემთხვევაში აჯობებს, თეატრი დავტოვო იმიტომ, რომ ეს ძალიან ცუდი კანონია, რომელიც ყველა თეატრს მოარღვევს.




# ქართველები ჩინელების შემოდინებას აპროტესტებენ

საქართველოს ეროვნულ ფრონტთან დაახლოებულმა პარტიებმა 24 თებერვალს მცირე საპროტესტო აქცია გამართეს თბილისში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის წინააღმდეგ. ეს ზონა ჩინური კომპანია Hualing Industry and Trade Group-ის მფლობელობაში იქნება.

50-ზე მეტმა დემონსტრანტმა მოითხოვა, გასულ ზაფხულს Hualing Group-სა და ყოფილ მთავრობას შორის დადებული ხელშეკრულება გამოქვეყნდეს, ხოლო ახალმა მთავრობამ საქართველოში სამუშაოდ ჩამოსული ჩინელების რაოდენობაზე შეზღუდვები დააწესოს.

Hualing Group კერძო კომპანიაა, ის მდებარეობს სინძიანში და საქართველოში 2006 წლიდან საქმიანობს. კომპანია თანამშრომლობს სატყეო ბიზნესსა და მარმარილოს მოპოვებაზე დასავლეთ საქართველოში.

კომპანიამ ქუთაისში, სიდიდით მეორე ქართულ ქალაქში, 2009 წელს თავისუფალი სამეწარმეო ზონა გახსნა და შარშან „ბაზისბანკში“, დაახლოებით, 100 მილიონად ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის აქციების 90 პროცენტი შეისყიდა.

თბილისის თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში, რომლის აშენებაც აქვს დაგეგმილი კომპანიას, როგორც ამბობენ, განთავსდება სასტუმრო, კომერციული ნაგებობები, ბინები იჯარით ჩინელი მუშებისთვის, სასაწყობე შენობები, დასასვენებელი სივრცე და საბაჟო.

Hualing Group საქართველოში მოქმედ რამდენიმე ჩინელ დიდ ინვესტორს შორის მხოლოდ ერთ-ერთია. საქართველოში ჩინეთის საელჩოს წარმომადგენლის ლიუ ბოს ცნობით, პირველი ამ ინვესტორებს შორის იყო Sichuan Electric Power Corporation, რომელიც 100 პროცენტით ჩინეთის სახელმწიფო State Grid Corporation-ის ფილიალია. ამ კომპანიამ აღმოსავლეთ საქართველოში უმსხვილესი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში, დაახლოებით, 34 მილიონი დოლარი ჩადო.

2011 წელს Chong Qing Wan Li Lian Xing Group-მა, ავტომანქანების ნაწილების მწარმოებელმა საწარმომ, სპილენძისა და ოქროს მოპოვებაზე მიიღო ლიცენზია, ხოლო 2010 წელს ქართულ-ჩინურმა კონსორციუმმა მოიგო ტენდერი თბილისის რკინიგზის ხაზის მშენებლობაზე.



თბილისელი დემონსტრანტები აპროტესტებდნენ იმას, რომ ჩინური სამუშაო ძალის შემოდინება ქართველთა უმუშევრობის მიზეზი გახდება.

ოფიციალური მონაცემებით, უმუშევრობა საქართველოში 16 პროცენტს შეადგენს, თუმცა ბევრს მიაჩნია, რომ რეალური მაჩვენებელი, სულ ცოტა, ორჯერ მეტია. ლიუ ბო ამბობს, რომ თბილისის ეკონომიკური ზონის შექმნასთან დაკავშირებით ხელშეკრულების ხელმოწერამდე, საქართველოში სულ 2,000 ჩინელი დასაქმდა და ეკონომიკური ზონა დამატებით მხოლოდ 1500 სამუშაო ადგილს შექმნის, მაგრამ უკვე რამდენიმე წელია, ქართული მედია და ცალკეული პოლიტიკოსები, ჩინელი ემიგრანტების საქართველოში შემოდინების გამო, შეშფოთებას გამოხატავენ.

მაგალითად, 2007 წლის 7 ივლისს „კავკაზუს პრესი“ იუწყებოდა, რომ სოციოლოგიისა და დემოგრაფიის ინსტიტუტის მაღალი რანგის თანამშრომლის ცნობით, საქართველოში 50 000-დან 60 000 ჩინელამდე ცხოვრობს.

იგივე სააგენტო 2007 წლის 4 აგვისტოს ციტირებდა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის სიტყვებს „მთელი კვირისთვის“ მიცემული ინტერვიუდან, სადაც ის ამბობდა, რომ მხოლოდ თბილისში 40 000 ჩინელი ცხოვრობს.

ეს მონაცემები თუ რეალობას შეესაბამება, იმის ვარაუდს აჩენს, რომ საქართველოში მცხოვრები არალეგალური ემიგრანტების უზარმაზარ რაოდენობას ემატება ის ლეგალურად დასაქმებული პირები, რომლებიც მთავარი ჩინელი ინვესტორების პროექტებში მუშაობენ.

შესაძლებელია, მაჩვენებელმა მას შემდეგ იმატა, თუმცა 2009 წელს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, პაატა პაპუაშვილმა განაცხადა, რომ ჩინელების შემოსვლამ საქართველოში იკლო. მისი თქმით, სულ 300-მა ჩინელმა მოითხოვა ერთწლიანი ვიზა საქართველოში და მათი უმეტესობა რესტორნებსა და მაღაზიებშია დასაქმებული.

# საქართველოს მთავრობა ზღუდავს სააკაშვილის ძალაუფლებას

DER STANDARD

თბილისში ევროკავშირთან ურთიერთობის საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარის თქმით, საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკის მიმართულებით განვითარდება და ქვეყნის პრეზიდენტის უფლებებს შეკვეცს. სამთავრობო კოალიცია ქართული ოცნების პოლიტიკოსი, თინათინ ხიდაშელი ბრიუსელში საერთაშორისო მედიასთან საუბარში ამბობს, რომ სახელმწიფოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ჯერაც შეუზღუდავი უფლებები აქვს, ისეთი, როგორიც სხვა ქვეყნებიდან მხოლოდ თურქმენეთშია.

ასე, მაგალითად, 2004 წელს შეცვლილი კონსტიტუციის შემდეგ, პრეზიდენტს შეუძლია, პარლამენტის თანხმობის გარეშე, განუსაზღვრელი დროით დაასახელოს მთავრობა. **„ეს ძალაუფლების გადანაწილების მთელ იდეას ანგრევს“,** — თქვა ქართველმა დეპუტატმა, რომელიც ბრიუსელში საუბრებს მართავს ევროპარლამენტარებთან, თუმცა გასული ცხრა წლის განმავლობაში სააკაშვილს ამ უფლების გამოყენება არ მოუწია.



## „ნაღმი, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება აფეთქდეს“

იმ პირობებში კი, როდესაც პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილია, ხოლო პრეზიდენტი მის მოწინააღმდეგე პარტიას წარმოადგენს, ეს სავსებით სავარაუდოა. „ეს არის ნაღმი, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება აფეთქდეს“. სააკაშვილს შეუძლია, ზაფხულში დაითხოვოს მილიარდერ ივანიშვილის მთავრობა და უკან დააბრუნოს ძველი მინისტრები. ეს საქართველოს დიდ პოლიტიკურ კრიზისში ჩააგდებდა, — ამბობს ხიდაშელი. ივანიშვილმა პრეზიდენტს წერილობით შეატყობინა, რომ საქართველოს პარლამენტი მარტში კონსტიტუციის შესაბამის ცვლილებას უყრის კენჭს.

მარტში უნდა შეიკრიბოს ასევე საპარლამენტო პარტიებისგან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ექსპერტებისგან შემდგარი კომისია, რომელიც კონსტიტუციის უფრო ფართო რეფორმაზე იმუშავებს. **„მოდელი ნათელია: ჩვენ საპარლამენტო რესპუბლიკის მიმართულებით მივდივართ“,** მაგრამ საჭიროა კონსენსუსი. უზრუნველყოფილი უნდა იყოს წონასწორობა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის ისევე, როგორც სასამართლოს დამოუკიდებლობა.

შემოდგომაზე ჩასატარებელი მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების თარიღის დასახელებას ხიდაშელი ყველაზე ადრე, აგვისტოში ელის. სააკაშვილს კიდევ ერთი კენჭისყრის უფლება აღარ აქვს, ივანიშვილს არ აქვს თავისი კანდიდატურის წარდგენის გეგმები, ამბობს პარლამენტარი.

***http://foreignpress.ge***

## რეგიონი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შემავალ სოფელ ნიგოითის მოსახლეობას, კონკრეტულად, ჩოლობარგის დასახლებას, უკვე წლებია, სასმელი წყალი არ მიეწოდება. რამდენიმე წლის წინ, სოფლის სკოლას საკუთარი ბიუჯეტით სასმელი წყლის მიწოდება მოუწესრიგდა, რომლითაც თითქმის მთელი სოფელი სარგებლობს.

ერთი წლის წინ, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყო თანხა, როგორც ადგილობრივი მოსახლეობა ამბობს, 130 ათასი ლარის ოდენობით.

**„ამ თანხით უნდა მოეგვარებინათ პრობლემა, მაგრამ მთავარ სათავო ნაგებობას მიუერთეს მილები, რომელშიც ღელის წყალი მიედინება და ამით დამთავრდა სამუშაოები. დაწყებული სამუშაოები არ არის ბოლომდე მიყვანილი, ჩაყარეს უხარისხო მილები, ასევე არ არის დაყენებული წყლის ფილტრები,**

# ნიგოითში, ჩოლობარგის დასახლებაში, მოსახლეობა ღელის წყალს სვამს



## საკრებულოში აღიარებენ, რომ პრობლემას, ჯერჯერობით, ვერ აგვარებენ

**ეს ტექნიკური წყალიც უვარგისია, განსაკუთრებით ნაწვიმარზე, საშინელი სიბინძურე მოყვება, დაბანაც კი შეუძლებელია ამ წყლით“,** — აცხადებენ ადგილობრივები.

ჩოლობარგის დასახლება ახალ მთავრობას თხოვნით მიმართავს: **„იქნებ გაგრძელდეს დაწყებული სამუშაოები და ბოლომდე მოგვარდეს ეს პრობლემა, გამოიძიოთ, რაში გაიხარჯა ის 130 ათასი ლარი, რომელიც სასმელი წყლისთვის გამოიყო. 150 ოჯახი ღელის წყალს ვსვამთ, რაც უვარგისია და ვნებს ჩვენს ჯანმრთელობას“.**

აღნიშნულ პრობლემაზე სასაუბროდ სოფელ ნიგოითის დეპუტატსა და საკრებულოს წევრს, **გოჩა ჯანაშიას** ვესაუბრეთ: **„თავდაპირველად, ამ პრობლემის მოსაგვარებლად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 104 ათასი ლარი გამოიყო, მაგრამ ტენდერის შედეგად, 76 ათასი ლარი დაიხარჯა. აქ საუბარი იყო მხოლოდ ტექნიკურ წყალზე, მაგრამ აღმოჩნდა ისე, რომ ის ტექნიკური სამუშაოები, რაც ჩატარდა, საკმარისი არ აღმოჩნდა; ამიტომ, სოფლის მოსახლეობასთან შეთანხმებით გადავწყვიტეთ, რომ სოფლის პროგრამით სათავო ნაგებობა გაგვეკეთებინა იქ არსებულ მდინარეზე. რაც შეეხება სასმელი წყლის პრობლემის მოგვარებას, არსებულ ძველ წყალსადენს უნდა გაუკეთდეს ფილტრები, რომელიც გაწმენდს წვიმის მიერ ჩამოსულ წყალს, თუმცა ამ პრობლემის მოგვარება სოფლის პროგრამით შეუძლებელია, ვინაიდან დიდ თანხას მოითხოვს“.**

დეპუტატ გოჩა ჯანაშიას განმარტებით, საკრებულო ჯერჯერობით, ვერ ახერხებს ამ პრობლემის გადაჭრას და როდემდე მოუწევს ჩოლობარგის 200-მდე ოჯახს ღელის წყლის სმა, გაურკვეველია.

*„გურიანიუსი“*



# ჰოროსკოპი
## 1 მარტი

***ვერძი*** — დღეს უნდა მოხდეს მოვლენა, რომელსაც დიდი ხანია ელოდებით. შესაძლოა, გეგმების გადახედვა დაგჭირდეთ, რადგან ნანატრ სიტუაციაში ყველაზე შეუფერებელ დროს აღმოჩნდებით.

***კურო*** — თუკი ასე თავგამოდებით ცდილობთ აკრძალვების დარღვევას, მზად იყავით, რომ ამისგან კარგს ვერაფერს მიიღებთ. ნუ შეეცდებით დღეს იმით დაკავდეთ, რაშიც ძლიერი არ ხართ.

***ტყუპები*** — დღეს ტყუპები ერთ ადგილზე ვერ გაჩერდებიან. შეეცადეთ, ყველაფერს არ მოედოთ — სჯობს, მთელი ძალისხმევა ერთ, კონკრეტულ საქმეს მოახმაროთ. საღამოს რომანტიკული შეხვედრის ალბათობა დიდია.

***კირჩხიბი*** — საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულებმა დღეს, შესაძლოა, რეკორდული რაოდენობის სისულელე ჩაიდინოთ. ყური დაუგდეთ გარშემომყოფების რჩევებს — ისინი არც ისე გამოუსადეგარი აღმოჩნდება, როგორც გგონიათ.

***ლომი*** — დღეს გჭირდებათ, ზუსტად იცოდეთ, ვის არ უნდა მიაქციოთ ყურადღება. თქვენი აკურატულობა დაგეხმარებათ, თავიდან აიცილოთ კონფლიქტი, რომლის ალბათობაც დიდია.

***ქალწული*** — დღეს ვერავითარი სიტუაცია წონასწორობიდან ვერ გამოგიყვანთ. რაც უნდა გიბიძგონ კონფლიქტებზე, კამათზე, რაც უნდა გაიძულონ, არაადეკვატურად მოიქცეთ — საკუთარ ემოციებს მაინც მკაცრად გააკონტროლებთ. დღეს მნიშვნელოვანი იქნება უძრავი ქონების, მიწის ნაკვეთის შეძენის საკითხი. ოჯახურ საქმეებში კი მეტი ენერგიულობა გამოიჩინეთ.

***სასწორი*** — დღეს დაძაბულ სიტუაციაში აღმოჩნდებით, თუ საკითხის მშვიდობიანად მოგვარებას ვერ შეძლებთ, რადგან თქვენი მოსმენა არ სურთ, მაგრამ თავს უკან დახევის უფლება არ უნდა მისცეთ და წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ.

***მორიელი*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს ვარსკვლავები ურჩევენ, დღეს ტემპი შეანელონ და ამოისუნთქონ. ეს ცოტა გონებას გაგინათებთ და ისიც გაგახსენდებათ, რისთვის იღვწით ასე გამალებით.

***მშვილდოსანი*** — მშვილდოსნებს შეუძლიათ, დღეს დილიდან საღამომდე ინებივრონ და ყოველი წამით დატკბნენ. განსაკუთრებით კარგი კი საღამო იქნება, რომელსაც მარტოობაში ნამდვილად არ გაატარებთ.

***თხის რქა*** — დღეს რეალური შანსი გაქვთ, გუშინდელი მტრები მოკავშირეებად აქციოთ, მხოლოდ ნუ იფიქრებთ, რომ ამის რეალიზება ძალიან ადვილი იქნება.

***მერწყული*** — მერწყულებს დღეს, შესაძლოა, საკმაოდ მკაცრად მოექცნენ, მაგრამ თუ საქმეში იუმორის გრძნობას ჩართავთ, ყველაფერი ძალიან მარტივად მოგვარდება.

***თევზები*** — დღეს შემოსავლები გაგახარებთ. თანხა კი, შესაძლოა, რაიმე ძველებური და ძვირფასი ნივთის, ოჯახური რელიკვიის გაყიდვით შემოგივიდეთ, რომელიც თქვენთვის უკვე აღარ არის საინტერესო, თუმცა ის შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს მეიდველისთვის, მაგრამ ამის გამო ნივთს ძალიან იაფადაც ნუ გადააგდებთ. კარგი დღეა დაწყებული საქმეების მოსაგვარებლად, თუმცა ახალი ხელშეკრულებების ხელმოწერისგან თავი შეიკავეთ.



## ვეგეტარიანელებისთვის „ბოსტნეულის ხორცი" შექმნეს

გერმანელმა მეცნიერებმა ფრაუნგოფერის ინსტიტუტიდან აღმოჩენა გააკეთეს, რაც ალბათ, დიდი საჩუქარი იქნება ვეგეტარიანელებისთვის. სპეციალისტებმა შეძლეს „ბოსტნეულის ხორცის" შექმნა, რომელიც გემოთი და შეხედულებითაც ისეთივეა, როგორც ნამდვილი პროდუქტი. მაგრამ ის არ შეიცავს ტრანს-ცხიმებს, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს ადამიანს. ახალი პროდუქტის შემადგენლობაში შედის მხოლოდ და მხოლოდ ბოსტნეული ინგრედიენტები. უახლოესი დროის განმავლობაში მწარმოებლები აპირებენ, მასობრივად დაამზადონ ეს „ფსევდო-ხორცი" და ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა ექნება, ის ადგილობრივ მაღაზიებში შეიძინოს. გერმანელი სწავლულები „ბოსტნეულის ხორცის" რეცეპტს არ ახმაურებენ. მათი თქმით, ახალი პროდუქტის თერმული დამუშავება შესაძლებელია, ეს მის გემობრივ თვისებებს არ შეცვლის. სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ მათი „ნოუ-ჰაუ" ევროპის მცხოვრებლებს მოეწონებათ, ვისაც აქვს სურვილი, ვეგეტარიანელი იყოს, მაგრამ ამავე დროს, ნატურალური ხორცის მოხმარებაზე, მისი სიყვარულის გამო, უარს ვერ ამბობს.

## დატირება ოჯახურ ბიზნესად აქციეს

შეკვეთით ტირილი ადვილი არ არის, მაგრამ ტაივანის მცხოვრებ ქალბატონს, ლიუ ჯუნ-ლინს ამის გაკეთება თითქმის ყოველდღე უწევს, რადგან უცხო ადამიანების დაკრძალვაზე მოტირალის ამპლუაში ქირაობენ. ჯუნ-ლინი ამ საქმეში პროფესიონალია და ის ტაივანის ყველაზე ცნობილ დამტირებლად ითვლება. ბევრი ადამიანი მიიჩნევს, რომ ფულის გამო ტირილი მწუხარების კომერციალიზებაა, თუმცა ლიუსნაირები ამბობენ, რომ მათ პროფესიას ტაივანში დიდი ხნის ისტორია აქვს. აქ ტრადიციის მიხედვით, საიქიოში მსუბუქად გადასასვლელად გარდაცვლილს ხმამაღალი ტირილი ესაჭიროება. როდესაც საყვარელი ადამიანი გარდაიცვლება, ჭირისუფალი ძლიერი მწუხარების გამო იმდენს ტირის, რომ დაკრძალვის დღეს ცრემლები აღარ აქვს. ამიტომაც ხალხი ამ დროისთვის მოტირლებს ქირაობს, — აცხადებს საქმის პროფესიონალი.




### შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას" სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე"

„ყოველთა დედოფალი პანტანასას" ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი" ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი" კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**




**ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.**

**რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.**

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**

**Appraisal.llc**

**შპს „აპპრაისალი" გთავაზობთ,**

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

**ალექსანდრე ფურცელაძე**
**მისამართი: ნუცუბიძის №16ა**
**ტელ.: (5)99 22 98 33**
**ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com**



ბიზნეს შეჯიბრი
ანტი კური ქალაქი
ჭრილობა
ნოვა ტორული აზრი
აფრა ანუ
მუხის ნაყოფი
ქვეყანა აზიაში
შექსპირის ტრაგედია
დიქტა ტურა ანუ..
სამგზავრო ტრანსპორტი
დედამიწის გამოსა ხულება
სოფელი ქარელის რაიონში
ხორბლის მინდორი
კურორტი კახეთში
კატეგო რიული მოთხოვნა
ახლო ნათესავი
მწერი
მუსიკ. ინსტრუ მენტი
კათოლიკე მღვდელი
ხის გამხმარი ტოტი
რქის ნაწარმი
მემის დეტალი
სატ ვირთო მანქანა
ქალაქი თურქეთში
ქვეყანა ევროპაში
თბილის. რევოლუ ციონერი



სახალ ფეხო მზა
მოსაპირ კეთებელი ქვა
ბოსტ ნეული მცენარე
ყურძნის პროდუქტი
ბრაზი ლიელი მწერალი
მაკედონელი ლეგენდა
რაში ცხენი ------
ნადირობის ქალღმერთი

## წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები





### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 5 | 2 | 7 | 4 | 6 | 3 | 1 | 9 |
| 9 | 7 | 6 | 1 | 3 | 5 | 8 | 4 | 2 |
| 4 | 1 | 3 | 2 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 |
| 7 | 9 | 5 | 8 | 6 | 1 | 2 | 3 | 4 |
| 2 | 8 | 4 | 9 | 5 | 3 | 1 | 7 | 6 |
| 6 | 3 | 1 | 4 | 2 | 7 | 5 | 9 | 8 |
| 5 | 6 | 9 | 3 | 1 | 2 | 4 | 8 | 7 |
| 3 | 4 | 8 | 5 | 7 | 9 | 6 | 2 | 1 |
| 1 | 2 | 7 | 6 | 8 | 4 | 9 | 5 | 3 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 9 | 3 | 5 | 4 | 2 | 1 | 7 | 8 |
| 4 | 8 | 2 | 3 | 7 | 1 | 5 | 9 | 6 |
| 1 | 7 | 5 | 9 | 8 | 6 | 4 | 3 | 2 |
| 8 | 6 | 1 | 7 | 5 | 4 | 9 | 2 | 3 |
| 3 | 4 | 9 | 2 | 1 | 8 | 7 | 6 | 5 |
| 2 | 5 | 7 | 6 | 3 | 9 | 8 | 4 | 1 |
| 9 | 1 | 6 | 8 | 2 | 7 | 3 | 5 | 4 |
| 7 | 3 | 4 | 1 | 6 | 5 | 2 | 8 | 9 |
| 5 | 2 | 8 | 4 | 9 | 3 | 6 | 1 | 7 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 1 | 6 | 5 | 4 | 7 | 3 | 8 | 2 |
| 4 | 5 | 8 | 6 | 3 | 2 | 1 | 9 | 7 |
| 7 | 3 | 2 | 1 | 9 | 8 | 6 | 5 | 4 |
| 1 | 2 | 7 | 4 | 8 | 9 | 5 | 3 | 6 |
| 8 | 6 | 3 | 7 | 2 | 5 | 9 | 4 | 1 |
| 5 | 4 | 9 | 3 | 1 | 6 | 2 | 7 | 8 |
| 2 | 9 | 5 | 8 | 7 | 1 | 4 | 6 | 3 |
| 6 | 7 | 4 | 2 | 5 | 3 | 8 | 1 | 9 |
| 3 | 8 | 1 | 9 | 6 | 4 | 7 | 2 | 5 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 8 | 7 | 3 | 6 | 5 | 4 | 1 | 9 |
| 4 | 6 | 1 | 7 | 2 | 9 | 8 | 5 | 3 |
| 3 | 9 | 5 | 4 | 1 | 8 | 7 | 6 | 2 |
| 7 | 5 | 6 | 2 | 4 | 3 | 1 | 9 | 8 |
| 1 | 4 | 3 | 8 | 9 | 7 | 6 | 2 | 5 |
| 9 | 2 | 8 | 6 | 5 | 1 | 3 | 7 | 4 |
| 8 | 1 | 2 | 5 | 3 | 6 | 9 | 4 | 7 |
| 6 | 7 | 4 | 9 | 8 | 2 | 5 | 3 | 1 |
| 5 | 3 | 9 | 1 | 7 | 4 | 2 | 8 | 6 |



# ჰოროსკოპი
## 2 მარტი

***ვერძი*** — ვერძებს დღე კოლეგებთან, მშობლებსა და ნათესავებთან ურთიერთობაში სირთულეს ჰპირდება. დღის განმავლობაში უფრო სერიოზული და შრომისმოყვარე იყავით, საღამოს, შესაძლოა, ფინანსური პრობლემებიც გაჩნდეს.

***კურო*** — დღეს დიდი ხნის დაწყებულ საქმეს დაასრულებთ, რაც თქვენი ახლობლების ცხოვრების გაუმჯობესებისკენ იქნება მიმართული. გახდებით მნიშვნელოვანი მოვლენის მოწმე, რაც ცხოვრების წვრილმანების მნიშვნელობას შეგახსენებთ. ფინანსების მხრივ, საკმაოდ წარმატებული დღეა.

***ტყუპები*** — დღე საუკეთესოა საქმიანი მოგზაურობისა და მოლაპარაკებებისთვის და შესაფერისი მომენტია საყვარელ ადამიანთან ურთიერთობების გასარკვევადაც.

***კირჩხიბი*** — კირჩხიბებს დღეს ფინანსური დანაკარგი ელით. თქვენი ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო, საყვარელ ადამიანთან შეხვედრისას, ურთიერთობების გართულების ალბათობა დიდია, არის დაშორების რისკიც.

***ლომი*** — დღეს დაუგეგმავი ხარჯი გელით, არ არის გამორიცხული, უსიამოვნო ცნობა მიიღოთ ან ნაკლებსასურველ ვითარებაში აღმოჩნდეთ, თუმცა დღის განმავლობაში წარმატება თქვენი თანმდევი იქნება საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობაში და შესაძლოა, ძველი სასიყვარულო ურთიერთობებიც განაახლოთ.

***ქალწული*** — ქალწულები დღეს ყურადღების ცენტრში იქნებიან, მაგრამ წარუმატებელი დღეა ინტიმური ურთიერთობებისთვის, სამაგიეროდ ყველა კომერციული ოპერაცია ისე დასრულდება, როგორც გეგმავდით.

***სასწორი*** — კარგი დღეა როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი სამუშაოსთვის, სასიამოვნო და სასარგებლო იქნება ურთიერთობა ოჯახის უფროს წევრებთან, მეგობრებთან. ფინანსურ საკითხებში მეტი გამბედაობა გამოიჩინეთ.

***ღრიანკალი*** — დღე მაღალი აქტიურობით იქნება გამორჩეული. თქვენი სამუშაო და ახლობლების წინაშე ვალდებულება მთელ ყურადღებასა და ენერგიას წაიღებს, ამიტომ აჯობებს, საღამო სახლის საქმეებს დაუთმოთ და არ დაიწყოთ ურთიერთობების გარკვევა შინაურებთან.

***მშვილდოსანი*** — დღეს ადვილად შეძლებთ პატარა შეცდომების დამალვას, რის გამოც მხოლოდ ახლობლები დაზარალდებიან. არ არის გამორიცხული ფინანსური დანაკარგი, რომელიმე კომპანიონის უსინდისობის გამო.

***თხის რქა*** — დღეს, შესაძლოა, ვალი დაგიბრუნონ ან ძვირფასი საჩუქარი მიიღოთ. თქვენი თავშეკავება ახლობელი ადამიანის მიერ უყურადღებობად იქნება აღქმული, რაც გაუგებრობასა და წყენას გამოიწვევს.

***მერწყული*** — მერწყულებს დღეს ახალი აღმოჩენა გელით, ადვილი არ იქნება ცდუნებასთან გამკლავება, ასევე გარშემომყოფების ნეგატიური გავლენისგან გათავისუფლება, ამიტომ სჯობს, თავი აარიდოთ ზედმეტ წუწუნს უბედობასა და სხვების მხარდაჭერის არარსებობაზე.

***თევზები*** — დღეს ფინანსური დანაკარგი გელით, სახლში დაძაბული ატმოსფერო კი იძულებულს გაგხდით, საღამო მეგობრების წრეში გაატაროთ. კარგი დღეა ახალი ნაცნობობისა და მგზავრობისთვის.

# ფრანგები მარსიანულ ენას შეგასწავლიან

საფრანგეთის დედაქალაქში მარსიანული ენის შესწავლის კურსებზე მსურველების ჩაწერა დაიწყო. მეცადინეობები ცნობილ პომპიდუს ცენტრში ჩატარდება. „მსურველებს შეეძლებათ, წერონ მარსიანულზე, შექმნან საკუთარი წიგნები, — განაცხადა ცენტრის დირექტორმა ალენ სებანმა. მარსიანული ენის კურსები — „ახალი ფესტივალის“ პროგრამის ნაწილია, რომელიც სამეცნიერო აღმოჩენებს ეძღვნება. გაგრძელდება თუ არა ეს კურსები ფესტივალის დახურვის მერე, ჯერჯერობით უცნობია.



# ამერიკელებს უფლება აქვთ, სულელები იყვნენ



ასეთი განცხადება ბერლინში მყოფმა აშშ-ს ახალმა სახელმწიფო მდივანმა, ჯონ კერიმ გააკეთა. მიზეზად კი ის დაასახელა, რომ ეს არის თავისუფლება. ამერიკაში თქვენ გაქვთ უფლება, განერიდოთ ვისაც გინდათ, თუკი ამის სურვილი გექნებათ. თქვენ გაქვთ უფლება, იყოთ სულელი, თუკი ეს გინდათ, — განუცხადა პირველ უცხოურ ტურნეში მყოფმა კერიმ გერმანელ სტუდენტებს. ახალგაზრდობასთან ურთიერთობა ახალმა მდივანმა ცოტა არ იყოს, სისულელეებით დაიწყო. პირველი დიდი საჯარო გამოსვლისას, ვირჯინიის უნივერსიტეტში, მან ყაზახეთი და ყირგიზეთი აურია ერთმანეთში და არარსებული ქვეყანა „ყირზახსტანი“ დაასახელა, რომლის დიპლომატიურ ინსტიტუტებთანაც სახელმწიფო დეპარტამენტი თანამშრომლობას აგრძელებს.

# ირანელებმა პირველ ლედის კაბა „შეასწორეს“



ირანის საინფორმაციო სააგენტომ FARS, გრაფიკული რედაქტორის მეშვეობით, აშშ-ს პირველი ლედის, მიშელ ობამას საღამოს კაბა უფრო „მორიდებული“ გახადა, რომელიც მას „ოსკარის“ ცერემონიისას ეცვა. მიშელმა, რომელსაც მდიდრული, ვერცხლისფერი უსახელო კაბა ეცვა, „წლის ფილმის“ ნომინაციაში გამარჯვებული გამოაცხადა. როგორც ჩანს, კონსერვატიული ირანელი მკითხველისთვის აშკარად მიუღებელი იქნებოდა ამერიკის პირველი ლედის გაშიშვლებული ხელები და არც ისე ღრმა დეკოლტე მკერდზე. ამიტომაც სააგენტოს წარმომადგენლებმა ქალბატონ ობამას კაბას სახელოები და მაღალი ყელი „მიაკერეს“.

# მთვრალ მძღოლებს ვირზე შესვამენ

იტალიის პატარა ქალაქ გოდეგა-დი-სანტ-ურბანოში, ამიერიდან, ვირებს მხოლოდ ბავშვების სასეირნოდ არ გამოიყენებენ. ამ მშვიდობიან ცხოველებს კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი მისია დააკისრეს — სახლში მიიყვანონ მძღოლები, რომელთათვისაც სისხლში ალკოჰოლის მაღალი შემცველობის გამო, საჭესთან ჯდომა საკმაოდ სარისკო იქნებოდა. ამ „ოთხფეხა ტაქსის“ შექმნის იდეა ქალაქის თავს, ალესანდრო ბონეტის ეკუთვნის. მანვე მოიფიქრა ახალი ტრანსპორტისთვის სახუმარო სახელიც — „ეთილვირმეტრო“. როგორც ვარაუდობენ, ამ ახალი ორიგინალური ტაქსის დებიუტი უახლოეს დღეებში შედგება, როცა გოდეგა-დი-სანტ-ურბანოში ადგილობრივი დღესასწაული გაიმართება.



# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 | 4 | | 2 | | | |
| 2 | 8 | | 7 | 9 | | | | |
| | | 5 | | 8 | | | 2 | |
| 6 | 7 | | | | | | | |
| 8 | | | | 7 | | | | 6 |
| | | | | | | | 8 | 9 |
| | 1 | | | 2 | | 6 | | |
| | | | | 1 | 4 | | 7 | 5 |
| | | | 8 | | 3 | 9 | | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 | | 3 | | | 7 | |
| 3 | | | | 1 | | | 2 | |
| 4 | | | | | | | | 5 |
| 1 | | | 3 | | 6 | | | 7 |
| | | 8 | 5 | 4 | 1 | 3 | | |
| 6 | | | 2 | | 9 | | | 8 |
| 2 | | | | | | | | 3 |
| | 3 | | | 5 | | | | 4 |
| | 5 | | | 2 | | 6 | | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | | 3 | | | 8 | | |
| 6 | | | | | | | | |
| | | | 2 | 6 | | | 1 | |
| | 7 | 4 | | | | 9 | | 3 |
| | | 3 | | 9 | | 2 | | |
| 2 | | 1 | | | | 6 | 8 | |
| | 5 | | | 4 | 7 | | | |
| | | | | | | | | 8 |
| | | 9 | | | 1 | | 4 | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 8 | | | | 7 | 5 | | 9 |
| | 3 | | 9 | 4 | | | | 6 |
| | | 9 | | | | | 4 | |
| 3 | 7 | | | 9 | | | | 2 |
| | | | | 5 | | | | |
| 9 | | | | 8 | | | 1 | 7 |
| | 5 | | | | | 6 | | |
| 8 | | | | 1 | 5 | | 7 | |
| 7 | | 2 | 8 | | | | 9 | |



## რძე გახდომაში დაგეხმარებათ

ავსტრალიელი სპეციალისტები, გამოკვლევის შედეგად, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ყოველდღიურად საუზმეზე ერთი ჭიქა ნაკლებად ცხიმიანი რძის მიღება გახდომაში დაგეხმარებათ. ექსპერიმენტში მონაწილეთა ნაწილს სწავლულები ყოველდღიურად დილით ერთ ჭიქა რძეს ასმევდნენ, ნაწილს კი — ხილის წვენს. საუზმის რაციონი კი ორივე ჯგუფისთვის ერთნაირი იყო. ექსპერიმენტის დასრულებისას, სწავლულებმა დაასკვნეს, რომ ადამიანები, რომლებიც საუზმეზე რძეს მიირთმევდნენ, 9%-ით ნაკლებ კალორიას იღებდნენ, ვიდრე ისინი, ვინც წვენს სვამდა, ამიტომ პირველი ჯგუფის მოხალისეებმა წონაში კლება დაიწყეს. რძის საუკეთესო თვისებების გამოსავლენად ექსპერიმენტი ამერიკელმა მკვლევარებმაც ჩაატარეს. მათი განცხადებით, რძე და იოგურტი ადამიანს მოტეხილობებისგან იცავს.

## უარყოფითი განწყობა „გადამდებია"?

მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ სისულელე, სავსებით შესაძლებელია, ჰაერწვეთოვანი გზით გავრცელდეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქცევითი ფაქტორების ფართო სპექტრი, სულელური სიცილით დაწყებული და სიმსუქნით დამთავრებული, ისევე სწრაფად ვრცელდება, როგორც ვირუსი. მაგალითად, უჟმურ ხელმძღვანელს შეუძლია, ხელქვეითების ცხოვრება აუტანელი გახადოს. ახლა მეცნიერულადაც დამტკიცებულია, სტრესი არ არის ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ადამიანები სამსახურში არაადეკვატურად იქცევიან. თუ ბოსი უხეშია, მისი თანამშრომლების დაახლოებით, 25% ასევე იქცევა. ცუდი ხელმძღვანელები წამლავენ სამუშაო ატმოსფეროს, თანამშრომლები კი აცნობიერებენ, რომ მათ დაწესებულებაში მისაღებია მსგავსი საქციელი და თავადაც ისევე იქცევიან, როგორც მათი ზემდგომი.



## საპატარძლო კაბა ეკლესიაში არ შეეტია



დიდ ბრიტანეთში, 16 წლის პატარძალმა ქალაქ გლოჩესტერიდან ჯვრისწერის ცერემონიისთვის ისეთი კაბა შეუკვეთა, რომ ეკლესიაში არ შეეტია. კარლა ო'ბრაიენის მშობლებმა 25 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაიხადეს სამოსისთვის, რომელიც 30 ფენა ქსოვილისგან შედგებოდა და 18-მეტრიანი შლეიფი მიყვებოდა. კაბის წონა 160 კილოგრამს შეადგენდა. მსგავსი საპატარძლო კაბა გოგონამ საკუთარ კუმირზე — ბრიტანელ მოდელ ჯორდანზე ნახა და ქორწილში სწორედ ასეთის ჩაცმა მოინდომა. კარლას 9 საათი დასჭირდა, ჯვრისწერის წინ ამ კაბაში რომ გამოწყობილიყო, თუმცა როცა ტაძრის კართან მივიდა, ადგილზე გაქვავდა — საქორწინო აღჭურვილობით შიგნით ვერ შეეტეოდა. 20 სტუმრის დიდი ძალისხმევით, კარლას ნახევარი საათის განმავლობაში „ტენიდნენ" ეკლესიის კარში, საკურთხევლამდეც მათ მიაცილეს. აქ პატარძალმა შვებით ამოისუნთქა და სასურველი სიტყვები უთხრა თავის 17 წლის რჩეულს. შემდეგ კი, სიძემ და მისმა 14-მა ნათესავმა კარლა ტაძრიდან ხელით გამოიყვანეს, რადგან პატარძალს დაღლილობისგან სიარული აღარ შეეძლო. ცერემონიის შემდეგ პატარძლის დამ განაცხადა, რომ კარლას ჯორდანზე მდიდრული ქორწილი სურდა და მიიღო კიდეც.

## ყველაზე შემოსავლიანი მომღერალი მადონაა




54 წლის ამერიკელმა პოპ-დივამ, მადონამ წლის ყველაზე შემოსავლიან მომღერლებს შორის კვლავ პირველი ადგილი დაიკავა. ცოტა ხნის წინ ჟურნალმა ბილბორდი წლის ყველაზე წარმატებული მომღერლის რეიტინგი გამოაქვეყნა. ამ მონაცემების თანახმად, პოპის დედოფალმა 2012 წელს 34,6 მილიონი დოლარი გამოიმუშავა, თანხის 90% მსოფლიო ტურნემ მოუტანა — კონცერტების სერია, სახელწოდებით MDNA, 88 წარმოდგენას მოიცავდა და ცოტა ხნის წინ, გასული წლის ყველაზე წარმატებულ ტურნედაც დასახელდა. გამომუშავებული თანხის მიხედვით, მომღერლებს შორის, რეიტინგის ლიდერი მადონა ბოლოს 2008 წელს იყო. 2011-ში ეს ტიტული ტაილორ სვიფტმა დაიმსახურა. ყველაზე შემოსავლიანთა სიაში მეორე ადგილზე, 33,4 მილიონი დოლარით, ბრიუს სპრინგსტონი გავიდა, რომელმაც თანხა ასევე მსოფლიო ტურნეს წყალობით დააგროვა, მესამე ადგილზე კი Pink Floyd-ის დამაარსებელი როჯერ უოტერსია, 21,1 მილიონი დოლარით.



## უჩვეულო ქორწილი ზიმბაბვეში

ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთ აფრიკულ ქვეყანაში, ზიმბაბვეში უჩვეულო საქორწინო ცერემონია გაიმართა — 8 წლის ბიჭი 61 წლის ქალბატონზე დაქორწინდა. ამ უცნაურ სადღესასწაულო ცერემონიას სიძე-პატარძლის 100-მდე ნათესავი დაესწრო, მათ შორის იყვნენ პატარძლის პირველი მეუღლე და მათი ხუთი შვილი. ცერემონიის მთავარი გმირების თქმით, ცხოვრების ერთმანეთთან დაკავშირება ბიჭის გარდაცვლილი ბაბუის სულმა „სთხოვა". სწორედ მისი სახელი დაარქვეს 8 წლის საქმროს — სანელეის. საპატარძლომ, წინაპრებისადმი პატივისცემის ნიშნად, მეორედ გათხოვებაზე თანხმობა განაცხადა და ამის გამო, არც მის მეუღლეს გამოუთქვამს პროტესტი. დედაჩემს ვუთხარი, რომ დაქორწინება მინდოდა. საცოლედ კი ელენა ამოვირჩიე, რადგან ძალიან მომწონს და ბედნიერი ვარ, რომ სწორედ ის გახდა ჩემი ცოლი, თუმცა ახლა სკოლაში სწავლას ვაგრძელებ და როცა გავიზრდები, უფრო ახალგაზრდაზე დავქორწინდები, — განაცხადა 8 წლის სასიძომ.

## აიროუმელმა ქალი დაჭრა

უჩვეულო ინციდენტი შეემთხვა ერთ ამერიკელ გოგონას. 18 წლის ალაია უოკერმა, რომელიც მეგობარ ბიჭს შინ ესტუმრა, გადაწყვიტა, მისთვის ვაფლი გამოეცხო. გოგონას არც კი უფიქრია, ვიდრე საქმეს წამოიწყებდა, აირღუმელი შეემოწმებინა. სწორედ ეს აღმოჩნდა მისი შეცდომა. ალაიას 25 წლის საყვარელი „გენიოსი", თურმე, 45-კალიბრიანი პისტოლეტის მჭიდს პატრონებით სწორედ იქ ინახავდა, როგორც კი აირღუმელი გახურდა საჭირო ტემპერატურამდე, მჭიდი აფეთქდა, ნამსხვრევებმა ღუმლის კარი გამოამტვრია და გოგონა ფეხებში დაჭრა. საბედნიეროდ, მჭიდში 13-დან მხოლოდ ოთხი ტყვია იყო დარჩენილი. როგორც ჩანს, დანარჩენი ყმაწვილმა სხვა გასართობზე დახარჯა. ალაია ოპერატიულად გადაიყვანეს ადგილობრივ საავადმყოფოში, ჭრილობები არც ისე სერიოზული აღმოჩნდა. მის მეგობარს ბიჭს კი ვერანაირი ბრალი ვერ წაუყენეს, რადგან იარაღი კანონის სრული დაცვით ჰქონდა შეძენილი.





# ჰოროსკოპი
## 3 მარტი

**ვერძი** — შეეცადეთ, დღეს ოცნებამ შორს არ გაგიტაცოთ, რადგან მერე ძალიან გაგიჭირდებათ მიწაზე დაშვება. ფრთხილად იყავით — ბევრი ისეთი ადამიანი ტრიალებს თქვენსირგვლივ, რომელიც მზად არის, ნებისმიერ დროს გიმტროთ, ამიტომ აჯობებს, ყველა მნიშვნელოვანი საკითხი მოაგვაროთ, საღამო კი მეგობრების წრეში გართობას დაუთმოთ.

**კურო** — დღეს შეგიძლიათ მოხერხებულად ისარგებლოთ სიტუაციით და წარმატებაც არ დააყოვნებს, თუმცა გაითვალისწინეთ, რომ ზომიერების დაცვა ყველაფერში საჭიროა, წინააღმდეგ შენთხვევაში, პრობლემები შეგექმნებათ საქმიან პარტნიორებთა.

**ტყუპები** — ტყუპებისთვის დღე კონფლიქტით დაიწყება, თავისმართლება არ გიშველით, რადგან დიდწილად, დამნაშავე თავად იქნებით. კარგი იქნება, თუ საკუთარ შეცდომებზე დაფიქრდებით და გააანალიზებთ, რისი გაკეთება სჯობს.

**კირჩხიბი** — დღეს განსაკუთრებით მობილიზებული უნდა იყოთ, რადგან შესაძლოა, თქვენს პარტნიორებზე გახდეთ დამოკიდებული. ხანმოკლე სამსახურებრივი რომანი კოლეგებში გულისწყრომას გამოიწვევს, ამიტომ უმჯობესი იქნება, ემოციების აფიშირებისგან თავი შეიკავოთ.

**ლომი** — არ არის გამორიცხული, ხელმძღვანელობამ არასწორად შეაფასოს თქვენი საქმიანი აქტიურობა, ფინანსურ პრობლემებსაც წააწყდებით, თუმცა წარმატებული საქმიანი შეხვედრა, ამ მცირე უსიამოვნებას გადაფარავს.

**ქალწული** — ყურადღებით იყავით პარტნიორის არჩევისას, რადგან ურთიერთობა, შესაძლოა, საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდეს, თუმცა მოვლენებს ნუ დააჩქარებთ, რადგან ნაკლებად სასურველი დღეა კარდინალური ცვლილებებისთვის.

**სასწორი** — დღეს, შესაძლოა, ისეთ რთულ სიტუაციაში აღმოჩნდეთ, რაც მოთმინებას საჭიროებს. სასიყვარულო პაემანი, სჯობს, გადადოთ, რადგან ის კარგს არაფერს მოგიტანთ. ვერც უსიამოვნო სერიოზულ საუბარს გაექცევით.

**ღრიანკალი** — ამ ნიშნის წარმომადგენლებმა დღეს უფროსობასთან სიბრძნე და გამძლეობა უნდა გამოავლინონ. გულღია საუბარი საკუთარი თავის რწმენას დაგიბრუნებთ და ფინანსური მდგომარეობაც საგრძნობლად გაუმჯობესდება.

**მშვილდოსანი** — კარგი დღეა სერიოზული სამუშაოსა და გაბედული ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანისთვის. დღეს ტყუილის თქმა ვერ გიშველით, ის მხოლოდ თქვენვე დაგაზარალებთ. გამოიჩინეთ თავშეკავებულობა და ნუ გაჯიუტდებით.

**თხის რქა** — დღეს შეგიძლიათ თამამად აიღოთ ვალი და თანხა საქმეში დააბანდოთ, თქვენი გეგმები კოლეგებსა და უფროსობასთან განიხილეთ, საღამოს შეეცადეთ, კარგად დაისვენოთ.

**მერწყული** — დღეს ერთ-ერთი მეგობრის საქციელი სასიამოვნოდ გაგაკვირვებთ, თუმცა ამაღლებული განწყობის შესანარჩუნებლად, სჯობს, წვრილმანებს ყურადღება არ მიაქციოთ.

**თევზები** — დღეს თქვენი ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო, შესაძლოა, ფინანსური დანაკარგი იწვნიოთ, ზედმეტი იმპულსურობა ნაჩქარევ ნაბიჯს გადაგადგმევინებთ და საყვარელ ადამიანთან გართულებული ურთიერთობები ჩიხში შევა.

## ამინდის პროგნოზი

| | პარასკევი | შაბათი | კვირა |
|---|---|---|---|
| თბილისი | +7 | +8 | +5 |
| ქუთაისი | +14 | +10 | +14 |
| ბათუმი | +16 | +13 | +17 |
| სოხუმი | +13 | +10 | +15 |

| | პარასკევი | შაბათი | კვირა |
|---|---|---|---|
| თელავი | +6 | +7 | +4 |
| გუდაური | -2 | -2 | -4 |
| ბაკურიანი | -1 | -3 | -3 |
| მესტია | +5 | +3 | +4 |



# ნიუ იორკის თეატრის სცენაზე გათამაშებული „თეთრი ბაირაღები“ და ფეხზე წამომდგარი ქართული ემიგრაცია

## „მე თქვენი სიყვარული მასულდგმულებს“

თამარ ლომსაძე
568-34-44-94

**იგი ერთ-ერთი მათგანია, ვისაც აფხაზეთის ომმა მოუშუშებელი იარა დაუტოვა. მას შემდეგ წლები გავიდა, ქვეყანაში ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ტკივილი — რომელსაც საშკა იოსელიანი ჰქვია, არ განელებულა. მერე იყო დაუსრულებელი ბრძოლა არსებობისა და თვითდამკვიდრებისთვის და ბოლოს, ქართველ ემიგრანტად იქცა ნიუ-იორკში. ხათუნა იოსელიანი წლებია, ამერიკაში ცხოვრობს, მაგრამ ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია საყვარელი საქმის მსახურება და შორეულ ქვეყანაშიც იმ ფენომენს ეთაყვანება, რასაც ქართული თეატრი ჰქვია.**



ახლახან ნიუ იორკის თეატრ BAM-ში ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღები გათამაშდა“, რომელიც ქალბატონმა ხათუნამ დადგა, პრემიერის შემდეგ კი „ვერსიას“ განუცხადა, რომ ორი წელია ამ პროექტის განხორციელებაზე მუშაობს. **„ნოდარ დუმბაძე ჩემი საყვარელი მწერალია, ადრე „ჰელლადოს“ დავდგი, ახლა „თეთრი ბაირაღები“,** — აღნიშნავს ქალბატონი ხათუნა და ყველას ემადლიერება, ვინც ამ სპექტაკლების გათამაშებაში მცირე წვლილი მაინც შეიტანა: „ვერ აგიხსნით, საიდან გაჩნდა ჩემს ირგვლივ ამდენი ნიჭიერი ახალგაზრდა. ამათ ვენაცვალე. საოცარი სახეები შექმნეს... რაც გინდა, ის თქვი — ქართველი მაინც ქართველია!“

ძნელია, შეედავო, ქართველი ქართველია, მაგრამ გულდასაწყვეტი ისაა, რომ ნიჭიერი ადამიანების დაფასება არ ვიცით და ისინიც იძულებულები ხდებიან, სხვა ქვეყანას მოახმარონ საკუთარი ნიჭი და შესაძლებლობები:

**„რას ვიზამთ, ასე აეწყო ჩემი ცხოვრების ბოლო პერიოდი, თუმცა არ ვწუწუნებ, კმაყოფილი ვარ, მე ხომ თქვენი სიყვარული მასულდგმულებს. რაც შეეხება ამერიკაში წასვლას. რა გითხრათ, ასეთი რადიკალური ნაბიჯის გადადგმის მიზეზი ყოველთვის სერიოზულია. მაინც ბედნიერი ვარ, რომ საქართველოშიც და ამერიკაშიც იმ საქმეს ვემსახურები, რაც სიგიჟემდე მიყვარს. ქართულ თეატრსა და ქართველ მსახიობებს კი ვინც ვერ აფასებს, ეს მხოლოდ მისი პრობლემაა. თეატრალური ხელოვნება მუდამ იარსებებს, მიუხედავად იმისა, უნდათ ეს ვიღაცებს თუ არა. გარდასახვის უნარი ყველას არ აქვს და ამიტომ ხდება ეს, მაგრამ ახლა, იმედი გაჩნდა, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება“.**

ჩვენც გვინდა, ასე იყოს იმიტომ, რომ უდავოდ დასანანია, ქართველ მსახიობს უცხოელი ფეხზეწამომდგარი რომ უკრავს ტაშს, ჩვენ კი ისიც ვერ გაგვირკვევია, რაა კარგი და რა ცუდი. დავით ჭკუასელი, რამაზ ზურაბაშვილი, ლევან მეტრეველი, ხათუნა იოსელიანი, ანრი კალანდარიშვილი, დათო ტოპრაკაშვილი, გიორგი ფოცხვერია, სოსო თოლორაია, ზურა სიხარულიძე, მამუკა ბერიკა ჭეიშვილი, ირაკლი ლებანიძე, თემო ჟღენტი, გიორგი ნარიმანიძე, ირაკლი შენგელია, გიგა ამირანაშვილი, ცუცა კაპანაძე... ამ ადამიანებს სრულიად ქართული ემიგრაცია ფეხზე წამოუდგა, ტაშს უკრავდა და ემადლიერებოდა იმის გამო, რომ სცენიდან მოახერხეს საოცარი რამ — ისინი თუნდაც რამდენიმე საათით სამშობლოში დააბრუნეს, „თეთრი ბაირაღების“ სამშობლოში, სადაც ღირსეული ქართველები ერთ დროს ამაყად დააბიჯებდნენ. **„აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ ამ მსახიობებიდან ბევრი არაპროფესიონალია, მაგრამ აბა, დაუდექი, თუ ბიჭი ხარ! მაგათ ვენაცვალე! რამე რომ მომეწონებოდა, ასე ვაქებდი „ყოჩაღ, სოსო“! და ეს სიტყვები ჩვენი სპექტაკლის დევიზად იქცა „ყოჩაღ, სოსო!“**

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი — გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.